ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 ოქტომბერი **შაბათი** 2009
№251 (12930) ფასი 60 თეთრი

MS სრულყოფილი
MS ხელმისაწვდომი
MS სასარგებლო
მჭირდება!!!

## ევროთასები

» გვერდი 7-10



## ინტერს თავდასხმა უბრუნდება



კიკე სანჩეს ფლორესი

## ატლეტიკო ახალი მწვრთნელით?

LFP · Barclays Premier League · Bundesliga · Lega Calcio

# ქვემოქართლური როქი

# კორდალიძე მახარაძემ შეცვალა



» გვერდი 3

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური. წინათქმა



» გვერდი 2

## ზეოთხეულის ძნელი ვოიაჟი

## თასის პასი პირველ ლიგას



1/4 ფინალის წილისყრა

» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XII ტური. წინათქმა

# ზეოთხეულის ძნელი ვოიაჟი

დ აძაბული სათასო ბატალიების შემდეგ, უმაღლესლიგელებს შეუსვენებლად უწევთ ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში თამაში. თუკი უმაღლესი ლიგის წინა ტურში ერთადერთი შთამბეჭდავი მატჩი ვიხილეთ „დინამოსა“ და „სიონის“ მონაწილეობით, წესით, ხვალ გაცილებით მეტი საინტერესო ამბის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

ჩემპიონობის ოთხი მთავარი პრეტენდენტი სტუმრად თამაშობს, რაც ისედაც გამორჩეულ ტურს დამატებით ინტრიგას სძენს. ჯერაც დაუმარცხებელ „ზესტაფონს“ ერთპიროვნული ლიდერობის შესანარჩუნებლად გლდანში „გაგრას“ ძლევა მართებს, რაც იოლი საქმე სულაც არაა; კრიზისში მყოფი „დინამო“ გორს ეწვევა, სადაც ანგარიშგასაწევ ძალად ქცეულ „სპარტაკს“ დაუპირისპირდება; „ოლიმპი“, რომელიც საჩხერეში განცდილი მწარე სათასო მარცხის შემდეგ ვერ უნდა იყოს კარგ ტალღაზე, ლიდერების შეჩერებაში დახელოვნებულ „სამტრედიას“ ესტუმრება, ტურის კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი კი ბოლნისში გვეგულება, სადაც „ვიტ ჯორჯიას“ გასაგები მიზეზების გამო მოტივირებული „სიონი“ დაუხვდება.

**ლოკომოტივი–ბაია**

24.10.09. თბილისი. მ. მესხი

18:00 Live I არხზე

დისკვალიფიკაცია: ჩიკვაიძე (ლ)

პირველ წრეში: 1:2

დღევანდელი შეხვედრა ხვალინდელებზე ნაკლებად საინტერესოდ მოჩანს, მაგრამ ვაკეში მაინც გაეცემა პასუხი ერთ მნიშვნელოვან კითხვას - აქვს თუ არა „ლოკომოტივს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის (ბრძოლით დარჩენას ვგულისხმობთ) თუნდაც მინიმალური შანსი. დღეისათვის, რკინიგზელები აბსოლუტურად ლოგიკურად იმყოფებიან უკანასკნელ ადგილზე და მართალია, თითოეულ მატჩში ძალებს არ ზოგავენ, მაინც ბევრი რამ აკლდებათ წარმატებამდე. ერთი შეხედვით, ბოლოსწინა საფეხურზე მყოფ მეტოქესთან „ლოკომოტივს“ გამარჯვების არცთუ პატარა შანსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქმე არც მთლად მარტივადაა - ვფიქრობთ, მეცხრე ადგილი „ბაიას“ პოტენციალს სრულად არ ასახავს. ზუგდიდელთა თავკაცმა **ბესიკ შეროზიამ** სეზონის სტარტი ახალგაზრდა ფეხბურთელთა სელექციას დაუთმო და მისი გუნდისგან უკვე უნდა ველოდოთ შედეგების გაუმჯობესებას. საამისო ნიშნები უკვე აშკარად ჩანს - ჩემპიონატის წინა ტურში „ბაიამ“ ამბიციური „სპარტაკი“ 4:1 გაანადგურა, თასის მერვედფინალში კი ბოლნისის „სიონს“ არანაკლები დღე აყარა - 3:0. მოკლედ, დღევანდელ შეხვედრაში სტუმრები ფავორიტის რანგში ითამაშებენ.

მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის ხილვა პირველი არხის ეთერით შეგიძლიათ.

**გაგრა–ზესტაფონი**

25.10.09. თბილისი. ამერი

15:00

დისკვალიფიკაცია: ი. პაპლაშვილი (გ), ლომჯარიძე (ზ)

პირველ წრეში: 0:1

მიმდინარე სეზონში „გაგრას“ თავი არც ერთ საშინაო მატჩში, შეურცხვენია და „ზესტაფონთანაც“ არ აპირებს რაიმეს იოლად დათმობას. შეგახსენებთ, გლდანში **ვიქტორ კაშჩეის** გუნდმა „ვიტ ჯორჯიას“ 4:0 სძლია, „დინამოსთან“ კი უგოლო ფრე გაახერხა. ორივე გუნდს თასის მერვედფინალში მძიმე ბრძოლა გადახდა, ეს განსაკუთრებით მასპინძლებზე ითქმის, რომლებიც ფოთში „კოლხეთთან“ 120 წუთში დამარცხდნენ.

თუკი „ზესტაფონს“ აქვს იმის რესურსი, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოლოს წარმატებისთვის, „გაგრასთვის“ თასიდან გავარდნა დიდი ტრაგედია არ უნდა იყოს. ამ გუნდის უმთავრესი ამოცანა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, რაც მეტისმეტად ძნელად შესასრულებელი მისიაა. ამ ტურში „ბაიამ“ „ლოკომოტივს“ რომ მოუგოს და „გაგრა“ „ზესტაფონთან“ დამარცხდეს, კაშჩეის გუნდი გასავარდნ ზონაში ამოჩნდება. ასე რომ, უკრაინელ სპეციალისტს თავისი ფეხბურთელებისთვის არც უნდა სჭირდებოდეს იმის ახსნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თამაშში თუნდაც ქულის აღებას.

„ზესტაფონის“ წევრებს კი სადღეისოდ სადარდებელი არაფერი უნდა ჰქონდეთ. ჩემპიონატშიც და თასზეც ფეროელები დაუმარცხებლად მიიწევენ წინ, მაგრამ ამასთან ერთად, არ გვგონია, ხვალინდელ მეტოქეს სათანადოდ ვერ აფასებდნენ.

**სპარტაკი–დინამო**

25.10.09. გორი. ქართლი

15:00

დისკვალიფიკაცია: პ. ბაკარაძე (ს)

პირველ წრეში: 0:5

ამ მატჩის ვერმოგება ორივე გუნდისთვის მძიმე შედეგით, ანუ ლიდერთა ჯგუფთან ჩამორჩენის გაზრდით დასრულდება. ასე რომ, გორში „სპარტაკიც“ და „დინამოც“ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, რაც უაღრესად საინტერესო დაპირისპირების ხილვის იმედს იძლევა. „სპარტაკი“ არსებობის სულ რამდენიმე წელს ითვლის, მაგრამ უკვე მოასწრო „დინამოსთვის“ უხერხულ მეტოქეთა რიცხვში შესვლა. მათ შორის უკვე არაერთი დასამახსოვრებელი ბრძოლა გამართულა, რომელთაგანაც მეხსიერებას ყველაზე კარგად, ალბათ, გაზაფხულზე ჩატარებული მატჩი შემორჩა, როცა „დინამომ“ საკუთარ მოედანზე ვერ მოიგო და საჩემპიონო რბოლაში „ვიტ ჯორჯიას“ კომფორტული უპირატესობა დაუთმო.

სამაგიეროდ, კაჭარავას გუნდმა პრინციპული მეტოქე 16 აგვისტოს გაამწარა, როცა მანამდე უდანაკარგოდ მყოფი „სპარტაკი“ 5:0 გაანადგურა. ხვალინდელი შეხვედრა ერთ საჭირბოროტო კითხვასაც უპასუხებს - დინამოური კრიზისი სრულდება თუ ღრმავდება.

**სიონი–ვიტ ჯორჯია**

25.10.09. ბოლნისი. თ. სტეფანია

15:00

დისკვალიფიკაცია: დ. ქირია (ბ)

პირველ წრეში: 1:2

უკვე სათვალავიც აგვერია, მერამდენედ მიანდეს ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელობა სტაჟიან სიონელ **გიორგი ყიფშიძეს**. „ოლიმპში“ „დაწინაურებული“ **თემურ მახარაძის** მემკვიდრის წინაშე რთული ამოცანა დგას - „ვიტ ჯორჯიას“ შეჩერება იოლი ნამდვილად არ უნდა იყოს, მაგრამ თუ „სიონის“ ბოლოდროინდელ პროგრესს გავითვალისწინებთ, ქვემოქართლელები უიმედოდ არ უნდა იყვნენ. მართალია, მახარაძემ ბოლნისი დატოვა, მაგრამ მის მიერ გაწეული შრომის ნაყოფი გუნდს ერთი ხანობა, ალბათ, ინერციით გაჰყვება.

„ვიტ ჯორჯიას“ ყველაფერი რიგზე აქვს. „გაგრასთან“ განადგურებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ვეტერინარები სეზონს ჩვეულ დონეზე ატარებენ, ძველ-ახალი დამრიგებელი **მერაბ კოჭლაშვილი** გუნდს შედეგიანად ათამაშებს და ამ ეტაპისთვის ჯორჯიელებს ჩემპიონობის შენარჩუნების რიგიანი შანსი აქვთ. ხვალინდელი მატჩი კი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც ჩემპიონობის მოსურნეს მძიმე თამაში ელის, მაგრამ სამი ქულა ჰაერივით სჭირდება.

იყო დრო, „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ბრძოლაში ირკვეოდა საქართველოს ჩემპიონის ბედი. ეს 2005-06 წლების სეზონში მოხდა, როცა საჩემპიონო რბოლა ბოლნისელთა გამარჯვებით დასრულდა.

**სამტრედია–ოლიმპი**

25.10.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე

15:00

დისკვალიფიკაცია: ფრაგა (ო)

პირველ წრეში: 0:5

„ოლიმპში“ რომ ბოლო დროს ბევრი რამ ვერ იყო რიგზე, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა. გუნდის თამაშის ორგანიზება შესამჩნევად მოიკოჭლებდა, ფეხბურთელებს მოედანზე ერთმანეთთან საერთო ენის პოვნა უჭირდათ... ყველაფერი თასის მერვედფინალში საჩხერეში განცდილი მარცხით „დაგვირგვინდა“ და ყოველივე ამის მერე აღარც გაგვკვირვებია, მწვრთნელთა ცვლას ჩვეულმა „ოლიმპის“ შეფებმა ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ რომ გადადგეს. **თემურ მახარაძეს** გარკვეული პერიოდი დასჭირდება გუნდის „დასალაგებლად“, რის შემდეგაც „ოლიმპი“ წესით, დღევანდელზე ძლიერი და ორგანიზებული გუნდი უნდა გახდეს. თუმცა დრო არ ითმენს და ქულათა მარაგის შექმნა აქედანვეა საჭირო.

„სამტრედიამ“ საკუთარ კედლებში უკვე აგემა დანაკარგი ჩემპიონობის ორ პრეტენდენტს, „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“. ვნახოთ, როგორი შედეგით დასრულდება ოქროს მედლების კიდევ ერთი კანდიდატის ვიზიტი სამტრედიაში. „ოლიმპი“ ამ სეზონში პირველად ითამაშებს დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ცენტრალური მცველის, **ალექს ფრაგას** გარეშე, რაც საგრძნობი დანაკარგია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დინამომ სპარტაკი პირველ წრეში დიდი ანგარიშით დაამარცხა. შედგება რევანში?

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ზესტაფონი | 11 | 7 | 4 | 0 | 20-6 | 25 | 4 | 2 | 0 | 15-3 | 14 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| 2. ოლიმპი | 11 | 7 | 3 | 1 | 21-10 | 24 | 4 | 2 | 0 | 14-2 | 14 | 3 | 1 | 1 | 7-8 | 10 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 19-12 | 22 | 5 | 1 | 0 | 14-5 | 16 | 1 | 3 | 1 | 5-7 | 6 |
| 4. დინამო | 11 | 5 | 3 | 3 | 20-9 | 18 | 4 | 1 | 1 | 12-2 | 13 | 1 | 2 | 2 | 8-7 | 5 |
| 5. სპარტაკი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-19 | 17 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 | 1 | 1 | 4 | 7-17 | 4 |
| 6. სამტრედია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-24 | 13 | 3 | 1 | 1 | 10-8 | 10 | 1 | 0 | 5 | 6-16 | 3 |
| 7. სიონი | 11 | 3 | 5 | 3 | 10-11 | 14 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 8. გაგრა | 11 | 2 | 3 | 6 | 14-19 | 9 | 2 | 2 | 1 | 7-2 | 8 | 0 | 1 | 5 | 7-17 | 1 |
| 8. ბაია | 11 | 2 | 1 | 8 | 10-20 | 7 | 2 | 1 | 3 | 9-13 | 7 | 0 | 0 | 5 | 1-7 | 0 |
| 10. ლოკომოტივი | 11 | 0 | 2 | 9 | 4-19 | 2 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 | 0 | 1 | 5 | 2-10 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| აკინო (ოლიმპი) | 9 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| გაგელავა (გაგრა) | 7 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო სვლები

# მახარაძე ოლიმპში, ყიფშიძე სიონში

## ოთარ კორღალიძე: დარჩენის უფლება არ მქონდა





დიდი ამბეზია - ქვემო ქართლში სერიოზული სამწვრთნელო გადაადგილებები მოხდა. რუსთავის „ოლიმპმა“ მშვენიერი სტარტი ვერ შეინარჩუნა და წაიფორხილა. თბილისის „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით მარცხს (0:4), შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ (0:0) და „სპარტაკთან“ ორი ფრე (1:1) დაემატა, რამაც კლუბი მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა. ჩემპიონატში მეორე ადგილი და ლიდერთან მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა კიდევ არაფერია - 20 ოქტომბერს საქართველოს თასის მერვედფინალის ერთრაუნდიან შეხვედრაში „ოლიმპი“ საჩხერის „ჩიხურამ“ დაამარცხა (0:1) და ტურნირიდან გააგდო. ამდენად, ორი უმნიშვნელო ტიტულიდან, რუსთავულ კლუბს ერთის მოპოვების იმედი გადაეწურა. არადა, გუნდი წელს დუბლს - ჩემპიონობასა და თასს უმიზნებდა და ბუნებრივია, პირველი ლიგის კლუბთან მარცხი „ოლიმპის“ ხელმძღვანელობისთვის კატასტროფის ტოლფასია. ამ მარცხის შემდეგ რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** ცვლილების აუცილებლობაზე დაფიქრდა.

გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვემო ქართლში დიდი როქი მოხდა - თითქოს, ბოლნისის „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** (რომელმაც უფული „სიონი“ მეექვსე ადგილზე ალაზევა) „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა, კორღალიძე კი ბოლნისურ კლუბს დაუბრუნდა. ინფორმაცია თავად კორღალიძესთან გადავამოწმეთ და თურმე საქმე სხვაგვარად ყოფილა:

**- ბატონო ოთარ, მართალია, თითქოს, ბოლნისის „სიონში“ დაბრუნდით?**

- არა, არ არის მართალი, „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კი ნამდვილად გადავდექი.

**- გულახდილად გვითხარით, რამ გიბიძგათ ამ გადაწყვეტილებისკენ?**

- ეს ინიციატივა ჩემგან მოდიოდა. სიმართლე გითხრათ, საქართველოს თასის მერვედფინალიდან გავარდნა ძალიან განვიცადე, თანაც, წავაგეთ არა რომელიმე ლიდერთან, არამედ პირველი ლიგის კლუბ „ჩიხურასთან“. ბევრი არც მიფიქრია, თავს პოსტზე დარჩენის უფლება არ მივეცი და გადავდექი.

**- რუსთავული გუნდის მთავარ მწვრთნელად თემურ მახარაძე დაინიშნა?**

- დიახ, ასეა. ბატონი თემური ძალიან კარგი სპეციალისტია, ბოლნისის „სიონს“ თავისი ხელი დაატყო და მიმაჩნია, რომ ახლა „ოლიმპსაც“ კარგად მიხედავს.

**- თქვენ უმუშევარი დარჩით?**

- უმუშევარი არ ვიქნები, „ოლიმპის“ სპორტულ დირექტორად დავინიშნე.

**- „სიონში“ ვინ იმუშავებს?**

- მეორე წრის დასრულებამდე, გუნდს მახარაძის ასისტენტი გიორგი ყიფშიძე გაუძღვება. როგორც ვიცი, შედეგების მიხედვით გადაწყდება, დარჩება ის ამ პოსტზე თუ სხვას დანიშნავენ.

საქართველოს თასი

1/4 ფინალის წილისყრა

# პირველლიგელებს ნახევარფინალის შანსი გაუჩნდათ

**გუშინ პროფლიგაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:**



**ჩიხურა (საჩხერე)-დინამო (თბილისი)**
**ბაია (ზუგდიდი)-სპარტაკი (ცხინვალი)**
**ზესტაფონი (ზესტაფონი)-ვიტ ჯორჯია (თბილისი)**
**მერანი (მარტვილი)-კოლხეთი (ფოთი)**

ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** მერვედფინალის ახლებური მეთოდით გამართვამ კმაყოფილი დატოვა - ერთმატჩიანმა დაპირისპირებამ მეოთხედფინალში სამი პირველლიგელი („ჩიხურა“, „მერანი“ და „კოლხეთი“) გაიყვანა. მეოთხედფინალები კი უკვე ორმატჩიანია - პირველი შეხვედრები 3 ნოემბერს გაიმართება, საპასუხო კი 1-2 დეკემბერს. მატჩები 14 საათზე დაიწყება.

საინტერესოა, რომ დამატებითი დროის შემდეგ 11-მეტრიანების სერია არ დაინიშნება და იმ შემთხვევაში, თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს გატანილი და მიღებული ბურთების რაოდენობა ერთნაირი (ვთქვათ, თუ ორივე მატჩი 0:0, 1:1 ან 2:2 და ასე შემდეგ დასრულდა და ეს ანგარიში არც დამატებით დროში შეიცვალა) ექნებათ 120 წუთის გასვლის შემდეგაც, ტრადიციულად პენალტების ნაცვლად გამარჯვებულად... ეგრევე სტუმარი გუნდი გამოცხადდება.

**ზვიად სიჭინავა:** *„ვფიქრობ, საინტერესო პრეცედენტი მოხდა - ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი პირველი ლიგის კლუბებს გაუჩნდათ. ეს გათამაშებას ინტრიგას შემატებს და თავად კლუბებისთვისაა უდიდესი სტიმული“.*

**თემურ ბარქაია,** ფოთის „კოლხეთის“ პრეზიდენტი: *„კენჭისყრის შედეგებმა ძალიან გამახარა. ბუნებრივია, შესაძლო მეტოქეებიდან პირველი ლიგის კლუბთან შეხვედრა გვერჩივნა და ასეც მოხდა. მარტვილის „მერანი“ საინტერესო კლუბია, მეგრული დერბი კი აუცილებლად დაძაბული იქნება. სხვათა შორის, ფოთის „კოლხეთი“ თასის ნახევარფინალში არასდროს გასულა და იმედია, ახლა მაინც შევძლებთ მეოთხედფინალის დაძლევას. დარწმუნებული ვარ, როგორც ყოველთვის, ფოთელი მაყურებელი გვერდში დაგვიდგება და გაგვამხნევებს“.*

U 17 შესარჩევი მატჩები

# კვიპროსი უნდა... შევჭამოთ!

რომორც ცნობილია, შოტლანდიაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შესარჩევ ტურნირში თამაშობს. პორტუგალიასთან მარცხის (0:2) შემდეგ, **გიორგი დევდარიანის** გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა, მასპინძელ შოტლანდიას 2:1 მოუგო და ელიტრაუნდში გასვლის შანსი შეინარჩუნა. საამისოდ, 25 ოქტომბერს ქართველ ჭაბუკებს კვიპროსის ნაკრებთან მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ - თანაბარი ქულების შემთხვევაში, კუნძულელები ბურთების უკეთესი სხვაობით გვისწრებენ.

ნაკრების ნახევარმცველი **კოტე ზარნაძე** იმედიანადაა განწყობილი: *„სამწუხაროდ, პორტუგალიასთან დავმარცხდით, მაგრამ შოტლანდიასთან გამარჯვებამ შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის უდიდესი იმედი მოგვცა. შოტლანდიას გადავუარეთ და დარწმუნებული ვარ, კვიპროსსაც შევჭამთ. სხვათა შორის, ტურნირზე დაგვიანების მიუხედავად, არ ავრეულვართ. ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს და გვინდა, ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ“,* - გვითხრა ზარნაძემ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# მხოლოდ ამის შემდეგ ვიტყვი, რომ რაღაც შემიძლია...

## ხაჭიპერაძის უცნაური მეთოდი: არანაირი ვარჯიში თამაშამდე!

ნიჭიერ ადამიანებს უცნაურობები რომ ახასიათებთ, არახალია. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, „სამტრედიას" 22 წლის თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძეც უდავოდ ნიჭიერი მოთამაშეა. დროულად რომ შეემჩნიათ, დღეს ის ბევრად უკეთეს კლუბში ითამაშებდა.

როგორც გავარკვიეთ, ზაურს მომზადების თავისებური მეთოდი აქვს, ისეთი, როგორიც თავის დროზე თელავის „კახეთის" თავდამსხმელ გოჩა ჭვრიტიძეს ჰქონდა...

სამტრედიელთა თავდამსხმელი წლევანდელი პირველობის ერთ-ერთი აღმოჩენაა. ის სპეციალისტებს ჭიათურის „მაღაროელიდან" დაამახსოვრდათ, საჩხერის „ჩიხურაშიც" თამაშობდა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში უკეთ გამოჩნდა და შესაბამისადაც დააფასეს.

„სამტრედიაში" ჩარიცხულმა ფორვარდმა რამდენიმე ეფექტური შეხვედრა ჩაატარა და სპეციალისტებს გაახსენდათ, რომ ეს ბიჭი პეტარ შეგრტმა ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვია. რატომ ვერ აიწყო აქამდე კარიერა, რა მეთოდით ემზადება მატჩებისთვის და ასე შემდეგ. ამის თაობაზე ზაური „ლელოს" ელაპარაკება...

**- ზაურ, როგორც გავიგეთ, მატჩისთვის მომზადების შენებური მეთოდი გაქვს...**

- ასეა და ვიცი, ბევრისთვის გაუგებარია, როგორც ვემზადები, მაგრამ ყველა ადამიანი კი არა, ხანდახან ტყუპი არ გავს ერთმანეთს და შეუძლებელია, ყველა მოთამაშე ერთნაირად ემზადებოდეს. მე თამაშის წინა დღეს ვარჯიშს ვერიდები, ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ ზარმაცი არ ვარ, უბრალოდ, ასე უფრო ენერგიული ვხდები და უკეთესად ვთამაშობ.

**- მწვრთნელები ამას როგორ უყურებენ?**

- მწვრთნელი ყველგან მიგებდა და ასე მათამაშებდა. მერე უფრო მონდომებული ვიყავი.

**- ვინც ვერ გაგიგო, იმასთან როგორ თამაშობდი?**

- ასეთთან ვერ ვთამაშობდი. შეხვედრის წინა დღეს აუცილებლად უნდა დავისვენო.

**- მოსამზადებელ ეტაპსაც ვერ იტან?**

- პირიქით, მოსამზადებელზე ვარჯიში მიყვარს, თორემ მთელი წრე როგორ ვითამაშებ?

**- თავის დროზე, პეტარ შეგრტმა ახალგაზრდულ ნაკრებში გათამაშა. არადა, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ წელს გამოჩნდი...**

- ახალგაზრდულში ერთადერთხელ, ლატვიელების წინააღმდეგ ვითამაშე, „ამერზე" 4:0 რომ მოვიგეთ, არადა, იმ დღეს გავხდი 22 წლის და ნაკრებში თამაშის უფლება არ მქონდა... ისე, შეგრტს მოვწონდი და მისი მადლიერიც ვარ. უყურადღებობას არ ვუჩიოდი, უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსიც მქონდა - ბოლნისის „სიონში" მიწვევდნენ. მაშინ ჭიათურაში ვთამაშობდი და დარჩენა მთხოვეს. მწვრთნელის ხათრი და პატივისცემა მქონდა და უარი ვერ ვუთხარი. მერე „ჭიათურა" დაიშალა და ხუთი თვე უთამაშებელი დავრჩი. შემდეგ „სამტრედიასთან" ერთად მოვიპოვე უმაღლესი ლიგის საგზური. აქ იმიტომ კი არ ავთამაშდი, რომ განსაკუთრებული პირობები შემიქმნეს, უბრალოდ, მეგობრული გუნდია, ასე ვთქვათ, ერთმანეთი გაგვაქვს და მხოლოდ ამის ხარჯზე ვიგებთ. თორემ, საუკეთესო პირობები ნამდვილად არ გვაქვს.

**- თბილისის „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიასთან" ჩატარებულმა ეფექტურმა მატჩებმა ალბათ თავდაჯერება შეგმატა...**

- როცა ლიდერი გუნდის ძირითადში სისტემატურად ვითამაშებ, მხოლოდ ამის შემდეგ ვიტყვი, რომ რაღაც შემიძლია. სამწუხაროდ, 20 წლისა „სიონში" ვერ წავედი, თორემ უმაღლეს ლიგაში უფრო გავუშინაურდებოდი.

**მერაბ მამულაშვილი**

სამეზობლოში

# ქართველები სტანდარდიდან დაითხოვეს



ბადრი კვარაცხელია

გოლოდრონინდელი წარუმატებლობების გამო, სუმგაითის „სტანდარდმა" მთავარი მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** დაითხოვა. ლიტველი სპეციალისტის გარდა, გუნდიდან მისი ქართველი ასისტენტები, **ბადრი კვარაცხელია** და **გოჩა თამაზაშვილიც** გაუშვეს. ცნობისათვის, ივანაუსკასს **ბუიუქალა გაჯიევი** შეცვლის. აზერბაიჯანული პრესა „სტანდარდში" არსებულ ფინანსურ პრობლემებზეც საუბრობს. როგორც ამბობენ, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს სამი თვის ხელფასი აქვთ ასაღები.

შეგახსენებთ, „სტანდარდის" ღირსებას იცავენ **დავით ჭიჭველიშვილი, ლევან სილაგაძე, სერგი ორბელაძე** და **გიორგი სეთურიძე**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17. ქალთა ფეხბურთი

# ფარერებთანაც შევრცხვით

ჩვენი 17-წლამდელი გოგონების „საგმირო საქმეებზე" ორიოდ დღის წინ ვწერდით - **ნიკოლოზ მაისურაძის** გუნდმა შვეიცარიასა და იტალიასთან ორ მატჩში ერთად 50 (!) უპასუხო გოლი გაუშვა. დასკვნით ტურში არც ფარერებმა დაგვინდო და 7:0 დაგვამარცხა. ვგონებთ, ამაზე კომენტარი საჭირო აღარ არის.

**დავით ცაბაძე**

პოზიცია

# მურთაზ ჩავაბაროთ ნაკრები ქეცბაიას და არველაძეს

**ვეტერან ფეხბურთელთაგან მურთაზ ხურცილავა ის პიროვნებაა, რომელიც დაუფარავად, შელამაზების გარეშე ამბობს სათქმელს. ამჯერად მასთან საუბარი ჩვენი ნაკრების ბოლო ფიასკოთი დავიწყეთ...**

- ხშირად მესმის და ამ სიტყვას ვერ ვიტან - უმოტივაციოდ იყო ესა თუ ის გუნდიო. ვერ წარმომიდგენია, მოედანზე გუნდი უმოტივაციოდ იყოს, მით უმეტეს ფეხბურთელები, რომელთაც ეროვნული ნაკრების მაისურა აცვიათ. ჩვენი ნაკრების არაერთი ნაგებული მატჩი მინახავს, მაგრამ ასეთი ცუდი თამაში - არასდროს! ეს მართლაც კოშმარი იყო. შეიძლება წააგო, მაგრამ იბრძოლე მაინც. თავად ბულგარეთი დღეისთვის ნამდვილად არ არის იმ დონის გუნდი, რომ საქართველოს ნაკრებს პირველ ტაიმში 6:1-ს უგებდეს. გარდა ამისა, ისეთ ჯგუფში ნამდვილად არ ვიყავით, რომ ერთი შეხვედრა მაინც ვერ მოგვეგო და ბოლო ადგილზე გავსულიყავით. თანაც - 6 ქულიანი ჩამორჩენით.

**- საინტერესოა ამ შესარჩევში საქართველოს ნაკრების ჩავარდნის თქვენეული ახსნა...**

- თავიდანვე ვიტყოდი, რომ ამ ფიასკოს მხოლოდ ფეხბურთელებზე გადაბრალება უსამართლობა იქნებოდა. გუნდს მწვრთნელი ხელმძღვანელობს, სწორედ ის არჩევს კონტინგენტს და ვფიქრობ, მისი პასუხისმგებლობა და როლი მეტია როგორც გუნდის გამარჯვებაში, ისე მარცხშიც. ხშირად მესმის - სანაკრებო კადრების დეფიციტს განვიცდითო. კი, დეფიციტი ნამდვილად არის. რაც უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვეყოლება, მით უკეთესი, მაგრამ დეფიციტი, დეფიციტი... ისმის გამუდმებით. მე მგონი, მთლად ასეც არაა საქმე. მოდი, ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, რომლებიც ექტორ კუპერს ან საერთოდ არ გამოუყენებია, ანდა მხოლოდ თითო-ოროლა შეხვედრაში ათამაშა - ასათიანი, მუჯირი, ამისულაშვილი, გოგუა, კანდელაკი, სირაძე, ლვინიანიძე, ხიზანეიშვილი... ასეთს კიდევ ბევრს ჩამოვთვლით... რამდენი ხანია, ნაკრებში აღარ უთამაშია მენთეშაშვილს, ცქიტიშვილი კლუბში რომ თამაშობდა და კარგ ფორმაში იყო, მაშინ არ იძახებდნენ და მაინცდამაინც ბოლო 3-4 მატჩისთვის უხმეს, როცა აღარსად თამაშობდა. არიან კიდევ - გვაზავა, ხოჯავა, შაშიაშვილი... ჩვენი ჩემპიონატი ჯერ იმ დონის არ არის, რომ ფეხბურთელები სტაბილურად გამოვიძახოთ და ეროვნულში ვათამაშოთ. აბა, ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს გადავავლოთ თვალი, მთელი გუნდია. გარდა ამისა, კუპერი ხშირად ცვლის შემადგენლობას...



**- კი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თითქმის ყველა მატჩის წინ ნაკრებს მინიმუმ 2-3 ფეხბურთელი ტრავმის გამო აკლდებოდა...**

- ეს ვიცი, მაგრამ დარჩენილ კონტინგენტს მაინც ცვლიდა... კუპერს ვერც იმ ტაქტიკის არჩევაში დავეთანხმები, რომლითაც ნაკრებს ათამაშებდა. არგენტინელი მწვრთნელი ყოველთვის ცდილობდა, ტაქტიკისთვის მოერგო გუნდი და არა - პირიქით. არადა, ჩემი აზრით, ის უფრო უპრიანი იქნებოდა, შემადგენლობის მიხედვით ირჩევდეს ტაქტიკას... როცა ატყობ, რომ შენ მიერ არჩეულმა გეგმამ ვერ გაამართლა ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ... შეხვედრაში, უნდა ადგე, სქემა შეცვალო და ჯიუტად აღარ ეცადო იმავე სქემის გუნდზე მორგებას... კუპერს დაცვის ერთ ხაზზე თამაშიც ვერ გავამართლებ. არ გვყავს იმ დონის მცველები, დაცვა ერთ ხაზზე რომ ვათამაშოთ. დღეს ბევრი გუნდი თამაშობს ხაზზე... კარგი, ამას შევეშვათ, მაგრამ როცა გუნდს კონკრეტული მატჩისთვის ამზადებ, ერთი სათამაშო რგოლი მაინც უნდა გყავდეს გამორჩეული, ძლიერი... ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთ მატჩს გუნდს ის ერთი, ყველაზე ძლიერი რგოლი გადაატანინებს ხოლმე. როცა მეტოქეს ყველა სათამაშო რგოლში ჩამოუვარდები, თითქმის წარმოუდგენელია, ის მატჩი მოიგო. 4-3-3 სქემა იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც დღეს ნაკრებში მოიაზრებიან, გაუმართლებელია. ამ სქემას ფლანგებზე სწრაფი, აქტიური, მუშა ფეხბურთელები სჭირდება, ჩვენ კი ასეთები, სამწუხაროდ, არ გვყავს.

**- შესარჩევ ციკლში წარუმატებლობა, მწვრთნელებთან ერთად, ფეხბურთელების ბრალიცააო, თქვით. ხომ არ დააკონკრეტებთ?**

- კი ბატონო, ვილაპარაკოთ ფეხბურთელებზეც. ბულგარეთთან და წინა შეხვედრებშიც ჩანდა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს მწვრთნელის ხელი აკლიათ. მათ საკლუბო მწვრთნელებს ვგულისხმობ. ასე რომ არ იყოს, ჩვენი მოთამაშეები, ლეგიონერებიც და ქართულ გუნდებში მოასპარეზეებიც, ბავშვურ შეცდომებს და თანაც არც თუ ცოტას, არ დაუშვებდნენ. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვან - შესაძლოა, მეტოქის სწრაფი კონტრშეტევისას გუნდმა გადაწყობა ვერ მოასწროს, მაგრამ როცა სტანდარტულს, ჯარიმას ან კუთხურს ასრულებს, ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, სად უნდა დადგეს. მცველმა ელემენტარული რამ მაინც უნდა იცოდეს, თუნდაც ის, რომ თავისი კარისკენ სახით არ უნდა დადგეს, ეს უკვე ნაგებული პოზიციაა.

» მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხურცილავა



« მეოთხე გვერდიდან

სწორედ ასე გაგვიტანა ჩერნოგორიამ პირველი გოლი. გახსოვთ? ჯარიმა შეასრულეს, ჩვენი ორი მცველი კი, ცენტრალური მცველები, არასწორად იდგნენ - ანუ, სახით ჩვენი კარისკენ და ამიტომაც მივიღეთ გოლი. ტელეეკრანიდან კარგად არ ჩანდა, მგონი, იმ ორიდან ერთ-ერთს მოხვდა ბურთი ფეხზე და ასე გავიდა კარში... ერთსაც ვიტყვი - ფეხბურთელი მეტოქის მოთამაშეზე მოედნის ცენტრში, ანდა მოწინააღმდეგის ნახევარში არ უნდა ჯარიმდებოდეს. მაშინ, როცა არანაირი ხიფათი არ იქმნება და ამ დროს გაფრთხილებას ან წითელ ბარათს მიიღებ, ეს გაუმართლებელია. სწორედ ეს და სხვა ფაქტები შემიძლია დავასახელო იმის დასტურად, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს მწვრთნელის ხელი აკლიათ... კიდევ ვიტყვი მწვრთნელის ნაკლზე - სოფიაში პირველი ტაიმი 6:1 რომ წავაგეთ, მარტო მეკარე უნდა შეეცვალა კუპერს? სხვა ცვლილება არ იყო საჭირო? როგორ, ის 6 გოლი მარტო მეკარის ბრალი იყო?.. ჩერნოგორიაში ჩვენებისგან საუკეთესო - იაშვილი იყო. ახლა ნახეთ, რა მოხდა სოფიაში - იაშვილი კვლავ სასტარტოში იყო, ოღონდ უკვე მარცხენა ნახევარმცველად. საინტერესოა, რატომ შეუცვალა კუპერმა პოზიცია?

**- გადაწყვეტილია, რომ არგენტინელი კონტრაქტს ჩაამთავრებს და წავა. მის შემცვლელად ყველაზე რეალურია თემურ ქეცბაიას კანდიდატურა, თუმცა თავად ზვიად სიჭინავამ ახსენა ერთი ინკოგნიტო ქართველი და ერთიც უცხოელი მწვრთნელი. თქვენ რა აზრის ხართ ფეხბურთის ფედერაციის სამწვრთნელო არჩევანზე?**

- ალბათ, გახსოვთ, რომ მე ყოველთვის ვიყავი უცხოელი მწვრთნელის წინააღმდეგი. ის, რომ მწვრთნელი უცხოელია, არ ნიშნავს, რომ ქართველზე უკეთ გაწვრთნის ჩვენს ნაკრებს. ხშირად მოჰყავთ არგუმენტები - აი, ტოპმიოლერსა და კუპერს კლუბებში დიდი წარმატებები ჰქონდათო. და რატომაც არ უნდა ჰქონოდათ? კლუბში მუშაობა უფრო იოლია, ვიდრე საქართველოს ნაკრებში. სთხოვ კლუბის პრეზიდენტს და ყველა საჭირო ფეხბურთელს იყიდის. ჩვენს ნაკრებში კი საჭირო ფეხბურთელი მწვრთნელმა თავად უნდა ეძებოს, აღმოაჩინოს, „გამოთალოს"... გარდა ამისა, აქ მეორე პრობლემაცაა - მენტალიტეტი. უცხოეთში მწვრთნელი ყველა ფეხბურთელს თითქმის ერთნაირად უდგება, ჩვენთან კი ლამის ყველასთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. ამიტომაა ჩვენს ნაკრებში მუშაობა ძნელი, უცხოურ კლუბში კი - გაცილებით იოლი. კი ბატონო, დავასაქმოთ ქართულ კლუბებში უცხოელები, მაგრამ ნაკრებში - მხოლოდ ქართველი, რადგან სხვაგვარად შედეგი არ გვექნება. გადავხედოთ უახლოეს წარსულს - ბოსკამპი, ჟირესი, ტოპმიოლერი, კუპერი... მათ ხელში უფრო უკეთესი შედეგი ჰქონდა ნაკრებს თუ ჩივაძის, ყიფიან-ძოძუაშვილის თუ გუცაევის დროს?

**- გასაგებია თქვენი პოზიცია - ნაკრები ქართველს უნდა ჩავაბაროთ. მაგრამ ვის? ვინ გეგულებათ ისეთი, ვინც ამ საქმეს გაუძლევება?**

- დღეს ყველა ამბობს, რომ აღარ გვინდა ძველი გვარდიის მწვრთნელები - ჩივაძე, ძოძუაშვილი, გუცაევი... კი ბატონო! ახალი თაობის მწვრთნელებიდან კი გამორჩეული ორია - თემურ ქეცბაია და შოთა არველაძე. მათ უცხოეთში საკმაო პრაქტიკა მიიღეს. ჩემი აზრით, უპრიანი იქნება, თუ ჩვენს ნაკრებს მათი ტანდემი ჩაიბარებს. მართალია, თავიდან გაუჭირდებათ, მაგრამ ყველა მხარში უნდა ამოვუდგეთ, სრული ნდობა გამოვუცხადოთ და მათ საქმეში არავინ ჩაერიოს. მათ კარგად იციან ჩვენი ფეხბურთელების მენტალიტეტი, ფსიქოლოგია, არ ემლებათ მიდგომა და მჯერა, შედეგიც ექნებათ.

**- ზოგი ამბობს, ქეცბაიასა და არველაძის ყოფილი თანაგუნდელები ნაკრებში დღესაც თამაშობენო. ეს სასარგებლო ფაქტორი იქნება თუ არა?**

- რა თქმა უნდა, სასარგებლო ფაქტორია, ეს უკეთესია. ისინი მეგობრები არიან და უკეთ გაუგებენ ერთმანეთს. აქვე ვიტყოდი - ზოგი იმასაც გაიძახის, ნაკრები სტაჟიანმა ფეხბურთელებმა უნდა დატოვონო. კობიაშვილისა და კალაძის პოზიციასაც გავეცანი... წავალთ, მაგრამ ეს გამოსავალი არ არისო, ამბობს ნაკრების კაპიტანი და მას აბსოლუტურად ვეთანხმები. ნაკრების ბირთვი სწორედ ეს ფეხბურთელები არიან - კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, ასათიანი, მუჯირი, ამისულაშვილი, მენთეშაშვილი, დვალიშვილი... გამორჩეული ფეხბურთელები უნდა იყვნენ. ამათ ისინი უნდა დავამატოთ, რომლებიც კონკრეტულ მომენტში კარგ ფორმაში იქნებიან.

**- ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შეიცვალა. რას იტყოდით ძველსა და ახალ მმართველზე?**

- ფედერაციის წინა პრეზიდენტს სულ ვაკრიტიკებდი, წავიდა ის კაცი და აღარაფერს ვიტყვი. ზვიად სიჭინავას მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ რაც ზუგდიდში გააკეთა და ვნახე, მით უმეტეს, თქვა, რომ მსგავსი სხვა რეგიონებშიც უნდა გავაკეთოო... როგორ შეიძლება, ამის შემდეგ მას მხარი არ დავუჭირო? არავის ეგონოს, ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მწვრთნელობა მინდა. არა, ეს გამორიცხულია. სხვა თუ არაფერი, საამისოდ ასაკიც აღარ მიწყობს ხელს... სიჭინავამ თქვა, რომ პირველ რიგში ქუთაისის სტადიონი უნდა განაახლოს, მერე ბათუმს მიხედავს და იქ საერთოდ ახალი არენა აშენდება. როგორ შეიძლება, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს, თელავს, ლანჩხუთს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავდეს? დღეს ჩვენი ფეხბურთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვა. სახელმწიფოს კი აშკარად ეტყობა, რომ ფეხბურთი აინტერესებს. ნაკრების უცხოელ მწვრთნელებს მილიონებს უხდის, ამდენ მოედანს აშენებს... ასე მოხდა თურქეთშიც და სხვა ქვეყნებშიც. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს და ხელისუფლება ფეხბურთისთვის გარკვეულ შეღავათებზე უნდა წავიდეს. სხვანაირად არაფერი გამოვა! არ შეიძლება, რესტორანი და სტადიონი, ან მეტიც - საფეხბურთო სკოლა, წყლის გადასახადს ერთნაირი ტარიფით იხდიდნენ! ასეთი მრავალი ნიუანსია... დაბოლოს, ერთსაც დავამატებდი - ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს მეგობრებს, ძველ დინამოელებს, ჩემს მანუჩარ მაჩაიძესა და ბესო მჭედლიშვილს 60 წლის იუბილეს მივულოცავ და ტკბილ სიბერეს ვუსურვებ.

**...ალბათ, გახსოვთ, რომ მე ყოველთვის ვიყავი უცხოელი მწვრთნელის წინააღმდეგი. ის, რომ მწვრთნელი უცხოელია, არ ნიშნავს, რომ ქართველზე უკეთ გაწვრთნის ჩვენს ნაკრებს...**

**ცქიტიშვილი კლუბში რომ თამაშობდა და კარგ ფორმაში იყო, მაშინ არ იძახებდნენ და მაინცდამაინც ბოლო 3-4 მატჩისთვის უხმეს, როცა აღარსად თამაშობდა...**

დავით ცაგაძე

## ლეგიონერები




# კალაძე ვერონაში ვერ ითამაშებს

გასულ ოთხშაბათს **კახა კალაძემ** „რეალთან" საჩემპიონთალიგო მატჩი გამოტოვა. ის გუნდს მადრიდში კი ახლდა და თითქოს სასტარტო შემადგენლობაშიც მოიაზრებოდა, მაგრამ მატჩისწინა ვარჯიშზე იმ ტრავმამ შეახსენა თავი, რის გამოც წინა უქმეებზე „რომასთან" მატჩში ვერ ითამაშა. ტკივილი მსუბუქი იყო, თუმცა მწვრთნელმა და ფეხბურთელმა გადაწყვიტეს, არ გარისკათ და კალაძემ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ახლა ის კარგად გრძნობს თავს, მაგრამ... ვერც ამ უქმეებზე (კვირას, სტუმრად „კიევოსთან") ითამაშებს. ამჯერად, მიზეზი კახას ბებიის გარდაცვალებაა (რასაც ვუსამძიმრებთ), რის გამოც „მილანის" მცველი იტალიიდან დროებით სამშობლოში დაბრუნდა.

დავით ცაგაძე

# აშვეთიას საგოლე პასი



გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივი" ახალგაზრდული შემადგენლობით რამენსკოეს „სატურნს" გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა. რკინიგზელთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „ლოკოს" დუბლებს ძირითადი გუნდიდან მხოლოდ **დავით მუჯირი** დაამატეს, რომელსაც ბოლო ხანს ნაკლებად უწევს თამაში და პრაქტიკა სჭირდება. მუჯირი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრაც შეუცვლელად ჩაამთავრა. დათოს ბურთი არ გაუტანია, მაგრამ რკინიგზელთაგან ის ერთადერთი გოლი სწორედ მუჯირის მიერ წამოწყებულ შეტევას მოჰყვა. ქართველ ნახევარმცველს თავადაც შეეძლო გაეტანა, მაგრამ 75-ე წუთზე მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმისას რამენსკოელთა მეკარემ რთული ბურთი აიღო.

რუსეთში მოასპარეზე კიდევ ერთ ქართველზე გამცნობთ. პირველ დივიზიონში მოასპარეზე **მიხეილ აშვეთიას** „ნიჟნი ნოვგოროდმა" მორიგ ტურში „ნოსტა" ორი უპასუხო გოლით დაამარცხა. ქართველი ფორვარდი მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 76-ე წუთზე შეცვალეს, როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო. 43-ე წუთზე **გოვოროვმა** მეორე გოლი აშვეთიას პასით გაიტანა.

დავით ცაგაძე

# სალუქვაძის ფასი გაიზარდა

„ნოუ კამპზე" „ბარსელონას" მძლეველი „რუბინის" მიმართ რუსი მიმომხილველები კომპლიმენტებს არ იშურებენ. ერთ-ერთმა გამოცემამ ეს შეხვედრა „ალმოსავლურ ზღაპრადაც" კი მონათლა. რუსულმა ვებგვერდმა „ევროფუტბოლმა" კი „რუბინის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების სატრანსფერო ფასის ზრდაზე გვარიანად იმუშავა.

როგორც ირკვევა, ყაზანელთა გუნდის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელთა ფასი ჯამში, ერთბაშად 32 მილიონი ევროთი გაიზარდა. გამოცემის ჩამონათვალში ფეხბურთელების სატრანსფერო ფასის ზრდა კონკრეტულადაცაა ჩამოთვლილი. სულ 14 ფეხბურთელია დასახელებული. ამ ჩამონათვალში ნახევარმცველი **დავით კვირკველია** და მეკარე **ნუკრი რევიშვილი** შეყვანილი არ არიან. იქ მხოლოდ ერთი ჩვენებურია - მცველი **ლაშა სალუქვაძე**. ამ მასალის მიხედვით, „რუბინმა" თავის დროზე სალუქვაძე 200 ათას ევროდ **შეიძინა** თბილისის „დინამოსგან". დღეისათვის კი სალუქვაძის ფასი ერთბაშად **1.3 მილიონი** ევროთი მაღალია. ეროვნული ნაკრების მცველის ამჟამინდელი **სატრანსფერო** ფასი 1.5 მილიონი ევროა.

დავით ცაგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

# სიყვარულის ასორტი



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

როგორც იქნა, მიხვდნენ ქართველები, რომ ჩვენი ნაკრების ტრენერად საზღვარგარეთელის დანიშვნა არ შეიძლება. ნავა ეხლა ეს კუპერიც და მოვისვენებთ. საზღვარგარეთელმა საზღვარგარეთელები გაწვრთნას, ძმაო, და ისიც საზღვარგარეთ, ჩვენთან კი ჩვენიანი უნდა იყოს - აღარ უნდა ამას ლაპარაკი! იცის საზღვარგარეთელმა ჩვენი ჯიგრის, მეობის, ამბის და გაგების ამბავი? არა! არადა, ჩვენი ფეხბურთი იმათისგან სწორედ მაგით განსხვავდება: იმათთან ოთხი-ოთხი-ორია, ჩვენთან - ჯიგარი, იმათთან, ოთხნი ხაზზეა, ჩვენთან - ქართველობა. კაცს კაცურად უნდა მიუდგე, თორემ შეტევის დროს შუაში შედი და დაცვის დროს კრაიზე გადადიო, რომ იტყვი, ეგ ვის რად უნდა?! ხო იცი ქართველი მხრებში როდის იშლება? კაცობას რომ იგრძნობს, მაშინ!

იმ დღეს ვკითხულობდი, ინგლისის ნაკრები სასადილოში იჯდა, ტრენერმა დაინახა ვილაც ფეხბურთელი მესიჯს გზავნიდა და გაბრაზებულმა კედელს პადნოსი ესროლაო. ვახ, ჩემი... იქნებ, რა უჭირდა იმ ფეხბურთელს, კი არ იკითხა? იქნებ, ძმაკაცი ფაქტით დაიჭირეს და გამოსაყვანი იყო ან რამე? მაგრამ, არა! საზღვარგარეთელი უჯიგროა და უჯიგროდ მოიქცა, კედელს პადნოსი მიარტყა. ჰოდა, ჩამოიყვან ჩვენთან ეგეთ უცხვირპიროს (არადა, ეგენი ყველანი უცხვირპიროები არიან) და ვსიო, მანდ დამთავრდა ყველაფერი.

მერე, ბიჭო, დაიწყებენ რაღაც თანამედროვე სისტემებზელაპარაკს: ესე გადაეწყვე, ისე გადაეწყვე, ძველებური დაცვა ითამაშე, მოედნის მესამე მესამედი აითვისე... იმას კი არ უყურებენ, რომ ჩვენთან ხალხს ეგ მათემატიკა ჯერ კიდევ სკოლაში სძულდა. მიდი რა, კაცურად, დუბლივეს მიაწექი... თუ რა ჰქვია იმას... ნუ, რაც იცის აქ ხალხმა. გააკატავე ბურთი, სტენკა გამითამაშე, აბვოდი გააკეთე. აზრზე ხარ - ისინი თუ სამნი უტევენ და ჩვენ ოთხნი ვართ, ასე უნდა დავლაგდეთ, ისინი თუ ორნი არიან და ჩვენ სამნი - ისე, ისინი თუ ხუთნი არიან და ჩვენ... ე! სოუ! თქვენ ხომ არ გაუბერეთ იმ საზღვარგარეთ?! მაგას ჩვენთან უნივერსიტეტში... უნივეტირსეტში... უნივერისტეტში... ნუ, სადაც არი, კარგად იქაც ვერ იგებენ და შენ გინდა ფუტბალისტმა გაიგოს?

მოკლედ, მორჩა და გათავდა, საზღვარგარეთელების დრო წავიდა. ჩვენ ჩვენი ჯიგარი და სიყვარული გვჭირდება, თვალებში რომ შეგხედავს და რომ გაგიგებს. უცხოელებს ხო არ გადავაყოლებთ ქვეყანას?! ბოლო-ბოლო, მაინც ხო ყველანი ერთად რესტორანში უნდა წავიდეთ.

არადა, ხომ გახსოვს, რა ფუტბოლს ყომარობდნენ ჩვენები? სიყვარულით ყომარობდნენ და იმიტომ. თუ გინდა, მიდი და ჰკითხე, რომელსაც გინდა. ყველა გეტყვის, რომ მთავარი სიყვარულია. ჰოდა, საზღვარგარეთელი მინდა ეხლა მე? მაგათი... მაგათთან, ბიჭო, კაცი კაცზე ქორწინდება.

ქართველი, კიდე, ძმაო, იმით არის კაი, რომ მიხვალ, მალარიჩს უკისრებ და თუ რამე პრობლემა გაქვს, გაგიგებს. ბოლო-ბოლო, იმის ძმის ძმაკაცი შენი ბიძაშვილის კლასელი ხო უეჭველად იქნება. ჰოდა ეგ არის, რა! პადნოსები ერთმანეთს ესროლონ, ჩვენ კი ჩვენს საქმეს მივხედოთ და აბვოდებს მივაწვეთ... თუ დუბლივეს... რაც ქვია, რა.

და კიდე, ახალი მწვრთნელის დასახელებას ჯერ მაინც ნუ ვიჩქარებთ. მე, მაგალითად, ფედერაციას ასე ვურჩევდი: შეაგროვოს სამი-ოთხი კანდიდატი და სადმე მცხეთაში წაიყვანოს - აი, საგურამოსკენ რო მიდიხარ და მარჯვნივ ჩასახვევი რო არის. აილონ ზაკუსკა, შემწვარი, ღვინო-არაყი, ხაჭაპური ნა ვერტელე (ოღონდ, მანდ თუ აკეთებენ, არ ვიცი) დაილაპარაკონ, მოეფერონ ერთმანეთს და ყველაფერი იქ გაირკვევა. ამასობაში, იქნებ, ვინმემ ესესერიც აღადგინოს!

გკოცნით, გეხუტებით და გეფერებით თქვენი ფერდინანდ კუთხურსკი ჯიგრის ყაურმიდან. ჩემს ჩანაწერს

რედაქციაში ვატან
**ილია ბაბუნაშვილს**

უცნობი ქართველები

# ნაცნობი ისტორია რუსეთიდან, სერია 1001-ე

დღეს რამდენიმე უცნობი ქართველი ფეხბურთელის თაობაზე მოგითხრობთ. „რუსთავი 2-ის" გადაცემაში, „საფეხბურთო ღამე" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** მოსკოვის „ტრუდოვიე რეზერვის" 16 წლის თავდამსხმელ **რომეო გელენიძით** დაინტერესება ახსენა.

მას შემდეგ „ლელოში" რომეოზე დაიწერა, დევდარიანი შეგვეხმიანა და გელენიძესთან დაკავშირება გვთხოვა, რადგან რომეოს იტალიურ კლუბ „ბრეშაში" იწვევდნენ, ნაკრების მწვრთნელს მისი ჩამოყვანა და გასინჯვა სურდა.

რუსებმა დევდარიანს ბავშვის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდეს, ყველანაირად ხელი შეუშალეს და ბოლოს უთხრეს, რომ გელენიძე რუსეთის მოქალაქეა და საქართველოს ნაკრებში მის მიწვევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

თავად გელენიძე კი ფულზე დახარბებული ბავშვი არაა და საქართველოს ნაკრებში თამაშზე ოცნებობს.

*„გავიგე, დევდარიანი რომ მიკავშირდებოდა. პირადად მე კი მობილური ტელეფონი ხშირად მაქვს გათიშული, რადგან თამაშამდე ბაზაზე გვკეტავენ, ტელეფონებს გვართმევენ და ლაპარაკის უფლებას არ გვაძლევენ.*

*დევდარიანს ჩვენი გუნდის უფროსი ელაპარაკა და უარი უთხრა. თუმცა, ეს არაა პრობლემა. საქართველოში ახალი წლისთვის ჩამოვალ, მანამდე კი კლუბში ამ საკითხს მოვაგვარებ. ამის შემდეგ დევდარიანს მამაჩემი ელაპარაკა და მოილაპარაკეს. მე თავად იმ ფაქტმა გამახარა, დევდარიანი ყურადღებას რომ მაქცევს. ეს ჩემთვის სტიმულია და რადაც არ უნდა დამიჯდეს, საქართველოს ნაკრებში უნდა გამოვიდე. რუსეთის 17-წლამდელებში მითამაშია, მაგრამ თავადაც იცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან დაკავშირება თავად ვცადე. მოკლედ გეტყვით, რომ მე მხოლოდ საქართველოს ჰიმნის ქვეშ დავდგები. ამას მხოლოდ თქვენ არ გეუბნებით, „ტრუდოვიე რეზერვის" ხელმძღვანელებს ველაპარაკე, რომ ვარ ქართველი და სხვა არც ერთ ნაკრებში არ ვითამაშებ. ასე რომ, ამაზე არც ვნერვიულობ",* - ამბობს გელენიძე.

რაც შეეხება საკლუბო საქმეებს, გელენიძე ახლა მოსკოვის „ლოკომოტივთან" მოსკოვის პრემიერლიგის მატჩისთვის ემზადება. ერთი კვირის წინ კი „სპარტაკთან" შეხვედრამ გული დასწყვიტა - 3:1 წავაგეთ და პენალტი ვერ გავიტანეო.

რომეოს იტალიურ „ბრეშაში" გადასვლა სურდა, ზაფხულში იტალიაში ივარჯიშა, დარჩენაც შესთავაზეს და მოსკოველთა პრეზიდენტი ზამთარში ტრანსფერსაც დათანხმდა, მაგრამ ახლა მისი გეგმები შეიცვალა.

*„მეორე წრეს რუსეთში დავამთავრებ და სადმე გადავალ. „ტრუდოვიე რეზერვების" პლუსი ისაა, რომ ფეხბურთელებს გასაყიდად ზრდის და ეს მეც ხელს მაძლევს. დიახ, „ბრეშაში" გადასვლა გადაწყვეტილი მეგონა, იტალიელებმა კონტრაქტიც შემომთავაზეს, მაგრამ არანაკლებ საინტერესო სხვა ვარიანტებიც გამოჩნდა. ერთ-ერთი სოლიდური ევროპული კლუბიდან აგენტი დამიკავშირდა, მოსკოვშიც ჩამომაკითხა და ზამთარში კონტრაქტი შემომთავაზა. ამ წინადადების თაობაზე მხოლოდ მე ვიცი და კლუბს ვერ დავაკონკრეტებ. არ მინდა, რომ ხელი შემიშალონ. ჩემი სურვილი ისეთ კლუბში გადასვლაა, რომელიც საქართველოს ნაკრებში თამაშს არ დამიშლის".*

## ქართველი მანჩესტერ იუნაიტედში

**გიორგი დევდარიანი** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში გასასინჯად „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელ **ბექა ქაჯაიასაც** იწვევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ჩამოყვანაც ვერ მოხერხდა. ვინაა „მანიუს" ქართველი ფეხბურთელი? ინფორმაცია „არველაძეების ფონდის" დირექტორმა **გიორგი კაციტაძემ** მოგვაწოდა:

*„ბექა თავად დამიკავშირდა და მითხრა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი იყო და რომ დუბაიში „მანჩესტერ იუნაიტედის" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს. ინფორმაცია გიორგი დევდარიანს მივაწოდე და სურდა, თბილისში შეკრებაზე მოეწვია, მაგრამ ბექამ ჩამოსვლა ვერ მოახერხა".*

როგორც დავადგინეთ, 16 წლის ბექა ქაჯაია დუბაიში, „მანჩესტერ იუნაიტედის" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს, პოზიციით მარცხენა მცველი და ნახევარმცველია. მისი მშობლები არქიტექტორები არიან და მეთხუთმეტე წელია დუბაიში ცხოვრობენ. ბექა დუბაიში მერვე წელია ცხოვრობს, მანამდე თბილისში „ირაოზე" დადიოდა და ბუნებრივია, ვარჯიში არაბეთშიც გააგრძელა - უკვე მეოთხე წელია ბურთს „მანიუს" ბავშვებთან ერთად აგორებს.

„მანჩესტერ იუნაიტედს" დუბაიში საფეხბურთო სკოლის ფილიალი აქვს, სადაც უმთავრესად ინგლისელები ვარჯიშობენ. მათ შორის უცხოელი იშვიათობას წარმოადგენს და ქაჯაია სწორედ ამ იშვიათ გამონაკლისებში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ბექა ნიჭიერი ბიჭია, რადგან დუბაის სკოლის იმ სამ საუკეთესოს შორის აღმოჩნდა, რომლებიც მანჩესტერში, მთავარ საფეხბურთო კლუბში ერთთვიან სტაჟირებაზე ჩაიყვანეს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ჩამოუსვლელობას - ბექა დუბაის ინგლისური სკოლის მოსწავლეა, საიდან დათხოვაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ფეხბურთელს ნაკრებში თამაში კი სურს, თუმცა გასინჯვაზე ჩამოსვლა მხოლოდ ზაფხულში შეუძლია.

შესაძლოა, ქაჯაია „მანჩესტერის" სკოლაში ბოლო სეზონს ატარებს, რადგან დიდების კლუბში გადასვლა სურს. სხვათა შორის, დუბაიშია „მანჩესტერ სიტის" საფეხბურთო ბაზა, კლუბის, რომლის მეპატრონეც არაბი გახდა. მოხერხდება თუ არა ამ კლუბში ქართველი ფეხბურთელის ჩარიცხვა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ბიჭი ინგლისურ საფეხბურთო სამყაროში დამკვიდრებას ცდილობს და იმედია, მოახერხებს კიდეც.

**მერაბ მამულაშვილი**



მარჯვნივ ბექა ქაჯაია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის წინ

# რონალდო: მათამაშეთ!

## პუიოლმა კონტრაქტი გააგრძელა

| დღეს | |
|---|---|
| ატლეტიკო-მალიორკა | 20:00 |
| სპორტინგი-რეალი | 22:00 |
| სევილია-ესპანიოლი | 00:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ხეტაფე-ბილბაო | 20:00 |
| რასინგი-ოსასუნა | 20:00 |
| ტენერიფე-ხერესი | 20:00 |
| ვალიადოლიდი-დეპორტივო | 20:00 |
| ვილიარეალი-მალაგა | 20:00 |
| ალმერია-ვალენსია | 22:00 |
| ბარსელონა-სარაგოსა | 00:00 |

მე-8 ტურის წინ ესპანეთში ორი თემა ჰქონდათ გასარჩევი - **აბელ რესინოს** მოხსნა და **კრიშტიანო რონალდოს** სენსაციური განცხადება. მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავმა, რომლის გარეშეც „სამეფო კლუბმა“ უკვე ორი მატჩი წააგო ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში, განაცხადა, რომ მზად არის სათამაშოდ! „დილა-საღამოს საკმაოდ ინტენსიურად ვვარჯიშობ ტრენაჟორების დარბაზსა და აუზში, დავრბივარ. ნატკენი კოჭი საერთოდ აღარ მაწუხებს და რატომ არ უნდა ვითამაშო“? - აცხადებს პორტუგალიელი. შეგახსენებთ, რომ კრიშტიანომ 10 ოქტომბერს უნგრეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გაიმიზეზა ძველი ტრავმა. ექიმების დასკვნით, პორტუგალიელი სულ მცირე ერთი თვე უნდა დაკლებოდა გუნდს. ამის გამო მადრიდის „რეალსა“ და პორტუგალიის ნაკრების თავკაც **კარლუშ კეიროშს** შორის დაპირისპირებაც კი დაიწყო. „სპორტინგთან“ მატჩი კი დღესაა, თვე კი არა, მისი ნახევარიც არ გასულა.

მიუხედავად კრიშტიანო რონალდოს მეტისმეტი ოპტიმიზმისა, მისი თამაში დღეს გამორიცხულია, ამას **მანუელ პელეგრინი** არ დაუშვებს. რონალდომ მწვრთნელიც რომ დაიყოლიოს, „რეალის“ ექიმებთან ვერას გახდება. მათი ახალი ვერდიქტით, ფეხბურთელი იმდენად მალე გამოჯანმრთელდა, რომ შესაძლოა მან „მილანთან“ საპასუხო მატჩში ითამაშოს, რომელიც 3 ნოემბერს გაიმართება. „რეალში“ ტყუილად არ ფრთხილობდნენ, რონალდომ ერთხელ უკვე იჩქარა და ტრავმა გაიმიზეზა. ასე რომ, რაც უნდა ის თქვას სუპერვარსკვლავმა, მის 100 მილიონ ევროდ დაზღვეულ ფეხებს კი მაინც გაუფრთხილდებიან.

ლა ლიგის მეორეადგილოსანი „მილანთან“ მარცხის შემდეგ ხიხონს ეწვევა. თუკი მანუელ პელეგრინი ვერ შეძლებს „სპორტინგთან“ სამი ქულის მოპოვებას, შეიძლება ჩილელი აბელ რესინოს ბედის გამზიარებელიც აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში მას უკვე ძალზე ხშირად აკრიტიკებენ, მათ შორის „გალაქტიკოს“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესიც**. პელეგრინის აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მიუხედავად ზაფხულში გადახდილი 260 მილიონი ევროსი, „რეალი“ ვერ თამაშობს სანახაობრივ ფეხბურთს, ხოლო მისი დაცვის ხაზი აშკარად სუსტია. კრიშტიანო რონალდოს გარდა მწვრთნელი ვერ გამოიყენებს **ლასანა დიარას**, რომელიც „მილანთან“ თამაშში საუკეთესო იყო. პელეგრინი აპირებდა **გონსალო იგუაინის** სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას, მწვრთნელს საფიქრებელი მხოლოდ ის ჰქონდა, რომელი დაესვა სათადარიგოთა სკამზე, **რაული** თუ **ქარიმ ბენზემა**. მწვრთნელს კლუბის ექიმებმა ცუდი ამბავი მოუტანეს, იგუაინიც და ბენზემაც ტრავმირებულები არიან. ასე რომ, რაული ერთადერთი ჯანმრთელი ფორვარდია გუნდში, რუდ ვან ნისტელროი რომ ვერ ითამაშებდა, წინდაწინვე ცნობილი იყო. „სპორტინგი“ წლევანდელ სეზონში ყოჩაღობს, გუნდი მე-7 ადგილზეა.

**რეალი** (სავარაუდო შემადგენლობა): კასილიასი, რამოსი, პეპე, გარაი, დრენტე, გაგო, ჩაბი ალონსო, გუტი, კაკა, გრანერო, რაული.

საინტერესო მატჩი გველის „ვისენტე კალდერონზე“ - აბელ რესინოსგან დაობლებული „ატლეტიკო“ „მალიორკას“ მასპინძლობს. ბალეარელებთან შეხვედრისთვის გუნდს ასისტენტი მწვრთნელი **სანტი დენია** მოამზადებს და მოედანზეც ის გაიყვანს. **კიკე ფლორესის** ნამდვილ დებიუტს შემდეგ ტურში უნდა ველოდეთ, თუმცა ოფიციალურად ახალი მწვრთნელი დღესვე გაფორმდება მატჩის ოქმში.

მატჩის წინა დღეს „მალიორკას“ ნახევარმცველმა **ბორხა ვალერომ** განაცხადა, რომ კუნძულზე ყველაფერი მოსწონს და სურს გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. შეგახსენებთ, რომ 24 წლის შუახაზელი „მალიორკაში“ იჯარის წესით თამაშობს, წესით კი სეზონის ბოლომდე ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ ეკუთვნის.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ატლეტიკო:** ასენხო, ლოპესი, იბანიესი, პერეა, უიფალუში, როდრიგესი, სანტანა, ასუნსაო, ხურადო, ფორლანი, აგუერო.

**მალიორკა:** ავატე, ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოსე, სუარესი, ვალერო, ალვარესი, კასტრო, კეიტა, ვიქტორი.


ლაშა დვალიშვილის სტუდია და ტელეკომპანია მზე გთავაზოგთ ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით

**ინტერაქტივი ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი-ხეტაფე | 80 44 0 10 |
| ოსასუნა-ბარსელონა | 80 44 0 11 |
| ატლეტიკო-ბილბაო | 80 44 0 12 |
| სარაგოსა-ალმერია | 80 44 0 13 |
| მალაგა-ვალენსია | 80 44 0 14 |
| დეპორტივო-სპორტინგი | 80 44 0 15 |

ინტერაქტივი შეჩერდება სამშაბათს 2 საათზე! ეს არის მაქსიმალური დრო, როდესაც თამაშების შეკვეთაა შესაძლებელი.




რონალდო ბრძოლაში იწევს

ტურს „ბარსელონას“ და პრიმერაში დაბრუნებული „სარაგოსას“ შეხვედრა დაასრულებს. „რუბინთან“ წაგების შემდეგ **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს შელახული პრესტიჟი აქვს დასაბრუნებელი. გუნდის ექიმებმა მწვანე შუქი აუნთეს უკრაინელ მცველ **დმიტრო ჩიგრინსკის**, ახლა მისი თამაში გვარდიოლას გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. კლუბის კაპიტანი **კარლეს პუიოლი** დაცვის ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლებს, სადაც ტრავმირებულ **დანიელ ალვეშს** შეცვლის. გუშინ ჟოან გამპერის სახელობის კომპლექსზე ვარჯიში ტრავმის გამო მხოლოდ ბრაზილიელმა გააცდინა. **ტიერი ანრიმ** და **გაბრიელ მილიტომ** ინდივიდუალურად ივარჯიშეს, თუმცა მათ „სარაგოსასთან“ მატჩში ალბათ ვერ ვიხილავთ.

გუნდის კაპიტანმა კარლეს პუიოლმა „ბარსელონას“ გულშემატკივრები კონტრაქტის გაგრძელებით გაახარა. დღეიდან პუიოლი 2013 წლის სეზონის ბოლომდე ბარსელონელია.

საინტერესო სიახლეა „ბარსელონაში“ სატრანსფერო კუთხით. მედიის ცნობით კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ პორტუგალიელი **დანის** ხელში ჩასაგდებად. 2008 წელს დანი რუსული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირი ტრანსფერის გამჩარხავი გახდა, ის მოსკოვის „დინამოდან“ „ზენიტში“ 30 მილიონ ევროდ გადავიდა. დანი ახლა პორტუგალიაშია, სადაც მუხლის მძიმე ტრავმას მკურნალობს. ეს ცნობაც პორტუგალიური მედიის გავრცელებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 6 | 1 | 0 | 17-3 | 19 |
| 2. რეალი | 7 | 6 | 0 | 1 | 21-6 | 18 |
| 3. სევილია | 7 | 5 | 0 | 2 | 14-5 | 15 |
| 4. დეპორტივო | 7 | 5 | 0 | 2 | 11-6 | 15 |
| 5. მალიორკა | 7 | 4 | 1 | 2 | 14-8 | 13 |
| 6. ვალენსია | 7 | 3 | 3 | 1 | 12-9 | 12 |
| 7. სპორტინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 8. ესპანიოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-8 | 11 |
| 9. ოსასუნა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8 | 10 |
| 10. ბილბაო | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 11. ალმერია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 12. ხეტაფე | 7 | 3 | 0 | 4 | 10-12 | 9 |
| 13. სარაგოსა | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| 14. ატლეტიკო | 7 | 1 | 3 | 3 | 9-17 | 6 |
| 15. რასინგი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-15 | 6 |
| 16. ტენერიფე | 7 | 2 | 0 | 5 | 4-12 | 6 |
| 17. ვალიადოლიდი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-16 | 5 |
| 18. ხერესი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-13 | 5 |
| 19. მალაგა | 7 | 1 | 1 | 5 | 7-10 | 4 |
| 20. ვილიარეალი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-10 | 3 |



კიკე სანჩეს ფლორესი

სამწვრთნელო ცვლილება

# რესინომ ტელეფონი გამორთო, ატლეტიკომ რესინო

## ატლეტიკოს ახალი თავკაცი კიკე ფლორესი იქნება?

21 ოქტომბრამდე, სანამ მადრიდის „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგის ლონდონურ მატჩში „ჩელსისგან“ 0:4-ს იწვნევდა, გუნდის მთავარ მწვრთნელ **აბელ რესინოსთვის** ყველაფერი ნორმალურად იყო, ამდენი წარუმატებლობის მიუხედავად მწვრთნელი ინარჩუნებდა მთავარს, კლუბის ხელმძღვანელობის ნდობას. ეს ნდობა კი ლონდონურმა ფიასკომ, უფრო კი თამაშის შემდეგ რესინოს მიერ გაკეთებულმა კომენტარმა, თამაშით ძალიანაც კარგად ვთამაშობთ, უბრალოდ, „ატლეტიკოს“ საფეხბურთო ფორტუნამ საბოლოოდ აქცია ზურგიო, კლუბის პრეზიდენტის **ენრიკე სერესოს** მოთმინების ფიალაც აავსო.

22 ოქტომბერს სერესომ „დიარიო ასს“ განუცხადა: *„რაღაც უნდა მოვიმოქმედო, ასე გაგრძელება უბრალოდ არ შეიძლება. ძალიან ბევრ გოლს ვუშვებთ, ასე აღარ შეიძლება. გუნდში ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემაცაა, პირველ ტაიმში, გაშვებულ გოლამდე კარგად ვთამაშობდით, მერე კი გუნდს რაღაც საოცრება მოუვიდა - ნაწილებად დაიშალა. ვერ გეტყვით, როგორ უნდა ვუწამლო გუნდს, თავად არ ვიცი ჯერ, მაგრამ ფაქტია, გუნდის ხელმძღვანელობამ რაღაც უნდა მოიმოქმედოს“*. ამ ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ აბელ რესინოს უკანასკნელი დასაყრდენი გამოეცალა ფეხქვეშ და მისი მადრიდული კარიერა დასრულდა.

რესინოს 22-შივე გაუშვებდნენ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა სავარაუდო კანდიდატებს (რომელთაც ლამის ოფიციალურად ელაპარაკებოდა!) ვერ შეუთანხმდა. „ატლეტიკომ“ ორ მწვრთნელთან გამართა მოლაპარაკება დღის განმავლობაში, ორივე წარუმატებლად. მედიის ცნობით, მადრიდული გუნდის ხელმძღვანელობას მოლაპარაკება ჰქონდა „რომას“ ექსთავკაც **ლუჩანო სპალეტისთან**. *„მოხარული ვარ, რომ ასეთმა სახელოვანმა კლუბმა მიმიწვია სამუშაოდ, მაგრამ გეტყვით, რომ მე არ ვიქნები „ატლეტიკოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა პრესისთვის სპალეტიმ გვიან საღამოს.

22-ში საღამოს „მარკამ“ გაახმაურა, რამდენიმე საათში აბელ რესინოს ადგილს დანიელი მიქაელ ლაუდრუპს ჩააბარებენო, თუმცა რამდენიმე საათში იმავე გამოცემამ უარყო ინფორმაცია, თურმე ლეგენდარული ფეხბურთელი არ დათანხმდა კლუბის მიერ შეთავაზებულ წინადადებას - აბელ რესინომ პოსტი შეინარჩუნა... ერთი ღამით.

მოგვიანებით ლაუდრუპთან წარუმატებელი მოლაპარაკება „ატლეტიკოს“ დირექტორმა **ხესუს გარსია პიტარხმა** აღიარა: *„დილით კლუბის პრეზიდენტს ვესაუბრე და პრობლემის მოგვარების ორი გზა შევთავაზე. შემდეგ მიქაელ ლაუდრუპთან სამი-ოთხი საათით ვისაუბრე, მაგრამ მან ეჭვი გამოთქვა, რომ „ატლეტიკოს“ უთავკაცებდა. შემდეგ მან დამირეკა და ორჭოფული პასუხი გამცა, მიქაელი ფენომენალური ადამიანია, მაგრამ „ატლეტიკოს“ მწვრთნელობის მსურველს თვალები უნდა უელავდეს მონდომებისგან, მას კი სწორედ ეს ვერ შევატყვე“*.

პიტარხმა კიდევ უფრო საინტერესო და ცოტა არ იყოს სასაცილო ინფორმაციაც გაუმხილა საზოგადოებას: *„მე და აბელს შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა, რომელიც, რატომღაც, ბოლო კვირებში შეიცვალა. დღეს მას დავურეკე, მაგრამ არ მიპასუხა, ეს რაღაც უცნაური, აუხსნელი საქციელია. მის ასისტენტ სანტი დენიას ვუთხარი, რომ რესინოსთან საუბარი მსურდა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. ბოლო სამი დღეა, რესინო კლუბის ხელმძღვანელობის ზარებს არ პასუხობს და იმალება“*. მართლაც საოცარია, როგორ აიცილებდა თავიდან მწვრთნელი მოხსნას მობილურის გამორთვით?

ამასობაში ერთი მოხალისე მწვრთნელიც გამოჩნდა, **გრეგორიო მანსანომ**, რომელიც „მალიორკას“ წვრთნის და შაბათს სწორედ „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ გაიყვანს გუნდს, განაცხადა, რომ სიამოვნებით დაბრუნდებოდა გუნდში, თუკი კარგ წინადადებას შესთავაზებდნენ. როგორც ჩანს, მანსანო კლუბის ხელმძღვანელობას არ აინტერესებდა...

გუშინ, დილით „ატლეტიკოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმადაც გუნდის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა აბელ რესინო: *„პარასკევს დილით მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელის პოსტი აბელ რესინომ დატოვა„*. 49 წლის თავკაცმა ბოლო 10 მატჩიდან „ატლეტიკოს“ მხოლოდ ერთში მოაგებინა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ატლეტიკომ“ შინ ვერ მოუგო კვიპროსულ აპოელ-ს, წააგო „პორტუსა“ და „ჩელსისთან“ და ახლა ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსს ინარჩუნებს. პრიმერა დივიზიონში გუნდი 6 ქულით მე-15 ადგილზეა.

რესინო ფეხბურთელობისას გოლკიპერი იყო, ის 1982 წლიდან (ჯერ B გუნდში) 1995 წლის ჩათვლით „ატლეტიკოს“ მეკარე იყო და მის რიგებში 243 მატჩში ითამაშა. შემდეგ „ელ გატომ“ „რაიო ვალეკანოში“ გადაინაცვლა, სადაც ერთი სეზონი ითამაშა და კარიერაც დაასრულა. ელ გატოს ესპანეთის ნაკრებში 2 თამაშიც აქვს ჩატარებული (1991 წელს). ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ რესინო „ატლეტიკოში“ იწყებს მუშაობას, ჯერ მეკარეთა მწვრთნელად, მერე კი სპორტულ დირექტორად.

2005 წლიდან რესინო დამოუკიდებელი მწვრთნელია, ჯერ „მურსიაში“, შემდეგ „ლევანტესა“ და „კასტელონში“. სხვათა შორის, „ლევანტეში“ ის **შოთა არველაძის** დროს მოღვაწეობდა. წლეულს, თებერვალში აბელ რესინო მშობლიურ „ატლეტიკოს“ დაუბრუნდა... მთავარი მწვრთნელის რანგში, მან **ხავიერ აგირე** შეცვალა. „ატლეტიკომ“ მიზანს მიაღწია, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მწვრთნელს კი კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. მაგრამ ახალ სეზონში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

„ატლეტიკო“ უმწვრთნელოდ სულ რამდენიმე საათი იყო, მას სათავეში 44 წლის **კიკე სანჩეს ფლორესი** ჩაუდგა. საღამოს „ატლეტიკოს“ დირექტორმა პიტარხმა მეორე პრესკონფერენცია ჩაატარა, თუ პირველზე მან რესინოს გადაყენების მიზეზები დაასახელა, მეორე პრესკონფერენციაზე მედიას ახალი თავკაცი კიკე ფლორესი წარუდგინა. ენრიკე სანჩეს ფლორესი „ვალენსიას“ და „რეალის“ ყოფილი მარჯვენა მცველია. 1984-1994 წლებში კიკე ფლორესმა 232 მატჩში „ღამურებისთვის“ 14 გოლი გაიტანა. 1994-1996 წლებში ის უკვე „სამეფო კლუბის“ წევრია. 1997 წელს მან ფეხბურთს თავი დაანება, ესპანეთის ნაკრებში „ატლეტიკოს“ ახალმა თავკაცმა 15 მატჩში ითამაშა, მათ შორის მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზეც.

2001 წელს კიკე ფლორესი მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგა სათავეში, 2004 წლიდან კი - პრიმერაში ალზევებულ „ხეტაფეს“. ახალმა გუნდმა თავი არ შეირცხვინა, მე-13 ადგილი დაიკავა და კიკე „ვალენსიაში“ გაიხსენეს, მან **კლაუდიო რანიერი** შეცვალა. პირველივე სეზონში მან გუნდს მესამე ადგილი მოუპოვა, კარგად ითამაშა „ვალენსიამ“ ჩემპიონთა ლიგაშიც. მეორე სეზონში „ვალენსია“ კვლავ გავიდა სალიგო ოთხეულში. ზუსტად ორი წლის წინათ კი კიკე „ვალენსიას“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. წარუმატებელი გამოდგა მისი მუშაობა ლისაბონის „ბენფიკაში“, გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა, რაც არასოდეს არ არის კარგი შედეგი „ბენფიკასთვის“. კიკეს უმუშევრობა ხუთ თვეზე ოდნავ ნაკლები გაგრძელდა.

***P.S.* გუშინ გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციით, კიკე სანჩეს ფლორესს „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტურის წინ

# ბლექბერნს ძალიან ახველებს

| დღეს | |
|---|---|
| ვულვზი-ასტონ ვილა | 15:45 |
| ბირმინგემი-სანდერლენდი | 18:00 |
| ბარნლი-უიგანი | 18:00 |
| ჰალი-პორტსმუთი | 18:00 |
| ტოტენჰემი-სტოკი | 18:00 |
| ჩელსი-ბლექბერნი | 18:00 |
| **ხვალ** | |
| ბოლტონი-ევერტონი | 16:30 |
| ლივერპული-მანჩესტერ იუნ | 17:00 |
| მანჩესტერ სიტი-ფულჰემი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-არსენალი | 19:15 |


იუნაიტედს უეინ რუნი ვერ დაეხმარება

**რაფა ბენიტესი** ამბობს, რომ მისი „ლივერპული" გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ხალხს ჰგონია - ეს, მერსისაიდელთა ესპანელმა თავკაცმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის წინ განაცხადა. მწვრთნელის მთავარი არგუმენტი ლოგიკას ნამდვილად არ არის მოკლებული: არ შეიძლება დაბეჯითებით ვიმსჯელოთ გუნდზე, რომელსაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაშავებული ჰყავს, სწამს ბენიტესს. გარდა ამისა, მას იმედი აქვს, რომ ხვალისათვის მისი შემადგენლობა გადასხვაფერდება. თუ „წითლებს" ბედი და ექიმი გაუღიმებენ, ინგლისის ჩემპიონებს არც მეტი, არც ნაკლები **ფერნანდო ტორესი, სტივენ ჯერარდი** და **გლენ ჯონსონიც** შეებრძოლებიან, ეს კი დაპირისპირებას სხვა საფეხურზე აიყვანს.

*„გარწმუნებთ, ჩვენი გუნდი იმაზე ძლიერია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. დამეთანხმებით, როდესაც ძირითადი შემადგენლობის სამი, ოთხი ან ხუთი ფეხბურთელი გაკლდება, გუნდი მნიშვნელოვნად სუსტდება და მასზე ობიექტურად მსჯელობაც შეუძლებელია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ოთხი-ხუთი წამყვანი მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსის" ან „არსენალს" დააკლდეს. განა შეძლებენ ეს გუნდები მათ გარეშე გამარჯვებას? ნუთუ მათი შედეგები არ გაუარესდება? თუ გახსოვთ, ჩვენ „იუნაიტედი" გასულ სეზონში დავამარცხეთ და ამან მაშინ ძალიან გაგვამხნევა".*

შემდეგ ბენიტესს ჰკითხეს, „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხების შემთხვევაში დაუბრუნდება თუ არა „ლივერპული" ტიტულისთვის მებრძოლ გუნდთა მარაქას. ესპანელმა უპასუხა:

*„ეს, საუკეთესო ვარიანტი იქნება, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ვარიანტი ერთადერთი ნამდვილად არ არის. ეჭვი არ მეპარება, რომ „ლივერპულს" „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება შეუძლია და მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჩვენ უკვე ორ გუნდს შორის ოთხქულიან სხვაობაზე ვილაპარაკებთ".*

ამრიგად, მერსისაიდელების გეგმა აშკარაა: ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჯერარდი, ტორესი და ჯონსონი ათამაშონ. ადრეც გვითქვამს, რომ სამივეს საზარდული სტკივა, თუმცა მეტ-ნაკლებად. ყველაზე პრობლემური ჯერარდის ფეხზე დაყენებაა, ოღონდ უიმედოდ არც აქ არის საქმე. როგორც „ლივერპულის" ექიმებმა განაცხადეს, ჯერარდის ორგანიზმი მათ მკურნალობას დაჰყვა და თუ დღესაც ასე გაგრძელდება, შესაძლოა, „ენფილდ როუდის" გმირი ხვალ მოედანზეც ვიხილოთ.

მთლად უპრობლემოდ არც „მანჩესტერ იუნაიტედია". კერძოდ, შეძლებს თუ არა **უეინ რუნი** „ლივერპულის" წინააღმდეგ თამაშს, ჯერ უცნობია. მოგეხსენებათ, მანჩესტერელთა ფორვარდი ინგლისის ნაკრების ბანაკიდან დაშავებული დაბრუნდა და ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. კიდევ, **დარენ ფლეტჩერის** საქმეა სათუოდ. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ვეტერანი **რაიან გიგზი**, რომლის თამაშზეც „მანჩესტერში" ძალიან ბევრი რამ გახლავთ დამოკიდებული.

„ჩელსი" „ბლექბერნს" მასპინძლობს. დასავლეთლონდონელებს ამ შეხვედრაში კოტდივუარელი ვარსკვლავი **დიდიე დროგბა** დაუბრუნდებათ. მოგეხსენებათ, იგი შუა კვირაში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ მოედანზე არ იყო. კოტდივუარელი ევროთასებზე დასჯილია.

კიდევ, „ლურჯებს" არ ეყოლებათ **ჟოზე ბოსინგვა**, რომელსაც მუხლი სტკივა. **ჯონ ობი მიკელი** და **ალექსი** კი მართალია გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ ჯერ ისე არ მოღონიერებულან, მოედანზე რომ გავიდნენ და პრემიერლიგურ დატვირთვას თავიდან ბოლომდე გაუძლონ.

და რა შემადგენლობით უნდა დაუპირისპირდეს მრისხანე მეტოქეს „ბლექბერნი"? საქმე ის გახლავთ, რომ „სტემფორდ ბრიჯის" ხვალინდელ სტუმრებს ვირუსმა დარია ხელი - ნახევარი გუნდი გრიპიანი წევს. მწვრთნელი **სემ ელერდაისი**, რასაკვირველია, იმედოვნებს, რომ „ტამიფლუს" ტიპის წამლები ბიჭებს ფეხზე დააყენებს, მაგრამ შემადგენლობის ჩამოწერას და აქედან გამომდინარე ტაქტიკის არჩევას, ჯერ მაინც ვერ ახერხებს.

რაც შეეხებათ ტრავმირებულებს: **ფრანკო დი სანტო, პასკალ შიმბონდა** და **ვინს გრელა**, ალბათ ვერ ითამაშებენ.

„უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემ ჰოთსპური" „სტოკ სიტის" უმასპინძლებს. დანამდვილებით შეგვიძლია გითხრათ, რომ მასპინძლებს არ ეყოლებათ **ჯერმეინ დეფო**, რომელიც წინა შეხვედრაში, „პორტსმუთთან" მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. **მაიკლ დოუსონი** და **ჯონათან ვუდგეიტი** თითქმის გამოჯანმრთელდნენ, ასე რომ, მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** დაცვაში მეტი ვარიანტის განხილვა შეუძლია.

„სტოკსაც" დაცვა ეყოლება უფრო გაძლიერებული - **ენდი უილკინსონი** ბრუნდება. სამაგიეროდ, არის დანაკარგიც: წინა შეხვედრაში, „ვესტ ჰემის" მოთამაშის **მეტიუ აპსონის** წინააღმდეგ, გერმანელმა **რობერტ ჰუთმა** იუხეშა, „თავი გაიწითლა" და სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. და დახეთ ბედის ირონიას: ზემოხსენებულმა უილკინსონმა სტოკელთა ძირითადში ადგილი სწორედ მას მერე დაკარგა, რაც „მიდლსბროდან" ჰუთი გადმოვიდა, ასე რომ, შესაძლოა ენდის რობერტის დასჯა ფრიად ესიამოვნა კიდეც.

სტოკელებს ნახევარდაცვაში შეიძლება **გლენ უილანი** დაუბრუნდეთ.

„მანჩესტერ სიტი" ისტლენდზე „ფულჰემს" მასპინძლობს. მწვრთნელს, **მარკ ჰიუზს** დიდი იმედი აქვს, რომ ამ შეხვედრაში მის განკარგულებაში დაბრუნდებიან **კოლო ტურე** და **კრეიგ ბელამი**. ამ ორმა ფეხბურთელმა, მცველმა და თავდამსხმელმა, გასულ კვირას „უიგანთან" თამაში გამოტოვეს. ნამდვილად არ იქნება **პაბლო საბალეტა**, რომელმაც წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო და ერთი თამაში უნდა გამოტოვოს. მხოლოდ ერთი იმიტომ, რომ მისი წითელი ორი ყვითლის შეჯამებით გახლდათ გამოყვანილი.

საინტერესოა ლონდონური კლუბების, „ვესტ ჰემისა" და „არსენალის" დაპირისპირებაც. შეხვედრის წინ „ჩაქუჩთა" იტალიელმა თავკაცმა **ჯანფრანკო ძოლამ** არსენალელი კოლეგის, დიდი **არსენ ვენგერის** ქება-დიდება არ დაიზარა:

*„ის გახლავთ მწვრთნელი, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ. ვენგერი თავის გუნდს ლამაზ ფეხბურთს ათამაშებს და ჩვენი ოცნებაც სწორედ ეგ არის - ქულები ლამაზი ფეხბურთით მოვიპოვოთ. მინდა „ვესტ ჰემი" „არსენალის" გზას გავუყენო. მინდა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მეც ვენგერივით ვიმუშაო და მათგან ვარსკვლავები ალვზარდო. ვენგერი მუდამ შემტევ ფეხბურთს თამაშობს და ამ პრინციპს არასდროს ღალატობს".*

ძოლასგან ნაქებ ვენგერს (რომელიც გუშინწინ 60 წლისა გახდა) კი იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი-ხორვატი **ედუარდო** და დანიელი **ნიკლას ბენდტნერი** ძოლას გუნდის დამარცხებაში დაეხმარებიან. არ იქნებიან ჩეხი **ტომაშ როსიცკი** და **თეო უოლკოტი**, რომელთაც ტრავმების მხრივ ნამდვილად არ უმართლებთ.

„ასტონ ვილა" ვულვერჰემპტონში თამაშობს. „ვულვზს" უბრუნდება ფანებისგან მონატრებული თავდამსხმელი **კრის ლუელუმი**. შოტლანდიის ნაკრების ფეხბურთელს მუხლის მყესები ჰქონდა დაწყვეტილი და ექვსი თვე არ უთამაშია. რაც შეეხება **მარტინ ონილის** გუნდს, აქ ახალი დაშავებული არავინ არის. თავდასხმაში, სავარაუდოდ, კვლავ **გაბრიელ აგბონლაჰორი** და **იონ კარეუ** შეუწყვილდებიან ერთმანეთს. სხვა სიტყვებით, ინგლისის ნაკრების ფორვარდს, **ემილ ჰესკის** კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, თუმცა ვნახოთ...

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტ. იუნ | 9 | 7 | 1 | 1 | 21-9 | 22 |
| 2. ჩელსი | 9 | 7 | 0 | 2 | 19-8 | 21 |
| 3. ტოტენჰემი | 9 | 6 | 1 | 2 | 21-13 | 19 |
| 4. არსენალი | 8 | 6 | 0 | 2 | 27-11 | 18 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-9 | 17 |
| 6. ასტონ ვილა | 8 | 5 | 1 | 2 | 12-7 | 16 |
| 7. სანდერლენდი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-13 | 16 |
| 8. ლივერპული | 9 | 5 | 0 | 4 | 22-13 | 15 |
| 9. სტოკი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-11 | 12 |
| 10. ბარნლი | 9 | 4 | 0 | 5 | 9-19 | 12 |
| 11. ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-12 | 11 |
| 12. ფულჰემი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-10 | 10 |
| 13. ბლექბერნი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-17 | 10 |
| 14. უიგანი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-16 | 10 |
| 15. ბოლტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| 16. ვულვზი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-15 | 8 |
| 17. ბირმინგემი | 9 | 2 | 1 | 6 | 6-11 | 7 |
| 18. ჰალი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-22 | 7 |
| 19. ვესტ ჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-13 | 5 |
| 20. პორტსმუთი | 9 | 1 | 0 | 8 | 5-15 | 3 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტიმოშჩუკი: ისევ ზენიტი?


ანატოლი ტიმოშჩუკმა მიუნხენში ვერ გაამართლა

გერმანული გაზეთი „ბილდი" წერს, რომ დიდი შანსია, მიუნხენის „ბაიერნისა" და უკრაინის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** ზამთარში ისევ სტ. პეტერბურგის „ზენიტში" დაბრუნდეს. ფაქტია, რომ 30 წლის ნახევარმცველმა მიუნხენში იმედები ვერ გაამართლა - ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე ნამდვილად არ თამაშობს, რასაც მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ელოდნენ.

რუსეთში ახალი სეზონი მარტში იწყება და ზემოთ ხსენებული გაზეთის ინფორმაციით, „ზენიტს" უკრაინელი საყრდენი შუამარბის გადაბირება ზამთარშივე უნდა, რათა ახალი სეზონი ტიმოშჩუკთან ერთად დაიწყოს. „ბაიერნმა" ზაფხულში „ზენიტს" ტიმოშჩუკში 11 მილიონი ევრო გადაუხადა და საინტერესოა, რამდენს შესთავაზებენ რუსები გერმანულ გრანდს. ფაქტია, რომ ზაფხულის შემდეგ უკრაინელი ნახევარმცველის ფასი დაეცა.

**გოტფრიდ ლენცი**

ლაშა დვალიშვილის სტუდია და
ტელეკომპანია მზე გთავაზობთ
ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო
ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით
ინტერაქტივი ინგლისი

| | |
|---|---|
| არსენალი-ტოტენჰემი | 80 44 01 |
| ბოლტონი-ჩელსი | 80 44 02 |
| ევერტონი-ასტონ ვილა | 80 44 03 |
| ფულემი-ლივერპული | 80 44 04 |
| სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 80 44 05 |
| ბირმინგემი-მანჩესტერ სიტი | 80 44 06 |

ინტერაქტივი შეჩერდება სამშაბათს 2 საათზე! ეს არის მაქსიმალური დრო, როდესაც თამაშების შეკვეთაა შესაძლებელი.

იტალია. სერია A. IX ტურის წინ

# ინტერს შეტევა უბრუნდება

| დღეს | |
|---|---|
| სამპდორია-ბოლონია | 20:00 |
| ინტერი-კატანია | 22:45 |
| **ხვალ** | |
| რომა-ლივორნო | 17:00 |
| ატალანტა-პარმა | 17:00 |
| ბარი-ლაციო | 17:00 |
| კალიარი-ჯენოა | 17:00 |
| ფიორენტინა-ნაპოლი | 17:00 |
| პალერმო-უდინეზე | 17:00 |
| სიენა-იუვენტუსი | 17:00 |
| კიევო-მილანი | 22:45 |



ინტერის თავდასხმაში სამუელ ეტოო და გაბრიელ მილიტო ბრუნდებიან

იტალიის სერია A-ს მეცხრე ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, თუმცა შეხვედრებს უინტერესო ნამდვილად არ ეთქმის. ტური ტრადიციულად ორ დღეზეა გაწერილი, დღეს ორი შეხვედრა გაიმართება, დანარჩენი პაექრობები კი კვირას შედგება.

ჩემპიონატის ლიდერი „ინტერი" საკუთარ მოედანზე „კატანიას" მიიღებს. „ნერაძურიმ" მერვე ტურში „ჯენოა" გაასწორა მიწასთან და გულშემატკივრები ექსტაზში შეიყვანა. თუმცა, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ივარგა და რენომე შეირყია - კიევის „დინამოსთან" „ინტერი" ვერაფერს გახდა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია - „ნერაძური" ჯგუფური ეტაპის ბოლო საფეხურს იკავებს, ჩამორჩება რა „ბარსელონას", „დინამოს" და „რუბინს".

**ჟოზე მოურინიოს** თავდამსხმელები დაუბრუნდნენ, რაც „ინტერის" გულშემატკივრებს უთუოდ გაახარებთ. **სამუელ ეტოო** და **დიეგო მილიტო** ტრავმებისგან სრულად განიკურნენ და მოედანზე გასვლის უფლებაც მიიღეს. „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, „კატანიასთან" ორივე სასტარტო შემადგენლობაში იქნება. ნახევარდაცვას პორტუგალიელი სპეციალისტი რომბისებურად დააწყობს, გამთამაშებლობას ან **უესლი სნეიდერს** დააკისრებს, ანაც **დეიან სტანკოვიჩს**. საერთოდ, მიმდინარე სეზონში პლეიმეიკერი ჰოლანდიელია, მაგრამ სერბის ბოლოდროინდელმა თამაშმა ჟოზე დააფიქრა და არ არის გამორიცხული, ფორვარდების უკან სწორედ სტანკოვიჩი გაისარჯოს. დეიანი მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია და შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს. მოკლედ, ორი ნახევარმცველი გასაგებია, დარჩენილი ორი ადგილი კი, წესით, **ხავიერ ძანეტიმ** და **ესტებან კამბიასომ** უნდა შეავსონ. ძანეტიმ, კიევის „დინამოსთან" ნათამაშები არცთუ დამაჯერებელი შეხვედრის შემდეგ, გულშემატკივრებს ბოდიშიც კი მოუხადა, შემდეგ კი ორიოდე სიტყვა მოახლოებულ პაექრობაზე თქვა:

*„ჩემპიონთა ლიგაში არცთუ დამაჯერებლად ვასპარეზობთ და ეს „დინამოსთან" მატჩმაც დაადასტურა. მთლიანობაში, ურიგო შთაბეჭდილება არ დაგვიტოვებია, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად ეს არ კმარა. ბოდიში მინდა მოვუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც გაცილებით მეტს ელოდნენ. რაც შეეხება „კატანიასთან" დაპირისპირებას, მხოლოდ გამარჯვებისთვის" უნდა ვიბრძოლოთ. ლიგაზე მდგომარეობას კიდევ გამოვასწორებთ, იქამდე კი შიდა ასპარეზზე უნდა ვივარგოთ".*

რა შეიძლება ვთქვათ „კატანიაზე? - ბევრი არაფერი, მებრძოლი გუნდია, რომელიც იოლად არც მეაცაზე დანებდება. შეტევაში გუნდის მთავარი იმედი **ჯუზეპე მასკარა** გახლავთ - გამოცდილი, შემტევი, მრისხანე მეტოქეს ემუქრება კიდეც:

*„ნურავინ იფიქრებს, რომ „ინტერი" იოლ გამარჯვებას მოიპოვებს. „ნერაძური" ქვეყნის ჩემპიონია და შესანიშნავ ფორმაშია, რაც „ჯენოასთანაც" დაამტკიცა. მიუხედავად ამისა, მჯერა რომ მილანიდან მინიმუმ ქულას წამოვიღებთ. ქულები ჰაერივით გვესაჭიროება, ჯერჯერობით, მე-16 ადგილზე ვართ, რაც ხელს ნამდვილად არ გვაძლევს - „კატანიას" მიზანი ათეულში დამკვიდრებაა. ამიტომ, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, უნდა დავუდგეთ მეტოქეს და ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს".*

ვნახოთ, ვინ ვის რას მოახვევს, იქამდე კი კვირის მატჩებსაც გადავავლოთ თვალი. არის თუ არა კრიზისში „იუვენტუსი"? - ჩავარდნა რომ აქვს, ამაზე ყველანი ვთანხმდებით და დანარჩენს უკვე დრო გამოაჩენს. „ვეკია სენიორამ" ჩემპიონთა ლიგაზე „მაკაბი" დაამარცხა, თუმცა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა - ამ პაექრობამ კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი **ფერარას** გუნდის კრიზისში ყოფნის შესახებ. ტურინელთა თავკაცი არ ღალატობს ნაცად ტაქტიკას და ჯიუტად დგას 4-4-2-ზე. არადა, როდესაც ჟურნალისტები ფერარას ცვლილებებისკენ მოუწოდებენ, პირველ რიგში, ტაქტიკურ ნოვაციებს გულისხმობენ. მით უმეტეს, რომ სენიორ ჩიროს საამისო რესურსი გააჩნია. შეგიძლიათ გადახედოთ „იუვენტუსის" შემადგენლობას და ამაში თავადაც დარწმუნდებით. მაგალითად, რატომ არ შეიძლება „იუვემ" 4-3-2-1-ით იასპარეზოს? - გარემარბის პოზიციაზე თამაში ტურინულ გრანდში არაერთ ფეხბურთელს შეუძლია, იმავე **სებასტიან ჯოვინკოს,** რომელსაც სათამაშო დროის დეფიციტი აქვს და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. სხვათა შორის, გარემარბად თამაში **ალესანდრო დელ პიეროს** და **მაურო კამორანეზისაც** შეუძლიათ. თუმცა, მოვეშვათ ფანტაზიებს და ხვალინდელი მატჩისთვის „იუვენტუსის" სავარაუდო შემადგენლობას გადავხედოთ. შეტევის წინა ხაზზე წესით **ვინჩენცო იაკვინტა** და **კარვალიო ამაური** უნდა ვიხილოთ. **დავიდ ტრეზეგე** სათადარიგოთა სკამზე დარჩება და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ნახევარდაცვაში შემდეგი ფეხბურთელები გაირჯებიან: **კრისტიან პოულსენი, მოჰამედ სისოკო, დიეგო** და **მაურო კამორანეზი**. სავარაუდო შემადგენლობაში ვერ ვხედავთ **ფაბიო კანავაროს,** როგორც ჩანს, მწყობრში არ გახლავთ. დაცვის ცენტრში **ჯორჯო კიელინის** და **ნიკოლა ლეგროტალიეს** ვიხილავთ, ფლანგებზე კი **ზდენეკ გრიგერას** და **ფაბიო გროსოს** - კარში რა თქმა უნდა **ლადო დვალიშვილის** გამწამებელი, **ჯან ლუიჯი ბუფონი** დადგება. კვლავ შთამბეჭდავია იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალი, რომლებიც ლაზარეთში იმყოფებიან: ალესანდრო დელ პიერო, **ტიაგო, ფელიპე მელო, კლაუდიო მარკიზიო, ჯონათან ძებინა** და **ჰასან სალიჰამიჯიჩი**. „სიენაზე" საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ სრულ მზადყოფნაშია მარად ამომავალი ვარსკვლავი **მასიმო მაკარონე**.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა ვერონაში გაიმართება, სადაც „კიევო" „მილანს" უმასპინძლებს. „როსონერი" მოახლოებულ პაექრობას ამაღლებულ განწყობაზე ეგებება და თუ რატომ, ეს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. „რეალთან" მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, **ლეონარდო** ტაქტიკას სავარაუდოდ არ შეცვლის - ანუ, მილანი 4-3-2-1-ით იასპარეზებს. გარემარბებად **რონალდინიო** და **ალეშანდრო პატო** გაირჯებიან, ცენტრფორვარდის ფუნქციებს კი **ფილიპო ინძაგი** შეასრულებს. ნახევარდაცვაში სამ ფეხბურთელს ვიხილავთ: **ანდრეა პირლოს, კლარენს ზეედორფს** და **მატიო ფლამინის**. თუმცა, ჟურნალისტთა ნაწილი სხვანაირ პროგნოზს აკეთებს. მათი აზრით, ლეონარდო 4-4-2 ტაქტიკას გამოიყენებს, ინძაგის თადარიგში გადაისვრის, თავდასხმას კი თანამემამულეებით, პატო-რონალდინიოს ტანდემით დააკომპლექტებს. ასეთ შემთხვევაში, ნახევარდაცვაში ერთი ადგილი გათავისუფლდება, რომელსაც **ინაციო აბატე** შეავსებს. იოლად პროგნოზირებადია დაცვის ხაზი: მარჯვნივ **მასიმო ოდოს** ვიხილავთ, ცენტრში **ალესანდრო ნესტასა და ტიაგო სილვას**, ხოლო მარცხნივ **ჯანლუკა ძამბროტას**. „მილანი" საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, გუნდმა ბოლო ორი შეხვედრა ბრწყინვალე სტილში მოიგო და იტალიაც დაძლეულ კრიზისზე ალაპარაკდა. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ორმატჩიან წარმატებულ სვლას, რომელმაც ამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია აპენინურ საფეხბურთო სამყაროში.

საინტერესო შეხვედრა გაიმართება ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე" „ფიორენტინა" „ნაპოლის" უმასპინძლებს. „ვიოლა" იმსახურებს ყურადღებას, რადგან ბოლო კვირებში გუნდმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და არც შიდა პირველობაზე შეურცხვენია თავი. მართალია, ამან **ალბერტო ჯილარდინო** გადაგვიღალა, მაგრამ ვფიქრობთ, ჩიტი ბრდღვნად ღირდა. ჯილა „ნაპოლისაც" შეუტევს, მის მხარდამხარ კი **ვარგასი** და **მუტუ** გაირჯებიან. საბრძოლველად ემზადება მწვრთელგამოცლილი „ნაპოლიც", განწყობა სამხრეთელებსაც კარგი აქვთ - წინა ტურში ხომ ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვეს. სანამ დავამთავრებდეთ, ალვნიშნოთ რომ კვლავ ტრავმირებულია **ლევან მჭედლიძე,** შესაბამისად, „პალერმო"-„უდინეზეს" შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-5 | 19 |
| 2. სამპდორია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-7 | 17 |
| 3. იუვენტუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| 4. ფიორენტინა | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 5. პარმა | 8 | 4 | 2 | 2 | 9-9 | 14 |
| 6. ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 14-16 | 13 |
| 7. პალერმო | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 12 |
| 8. მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-8 | 12 |
| 9. ბარი | 8 | 2 | 5 | 1 | 8-5 | 11 |
| 10. კიევო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 11. რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 15-15 | 11 |
| 12. უდინეზე | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 13. ლაციო | 8 | 2 | 4 | 2 | 7-8 | 10 |
| 14. ნაპოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-14 | 10 |
| 15. კატანია | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 16. კალიარი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-10 | 7 |
| 17. ბოლონია | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 18. ატალანტა | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 19. სიენა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-12 | 5 |
| 20. ლივორნო | 8 | 0 | 3 | 5 | 2-10 | 3 |



ჟოზე მოურინიო ლეონარდოს ბოლოდროინდელი წარმატებებით გახარებულია

ნაევროპევს...

# მილანმა მოურინიოც გაახარა

„მილანის" მადრიდულ გამარჯვებას იტალიაში ჯერაც არჩევენ და აანალიზებენ. ამასთან, კეთდება უამრავი კომენტარი, რომელიც მასმედიის სხვადასხვა საშუალებით ვრცელდება. „როსონერის" მიერ „რეალის" ძლევას **ჟოზე მოურინიოც** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „მილანმა" ეს ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. არ გაგიკვირდეთ ჩემი სიტყვები, ეს მართლაც ასეა. შავ-წითლებს რთული სეზონი აქვთ, თუმცა ჩემპიონთა ლიგაზე ჯერჯერობით ჩვენზე უკეთ ასპარეზობენ. ლეონარდო ძალიან მესიმპათიურება, ეს ადრეც მითქვამს და მიხარია, რომ რთული პერიოდი დაძლია. მას შესწევს ძალა, გუნდი განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანოს. რატომღაც ჰგონიათ, რომ თანაქალაქელის წარუმატებლობა ძალიან მახარებს, სინამდვილეში კი პირიქით გახლავთ - ევროასპარეზზე ნებისმიერი აპენინური კლუბის გულშემატკივარი ვიქნები, რადგან ამჟამად მე თვითონ იტალიურ ფეხბურთს წარმოვადგენ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთი აფრიკა



## პარეირას დაბრუნება

სამხრეთი აფრიკის ნაკრებს მომავალი მუნდიალისთვის კვლავ **კარლოს ალბერტო პარეირა** მოამზადებს. ტურნირის მასპინძელმა დაიბრუნა მწვრთნელი, რომელიც გუნდის შტურვალთან 2006 წლის კამპანიის დროსაც იდგა, პოსტი კი გასული წლის აპრილში დატოვა, რათა ავადმყოფი მეუღლის გვერდით ყოფილიყო. თუმცა ეს მხოლოდ საბაბი გახლდათ, რეალურად კი პარეირას წასვლის მიზეზი აფრიკის ეროვნებათა თასზე ბაფანა-ბაფანას ფიასკო (პირველივე რაუნდიდან გავარდა) გახლდათ.

66 წლის პარეირას სამწვრთნელო ბიოგრაფიაში მთავარი ადგილი უჭირავს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც მან მშობლიური ქვეყნის ნაკრებთან ერთად მოიგო. რაც შეეხება მისი ახალი კონტრაქტის ფინანსურ დეტალებს, ამაზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. ცნობისთვის, წინა კამპანიისას მას წელიწადში 195 000 ევროს უხდიდნენ...

ვოლფსბურგი

## ცოტა თუ არ დაისვენა, მთლად გააფრენსო...

### გრაფიტე ბრაზილიაში გაუშვეს!

„ბეშიქთაშთან" ცუდად თამაშისა და უაზრო გაძევების შემდეგ, „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** მოთმინების ფიალა აევსო და მან კრიზისში მყოფი თავდამსხმელი **გრაფიტე** ერთი კვირით ბრაზილიაში გაუშვა. ორიოდ დღის წინ ვწერდით, რომ ბუნდესლიგის გასული სეზონის ბომბარდირი ძალიან ცუდ ფორმაშია და ალარაფერი გამოსდის - ბრაზილიელ გოლეადორსაც ის სენი შეეყარა, რაც გერმანიის ბომბარდირებს ეყრებათ ხოლმე. უშედეგობას კი, შუა კვირაში ისიც დაემატა, რომ გრაფიტე წყობიდან გამოვიდა და „ბეშიქთაშთან" მატჩში წითელი ბარათი დაიმსახურა.

*„დაიღალა, ფსიქოლოგიურად გადაიღალა და ვფიქრობ, აუცილებელია, ცოტა დაისვენოს. ჩემი აზრით, სამშობლოში მენტალურად კარგად დაისვენებს და სალი გონებით დაგვიბრუნდება,"* - განაცხადა ფეემ.

შესაბამისად, ხვალ, „ჰერტასთან" კალენდარულ შეხვედრაში გრაფიტე განაცხადში არ იქნება. „ბეშიქთაშთან" შეხვედრის შემდეგ, ფეემ და გრაფიტემ გულახდილად ისაუბრეს, რის შემდეგაც „მგლების" მწვრთნელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ბრაზილიელი თავდამსხმელი ძალიან კმაყოფილი დარჩა. გრაფიტე უკვე ბრაზილიაშია.

*„გრაფიტეს ძალიან უჭირს, შარშან ბომბარდირი იყო, წელს კი აღარ უმართლებს და ამის გამო დეპრესია დაეწყო. მაგრამ ის გამოცდილი ფეხბურთელია და მჯერა, რომ კრიზისს დაძლევს,"* - ეს „ვოლფსბურგის" კაპიტნისა და გრაფიტეს თანამემამულე **ჟოსუეს** სიტყვებია. ამრიგად, „ჰერტასთან" შეხვედრაში, „მგლების" წინა ხაზში **ედინ ჯეკოს** მეწყვილე ნიგერიელი **ობაფემი მარტინსი** იქნება.

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის წინ

# შალკე ჰამბურგსაც მოინელებს?

## ბერლინის ტასმანია II: ჰერტა ანტირეკორდზე მიდის

| გუშინ | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ბორუსია (დ) | 1:1 |
| **დღეს** | |
| ბაიერნი-აინტრახტი | 17:30 |
| ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი | 17:30 |
| ჰანოვერი-შტუტგარტი | 17:30 |
| ბორუსია (მ)-კიოლნი | 17:30 |
| მაინცი-ფრაიბურგი | 17:30 |
| **ხვალ** | |
| ჰერტა-ვოლფსბურგი | 17:30 |
| შალკე-ჰამბურგი | 19:30 |
| ბოხუმი-ვერდერი | 19:30 |

ბუნდესლიგის მეათე ტური გუშინ, ლიდერ „ლევერკუზენისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" დაპირისპირებით დაიწყო. დღევანდელი და ხვალინდელი მატჩებიდან კი, ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, მესამე ადგილზე მყოფ „შალკესა" და მეორეადგილოსანი „ჰამბურგის" დუელია. სხვა მხრივ, ძალიან საინტერესოა, დაძლევენ თუ არა „შტუტგარტი" და „ჰერტა" კრიზისს - ბერლინელები მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგს" მასპინძლობენ, ხოლო შვაბები ჰანოვერში ჩადიან. „ბორდოსთან" ნაგებით განრისხებული „ბაიერნი" კი ფრანკფურტის „აინტრახტს" უნდა ეკვეთოს.

„ჰოფენჰაიმმა" ბოლო ორი თამაში წააგო, დღეს კი პირველ ბუნდესლიგაში წელს ალზევებულ „ნიურნბერგს" მასპინძლობს და „სოფლელების" მთავარი მწვრთნელის **რალფ რანგნიკისთვის** ამ შეხვედრის „მარშრუტი" ცხადზე უცხადესია: *„ნიურნბერგთან", თანაც საკუთარ მოედანზე, აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან ჩვენი მიზანია, არ ჩამოვრჩეთ პირველ ხუთეულს,"* - განაცხადა „პროფესორმა რალფმა" გუშინ. რანგნიკი ფრანკებთან დუელში ვერც **დემბა ბას** გამოიყენებს და ვერც ნახევარმცველ **ტობიას ვაისს** - ორივე მათგანი ტრავმირებულია. რაც შეეხება „ნიურნბერგს" - ფრანკებმა წინა ტურში „ჰერტას" 3:0 გადაურბინეს და ამ გამარჯვებამ **მიხაელ იონინგის** გუნდი ცოტა არ იყოს დაამშვიდა, თორემ მანამდე ნიურნბერგელებიც საკმაოდ ქაოსურ სიტუაციაში იყვნენ. ბერლინელებთან გამარჯვების შემდეგ კი, ნიურნბერგში იონინგის გათავისუფლების შესახებ აღარავინ საუბრობს.

„ფრაიბურგთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „ბაიერნში" ყველა ამბობდა, ახლა მოგებათა სერია უნდა გამოვაცხოთო, მაგრამ როგორც ჩანს, მიუნხენური კლუბის ფეხბურთელები მხოლოდ ბუნდესლიგურ სერიას გულისხმობდნენ, რადგან ჩემპიონთა ლიგაში რეკორდმაისტერმა „ბორდოსთან" ძალიან მტკივნეული მარცხი იწვნია და ჯგუფში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ამრიგად, **ლუის ვან გაალის** სამწყსო შინაურ ყოველდღიურობას ფრანკფურტის „აინტრახტთან" დაპირისპირებით უბრუნდება. სამი წელია, ფრანკფურტელებს „ალიანს არენაზე" გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ „აინტრახტი", რომელსაც **მიხაელ სკიბე** წვრთნის, ამ სეზონში გასვლით შეხვედრებში საკმაოდ კარგად გამოიყურება. თავად განსაჯეთ: ფრანკფურტელებმა განვლილ ცხრა ტურში, ოთხი გასვლითი მატჩი ჩაატარეს და 7 ქულას მოუყარეს თავი. და ეს მაშინ, როცა საკუთარ მოედანზე გამართულ 5 თამაშში მხოლოდ 6 ქულა აიღეს. სკიბეს რეკორდმაისტერთან მატჩისთვის ლაზარეთიდან სამი წამყვანი ფეხბურთელი უბრუნდება: **რუსი, შვეგლერი** და „ჰოფენჰაიმიდან" ნაყიდი **ტებერი**. მიუნხენურ გრანდს კვლავ არ ეყოლება **ფრანკ რიბერი**, რომელმაც ტრავმა ვერ მოირჩინა (ფრანგს თვენახევრიანი პაუზა ექნება). მთავარი ინფორმაცია კი ბოლოსთვის შემოვინახეთ: როგორც არ უნდა დასრულდეს დღევანდელი დაპირისპირება, დამარცხებულ ან შედეგით უკმაყოფილო კლუბს (იქნება ეს „ბაიერნი" თუ „აინტრახტი"), რევანშის შანსი ძალიან მალე, ოთხშაბათსვე მიეცემა, როცა ეს გუნდები ფრანკფურტის „კომერცბანკ-არენაზე" ერთმანეთის წინააღმდეგ გერმანიის თასის შეხვედრაში წარდგებიან.

მიონხენგლადბახის „ბორუსიასა" და „კიოლნის" ჯახი რაინის დერბია, რომელსაც მუდამ თან სდევს დიდი აურზაური და მომხვდური კლუბების გულშემატკივრების შეხლა-შემოხლა. შარშანდელი და შარშანწინდელი ჯგუფური ჩხუბების გამო, ორივე კლუბის შეფებმა ფანებს სიმშვიდისკენ და შერიგებისკენ მოუწოდეს, მაგრამ არა გვგონია, რომ ამ მოწოდებამ შედეგი გამოიღოს. „კიოლნის" თავკაცი **ზვონიმირ სოლდო ლუკას პოდოლსკის**, სავარაუდოდ, კვლავ თავდასხმაში ათამაშებს. პოლდი წინა ტურში მარცხენა ნახევარმცველის რანგში მოგვევლინა. „გლადბახს" სავარაუდოდ **დემსი** არ ეყოლება, რომელსაც **ჟორე** შეცვლის.

მთლად „ჰერტასნაირ" კრიზისში არა, მაგრამ ძალიან, უჩვეულოდ მძიმე სიტუაციაშია „შტუტგარტი". შვაბები ბუნდესლიგაში მეცამეტე ადგილზე არიან, ჩემპიონთა ლიგაში კი ჯგუფში მესამე პოზიციაზე იმყოფებიან და ერთი სიტყვით, „ჰანოვერთან" მატჩის წინ ამ გუნდში საგანგაშო მდგომარეობაა. თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, დიდი შანსია, რომ ამ მატჩის წაგების შემთხვევაში, მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** უმუშევარი დარჩეს. თუმცა „შტუტგარტის" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ბაბელს მხარდაჭერა აღუთქვა და განრისხებულმა თქვა, სანამ მწვრთნელს რამე მოუვა, მანამდე ფეხბურთელები მიფრთხილდნენო. მაგრამ ფაქტია, რომ წარუმატებელი სერიის გაგრძელების შემთხვევაში, ჰელდტი და შვაბური კლუბის სხვა შეფები ფეხბურთელებს ვერ გაყრიან - მაინც ბაბელი უნდა გაათავისუფლონ. არც „ჰანოვერია" კარგ მდგომარეობაში: „წითლებს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული და ახლა, გუნდის მთავარმეგოლე **ირჟი შტაინერის** თამაშიც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ასე რომ, მთავარი მწვრთნელი **ანდრეას ბერგმანი**, შესაძლოა, იძულებული გახდეს, „შტუტგარტთან" მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშოს.

დღესვე, მაინცის „ბრუხვეგზე" ერთმანეთს ბუნდესლიგაში დაბრუნებულები დაუპირისპირდებიან: „მაინცი" „ფრაიბურგს" მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ ელიტაში ეს გუნდები აქამდე მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს 2004/05 წლების სეზონში მოხდა. სხვათა შორის, მაშინ „მაინცმა" „ფრაიბურგს" 5:0 მოუგო და ეს გახლავთ კარნავალელთა საუკეთესო გამარჯვება პირველ ბუნდესლიგაში გამოსვლის ისტორიაში. მაინცელებს ამ სეზონში საკუთარ მოედანზე ჯერ არ წაუგიათ, ხოლო „ფრაიბურგმა" კი ორჯერ შეძლო სტუმრად მოგება, თანაც, სად: გელზენკირხენსა და ბერლინში.

ბერლინის „ჰერტა" იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ დიდი შანსია, სხვა ბერლინური კლუბის, „ტასმანიას" მიერ უხსოვარ დროში დამყარებული ანტირეკორდი დაამხოს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „ტასმანია" ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო გუნდია და ამ გუნდმა ერთ დროს ზედიზედ 9 თამაში წააგო. „ჰერტას" უკვე ზედიზედ რვა შეხვედრა აქვს წაგებული. მაგრამ ეს ბუნდესლიგაში, თორემ ისე, ბერლინელები ყველგან და ყველაფერს აგებენ. აგერ, ხუთშაბათს, ევროპის ლიგაში საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე" „ჰერენვეენთანაც" დამარცხდნენ (0:1). და სწორედ ასეთ დროს სტუმრობს დედაქალაქს მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი". ახლა ისტორიას გადავხედოთ: „ვოლფსბურგს" ბერლინში მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული: 2000/01 წლების სეზონში, 3:1. „მგლებს" **გრაფიტე** ჰყავთ საშინელ ფორმაში - ბრაზილიელ თავდამსხმელს უბრალოდ არაფერი გამოსდის და ჩემპიონთა ლიგის მატჩში, „ბეშიქთაშთან" ის მოედნიდან გააძევეს. სხვა მხრივ, **არმინ ფეეს** გუნდმა ბუნდესლიგაში კარგი სერია გამოაცხო, მოიპოვა რა ბოლო 4 თამაშში 10 ქულა. უნდა ითქვას ისიც, რომ „ვოლფსბურგმა" ამ სეზონში სტუმრად მხოლოდ ერთხელ წააგო: 29 აგვისტოს, მიუნხენში, 0:3.

გელზენკირხენი ეიფორიაშია: ყველაფერი, რასაც **ფელიქს მაგათი** ხელს ჰკიდებს, ოქროდ გადაიქცევა. ასე ხდება „შალკეშიც". მნიშვნელობა არ აქვს, ვის და რა პოზიციაზე ათამაშებს „დესპოტი ფელიქსი" - „შალკე" წარმატებულია. ძალიან ცოტას თუ ეგონა, რომ ცხრა ტურის შემდეგ „ხუმარები" მესამე ადგილზე იქნებოდნენ, რადგან მაგათს ზაფხულში ტრანსფერებისთვის ერთი ცენტიც კი არ ჰქონია გამოყოფილი. დღეს „შალკეს" მეტოქე „ჰამბურგია" - გუნდი, რომელიც „ლევერკუზენთან" ერთად პირველ და მეორე ადგილებს იყოფს. ჩრდილოელებმა ევროპის ლიგაში ითამაშეს (1:0 „სელტიკთან") და გადაღლილები არიან. შუა კვირაში მძიმე მატჩი ჰქონდა „ვოლფსბურგსაც" (0:0 „ბეშიქთაშთან", ჩემპიონთა ლიგაში), თუმცა „მგლებს" დასვენებისთვის ერთით მეტი დღე ჰქონდათ. „ჰამბურგის" მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** თავდასხმაში ისევ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს - ნორმალური ფორვარდებიდან მის განკარგულებაში მხოლოდ ცუდ ფორმაში მყოფი **მარკუს ბერგია**, სამაგიეროდ, ლაზარეთიდან დაბრუნდა მარცხენა ნახევარმცველი **მარსელ იანსენი** და დიდი შანსია, ლაბადიამ სწორედ ეს უკანასკნელი ათამაშოს, **ელერო ელია** კი თავდასხმაში გადასწიოს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი - ჰიოვედესი, სამბრანო, ბორდონი, ვესტერმანი - მინეირო - რაფინია, მორიტცი - ჰოლტბი (ან რაკიტიჩი, ან ყენია) - ფარფანი, კურანი.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ფ. როსტი - დემელი, ჟ. ბოატენგი, მატიისენი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - პიტროიპა, ტროხოვსკი, ელია - მ. ბერგი.

ხვალვე „ბოხუმი" ფორმაში შესულ და კარგად ათამაშებულ „ვერდერს" უმასპინძლებს და სტატისტიკას თუ ვენდობით, ყველაფერი ბრემენული კლუბის სასარგებლოდ მეტყველებს: 11 წელია, „ბოხუმს" „ვერდერისთვის" არ მოუგია. ესეც არ იყოს, ბოხუმელებმა საკუთარ კედლებში ბოლო გამარჯვება 23 აგვისტოს (1:0 ჰერტასთან) იზეიმეს და ბოლო ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვთ მოგებული. „ვერდერი" კი პირიქით, შესანიშნავად გამოიყურება: **თომას შააფის** გუნდს რვამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ხუთი თამაშია, გოლი არ მიუღია, ანუ „მუსიკოსთა" მეკარე **ტიმ ვიზეს**, ბუნდესლიგაში 619-წუთიანი მშრალი სერია აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 10 | 6 | 4 | 0 | 19-6 | 22 |
| 2. ჰამბურგი | 9 | 6 | 3 | 0 | 20-8 | 21 |
| 3. შალკე | 9 | 6 | 1 | 2 | 13-6 | 19 |
| 4. ვერდერი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-6 | 18 |
| 5. ვოლფსბურგი | 9 | 5 | 1 | 3 | 18-16 | 16 |
| 6. ბაიერნი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-8 | 15 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-9 | 14 |
| 8. მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-14 | 14 |
| 9. აინტრახტი | 9 | 3 | 4 | 2 | 10-11 | 13 |
| 10. ბორუსია (დ) | 10 | 3 | 4 | 3 | 10-14 | 13 |
| 11. ფრაიბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 14-19 | 10 |
| 12. ჰანოვერი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-12 | 9 |
| 13. შტუტგარტი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 |
| 14. კიოლნი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-10 | 8 |
| 15. ნიურნბერგი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-12 | 8 |
| 16. ბოხუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-17 | 8 |
| 17. ბორუსია (მ) | 9 | 2 | 1 | 6 | 10-18 | 7 |
| 18. ჰერტა | 9 | 1 | 0 | 8 | 7-23 | 3 |

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




შალკეს შანსი აქვს, ამ ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ისტორიულ დარბაზში ოქროს ვერ შევნვდით

მეორე დღე შედარებით წარმატებული გამოდგა ჩვენი ახალგაზრდა ძიუდოისტებისთვის - პარიზში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლაშა ზურაბიანმა** (73) ბრინჯაო მოიპოვა. წლეულს ამ წონაში ბრინჯაო დაგვებედა - ევროპის პირველობაზე **ნუგზარ ტატალაშვილიც** მესამეზე გავიდა. სხვათა შორის, ეს ფალავნები საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ. მაშინ ზურაბიანმა მოიგო, მაგრამ ორივე იმდენად ძლიერი მოჭიდავეა, შანსი ტატალაშვილსაც მისცეს. მწვრთნელები და სპორტსმენები იმთავითვე შეთანხმდნენ, რომ ევროპირველობაზე ტატალაშვილი იჭიდავებდა, მაგრამ იქ ნაჩვენები შედეგის მიუხედავად - ჩემპიონიც რომ გამხდარიყო, მსოფლიოზე ზურაბიანი წავიდოდა. შეიძლება ითქვას, როქი შედეგიანი აღმოჩნდა. ამ წონაში ორი ასეთი თანაბარი დონის მოჭიდავის გამოჩენა ძალზე სასიხარულოა.

მოკლედ, პარიზულ ტურნირში ჩვენი ანგარიში კი გავხსენით, მაგრამ პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში ჯერ საჩვენო ოქრო მაინც არ გამოიძებნა. არადა, სწორედ ამ დარბაზში 30 წლის წინათ ქართული ძიუდოს ისტორიის დიდი ფურცელი დაიწერა - **თემურ ხუბულური** პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ანუ საქართველომ პირველად მოიპოვა ეს ტიტული. იმედია, მომდევნო დღეებში ოქროთი დაწყებული გზა ოქროთივე დასრულდება.

ზურაბიანმა მედალი კი მოიპოვა და მადლობაც უნდა ვუთხრათ, მაგრამ მეოთხედფინალში მომავალ ფინალისტთან, უკრაინელ **ვიტალი პოპოვიჩთან** ისეთი შეხვედრა წააგო, დიდ შედეგებზე მეოცნებე მოზარდს არაფრით ეკადრება... ჩვენებური იუკოთი იგებდა, მაგრამ ბოლო ნახევარ წუთში "მოახერხა" და ორჯერ დაეცა ვაზარზე. არადა, მანამ ორი შეხვედრა იპონით მოიგო - კოლუმბიელი **ფელიპე პინედაც** და გერმანელი **სტეფან ფრიდრიხიც** ბეჭებზე გააკრა. ზურაბიანმა სანუგეშოშიც ორი ბრძოლა მოიგო, თუმცა პორტუგალიელი **იორგ ფერნანდესის** დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა. ძირითადი ორივემ ორ-ორი გაფრთხილებით დაასრულა, ოქროს ქულა კი ჩვენებურმა ვაზარით მოიპოვა. ზურაბიანი დამამშვიდებლის ფინალშიც იოლად გაუსწორდა მოლდოველ **ვადიმ ბოცანის** - მალევე დააიპონა.

სამწუხაროდ, გუშინ პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და უსახელოდ გავარდა ჩვენი ვაჟთა გუნდის მეორე მონაწილე **ზვიად კაპანაძე** (66). ის რომ უძნელეს ჯგუფში მოხვდა, გუშინაც ვწერდით. სიმართლე გითხრათ, იქიდან მისი გაღწევისა ნაკლებად გვეიმედებოდა, მაგრამ პირველ წრეში ამერიკელ კილ **ტაკეტასთან** ნაგება მაინც დიდი მოულოდნელობა იყო. ასევე პირველივე შეხვედრაში დამარცხდა გოგოების ტურნირის მონაწილე ერთადერთი ჩვენებური **სოფო ბერიძეც** (57) და იმანაც ამერიკელთან წააგო - **ანგელიცა დელგადოსთან**.

ვაჟებისგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი იაპონელთა დომინაციით მიდის, გუშინ ყველაზე საინტერესო ამბები სწორედ გოგოების ტურნირში მოხდა. აქ იაპონელები ნახევარფინალში ორივეგან კი გავიდნენ (გუშინ 52 და 57-ის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ), მაგრამ წააგეს და ბრინჯაოები მოიპოვეს. 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვლავაც ალბანელ-კოსოველმა **მაილინდა კელმენდმა** გაიმარჯვა და ნახევარფინალში ერთი იაპონელიც დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ მან წლეულს უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც იჭიდავა, ოღონდ - კოსოვოს სახელით, რითაც ამ ქვეყნისთვის პრეცედენტი დააკისრა - ეს კოსოველთა პირველი დამოუკიდებელი გამოსვლა იყო მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში. ამის შემდეგ უკვე ალბანეთის სახელით ერევანში ევროპის პირველობაზე იჭიდავა და ჩემპიონიც გახდა, ახლა კი ისევ კოსოვოს სახელით გამოვიდა და კვლავაც გაიმარჯვა. ასევე დუბლი შეასრულა უნგრელმა **ჰედვიგ კარაკასმაც** (57) - ახალგაზრდებში ევროპის პირველობაც მოიგო, თუმცა მხოლოდ ეს არაა მისი წლევანდელი მონაგარი - აგვისტოში როტერდამში უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატში ბრინჯაო მოიპოვა.

ვაჟთა ტურნირი იაპონელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობს - გუშინაც წყვილად იჩემპიონეს. საერთოდ, ორი დღის განმავლობაში ორივე სქესის ტურნირში მათი რვავე მონაწილე ნახევარფინალში გავიდა, ჯამში კი ჯერჯერობით ხუთი ოქრო დაისაკუთრეს. აქედან ოთხი - ვაჟებში.

დღეს და ხვალ გოგოებშიც და ვაჟებშიც დარჩენილი ოთხ-ოთხი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ. შეგახსენებთ იმ ქართველებს, რომლებიც უქმეებზე იასპარეზებენ: **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **შავლეგ ბერუაშვილი** (100), **უშანგი კოკაური** (+100), **სალომე წონკოლაური** (70) და **ნინო ოძელაშვილი** (78).

**კვარცხლბეკი.**

ვაჟები. 66 კგ. 1. **ჯუნპეი მორიშიტა** (იაპონია); 2. **გრზეგორზ ლევინსკი** (პოლონეთი); 3. **კენნეტ ვან განსბეკე** (ბელგია); 3. **ზლოტ გორჯანასცი** (უნგრეთი).

73 კგ. 1. **იუკი ნიშიიამა** (იაპონია); 2. **ვიტალი პოპოვიჩი** (უკრაინა); 3. **ლაშა ზურაბიანი** (საქართველო); 3. **ტიბაულტ დრაციუსი** (საფრანგეთი).

გოგოები. 52 კგ. 1. **მაილინდა კელმენდი** (კოსოვო); 2. **შაჰარ ლევი** (ისრაელი); 3. **ჩიჰო კაგაია** (იაპონია); 3. **ტუგბა ზეჰირი** (თურქეთი).

57 კგ. 1. **ჰედვიგ კარაკასი** (უნგრეთი); 2. **ხუულ ფრანსენი** (ჰოლანდია); 3. **აიკო ურიუ** (იაპონია); 3. **ტინა ტრსტენჟაკი** (სლოვენია).

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა

მსოფლიოს სუპერთასი

# სალუქვაძე მერვეს უმიზნებს

გუშინ, ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ჩინეთში გაემგზავრა, სადაც დღეს მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება იწყება. ოღონდ, სალუქვაძე ასპარეზზე ბოლოსწინა დღეს, 27 ოქტომბერს გამოვა და მეორე დღესვე სამშობლოში დაბრუნდება.


ნინო სალუქვაძე

ჩვენებური ამჯერად მხოლოდ ერთ დისციპლინაში - სპორტული პისტოლეტიდან სროლაში გამოვა. იყო იმედები, რომ პნევმატურშიც იასპარეზებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რაც შეეხება იმას, რომ ჩინეთში სალუქვაძე მარტო წავიდა, ამას უკვე მივეჩვიეთ. სამწუხაროდ, ჩვენი მსროლელები მსოფლიოს თასების ეტაპებზე ჯერ ფინალებში შეღწევასაც ვერ ახერხებენ, არათუ სუპერფინალში მოხვედრას.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძეს მსოფლიოს სუპერთასი 7-ჯერ მოუპოვებია, ეს ტურნირი კი მის კალენდარში ბოლო საზღვარგარეთული შეჯიბრებაა. თუმცა წლეულს შიდა ტურნირიც მხოლოდ ორი დარჩა - ნოემბერში შოთა ქველიაშვილის სახელობის შეჯიბრება გაიმართება, დეკემბერში კი საქართველოს თასის გათამაშებაა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი





# რუსეთი დამარცხებულია!

სერბულ ნოვი სადში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოდიან ქართველი დიდოსტატები. ორი ტურის შემდეგ ისინი უდანაკარგოდ ლიდერთა შორის არიან.

ჩვენი მანდილოსნები გუშინ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს - რუსეთის უძლიერეს ნაკრებს დაუპირისპირდნენ. პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძე** მსოფლიოს ჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს** დაუზავდა, სამაგიეროდ, მეორე დაფაზე **ლელა ჯავახიშვილმა** შავი ფიგურებით მე-40 სვლაზე ევროპის ორგზის ჩემპიონ **ტატიანა კოსინცევას** დააყრევინა ფარ-ხმალი. რაც ყველაზე სასიამოვნოა, მეოთხე დაფაზე, ასევე მე-40 სვლაზე, ეროვნული გუნდის დებიუტანტმა **ბელა ხოტენაშვილმა** ჩინეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორი **ვალენტინა გუნინა** დაამარცხა. ამ შეჯიბრებაზე ეს უკვე მისი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა და სპეციალისტების მიერ მასზე გაცემულ ავანსებს ამართლებს. მართალია, მესამე დაფაზე **ნინო ხურციძე ნადეჟდა კოსინცევას** დანებდა, მაგრამ ამ მარცხს გუნდის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია - საქართველოს ნაკრებმა გათამაშების ცხრილში მორიგი 2 ქულა ჩაიწერა.

იყოჩაღეს ჩვენმა ვაჟებმაც - ფრანგ დიდოსტატებს 2.5:1.5 მოუგეს: **ბაადურ ჯობავამ** ქულა გაიყო **ეტიენ ბაკროსთან**, **მიხეილ მჭედლიშვილმა** და **ლევან ფანცულაიამ**, შესაბამისად, **რომენ ედუარდი** და **მატიე კორნეტი** დაამარცხეს, გუნდის დებიუტანტმა **თორნიკე სანიკიძემ** კი **სებასტიან ფელერთან** წააგო.

**მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა**: ქალები. **საბერძნეთი-უკრაინა 1.5:2.5, პოლონეთი-ბულგარეთი 3.5:0.5, აზერბაიჯანი-სერბეთი 3.5:0.5, სლოვენია-სომხეთი 1:3, ჰოლანდია-გერმანია 0.5:3.5, უნგრეთი-რუმინეთი 1:3, საფრანგეთი-ავსტრია 3:1, ესპანეთი-მაკედონია 2.5:1.5, ხორვატეთი-ჩეხეთი 0.5:3.5, ისრაელი-ჩერნოგორია 3:1, იტალია-ნორვეგია 2.5:1.5, ფინეთი-ინგლისი 2:2, თურქეთი-ბოსნია 3:1.**

ვაჟები. **ინგლისი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, სომხეთი-რუმინეთი 2.5:1.5, სლოვენია-ისრაელი 1.5:2.5, ჩეხეთი-ესპანეთი 1:3, შვეიცარია-უნგრეთი 1:3, ჰოლანდია-იტალია 2:2, სერბეთი (1)-საბერძნეთი 3:1, გერმანია-ბოსნია 3:1, ხორვატეთი-პოლონეთი 1:3, რუსეთი-მაკედონია 3.5:0.5, უელსი-ბულგარეთი 1.5:2.5, უკრაინა-თურქეთი 3.5:0.5, ავსტრია-ლიტვა 2:2, მონაკო-სერბეთი (2) 0.5:3.5, ბელგია-დანია 1:3, ჩერნოგორია-შოტლანდია 3.5:0.5, ისლანდია-ნორვეგია 1.5:2.5, ლუქსემბურგი-ფინეთი 1:3.**

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით მეწინავეობენ: ქალებში - **პოლონეთი (7.5), გერმანია (7), რუმინეთი (7), უკრაინა (6), საქართველო (5.5), სომხეთი (5.5).**

ვაჟებში - **უნგრეთი (7), ესპანეთი (6.5), სერბეთი 1 (6.5), გერმანია (6), სომხეთი (5.5), აზერბაიჯანი (5.5), ისრაელი (5), საქართველო (5).**

**დღეს მესამე ტურში ითამაშებენ:** ქალები. **გერმანია-საქართველო, რუმინეთი-უკრაინა, სომხეთი-პოლონეთი, სერბეთი-იტალია, ბულგარეთი-საფრანგეთი, ესპანეთი-აზერბაიჯანი, უნგრეთი-ჰოლანდია, სლოვენია-თურქეთი, ჩეხეთი-ისრაელი, რუსეთი-ფინეთი, ინგლისი-საბერძნეთი, ავსტრია-ჩერნოგორია, ბოსნია-ნორვეგია, მაკედონია-ხორვატეთი.**

ვაჟები. **საქართველო-უნგრეთი, აზერბაიჯანი-გერმანია, სომხეთი-სერბეთი (1), ესპანეთი-ისრაელი, იტალია-რუსეთი, პოლონეთი-ჰოლანდია, ბულგარეთი-ინგლისი, ნორვეგია-უკრაინა, საფრანგეთი-შვეიცარია, ჩეხეთი-სლოვენია, საბერძნეთი-რუმინეთი, სერბეთი (2)-ფინეთი, დანია-ჩერნოგორია, ლიტვა-ხორვატეთი, ბოსნია-ავსტრია, მაკედონია-მონაკო, თურქეთი-ისლანდია, შოტლანდია-ბელგია, ლუქსემბურგი-უელსი.**

**ვაჟა დანელია**

# გოგონები ვაჟებს ჯაბნიან


თორნიკე გაბუნიასა და ნანი უნაფქოშვილის შეხვედრა

ავტორის ფოტო

**ნანი უნაფქოშვილი** საგარეჯოელია, პირველი საჯარო სკოლის მე-9 კლასში სწავლობს. რვა წელიწადია, ჭადრაკს თამაშობს (მწვრთნელები — **გოგი მაჭარაშვილი** და **ელენე ფარეშიშვილი**). თანატოლთა შორის საქართველოს პირველობებზე თითო ოქროს და ბრინჯაოს, ორი ვერცხლის მედალი აქვს მოხვეჭილი. შარშან მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატზე 13-წლიანებში ჩემპიონობა მოიპოვა. ამჟამად მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება, რომელსაც 11 ნოემბრიდან ანტალია უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე გამგზავრებამდე ნანიმ გადაწყვიტა, ძალები IGI ჯგუფის თასის გათამაშებაზე გამოეცადა. 16-წლიანებში შერეული ტურნირია, ამიტომ გოგონებს ვაჟებთანაც უწევთ გაპაექრება. უნაფქოშვილმა ბოლო სამ ტურში სწორედ მათ დააყრევინა ფარ-ხმალი. მეორე ტურში **შალვა ნადირაშვილი** დაამარცხა, მესამეში — **ნიკა ვოლკოვი**. გუშინ კი **თორნიკე გაბუნიას** აჯობა, რომელიც 3 ქულით მასთან ერთად ლიდერობდა.

ამ ასაკში 3.5 ქულით მეორე ადგილზე **მარიამ თევზაძემ** გადაინაცვლა, რომელმაც **ალექსანდრე ებრალიძეს** სძლია. ნიკა ვოლკოვმა შავი ფიგურებით **რევაზ ჭკუასელი** დაამარცხა, **მარიამ სულამანიძემ — გუგა ბურდული**, ხოლო შალვა ნადირაშვილმა **ლაშა კაჭარავა** დაჯაბნა.

ოთხი ქულით უნაფქოშვილი ლიდერობს. მომდევნო ადგილებზე მოდიან: თევზაძე — 3,5, ვოლკოვი, სულამანიძე, გაბუნია, ნადირაშვილი — 3-3 ქულა.

12-წლიანებში მეწინავეთა შეხვედრები ყაიმით დამთავრდა (**ვასილ დოთიაშვილი-საბა ჟორდანია, ლევან ხიზანიშვილი-გიორგი ნინიძე**), რამაც სხვებს საშუალება მისცა, ლიდერებს მჭიდროდ მიახლოვებოდნენ: **გიორგი ბოსიკაშვილი-ანა ჭავჭანიძე** 1:0, **გიორგი ბეჭვაია-მარიამ ლოლუა** 1:0, **საბა ბიბიჩაძე-სანდრო მუმლაძე** 0:1, **ნინო გერგეშელიძე-შოთა ცქიტიშვილი** 0:1.

3,5-3,5 ქულით ჟორდანია და დოთიაშვილი ლიდერობენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ბოსიკაშვილი, მუმლაძე, ცქიტიშვილი, ბეჭვაია და ხიზანიშვილი ჩამორჩებიან.

10-წლიან ვაჟებში უდანაკარგოდ დაწინაურდა **ლუკა ლიჩელი**, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით **მათე თოდაშვილი** დაამარცხა. **საბა ამირიძემ ცოტნე მამულაიშვილს** სძლია, **რატი პერტიამ** კი **გივი დარჩიას** აჯობა. დაზავდნენ **დავით ლობჟანიძე-გიორგი ვარაზაშვილი, თორნიკე იარაჯული-ლუკა ქორიძე, ირაკლი ტულუში-ნიკა ხიზანიშვილი.** 3,5-3,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს ლობჟანიძე, ამირიძე, პერტია და ვარაზაშვილი ინაწილებენ. 10 მეტოქეს 3-3 ქულა აქვს.

გოგონებში ერთპიროვნულმა ლიდერმა **მარიამ თვალავაძემ** გუშინ ნახევარი ქულა დაკარგა — სეხნია **მარიამ ჯავახიშვილთან** მოაწერა ხელი ზავს. ასევე ქულა გაიყვეს **მაია ბეჭვაიამ** და **მარიამ შუბითიძემ**. **დალი ნანეიშვილმა მარიამ შავშიშვილს** მოუგო, ხოლო **სალომე ხუცურაული ნინო ქერდიყოშვილს** დანებდა. წარმატებას მიაღწია **ნინო მირიანაშვილმაც** (**ნინო მჭედლიშვილი** დაამარცხა), რომელიც 3 ქულით ბეჭვაიასთან, შუბითიძესთან, ნანეიშვილთან, ჯავახიშვილთან და ქერდიყოშვილთან ერთად მეორე-მეშვიდე ადგილებს იყოფს.

დღეს მე-5 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ:

10-წლიანები. **თვალაძე-ბეჭვაია, შუბითიძე-ნანეიშვილი, მირიანაშვილი-ჯავახიშვილი; ლიჩელი-ლობჟანიძე, ამირიძე-პერტია, ვარაზაშვილი-ბენიძე.**

12-წლიანები. **ჟორდანია-ბოსიკაშვილი, მუმლაძე-დოთიაშვილი, ცქიტიშვილი-ბეჭვაია, ლოლუა-ხიზანიშვილი, ნინიძე-ბიბიჩაძე.**

16-წლიანები. **თევზაძე-უნაფქოშვილი, ვოლკოვი-სულამანიძე, გაბუნია-ნადირაშვილი, ებრალიძე-ჯალაბაძე, ბენიძე-ზუმბულიძე, გენაძე-კობეშავიძე, ლიპარტელიანი-კაჭარავა.**

„ოქროს დედოფლის“ თასის გათამაშების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# მწარე მოგონებანი

## ფაჩულიას ქართულ-ამერიკული პარალელები

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" ქართველი ცენტრის გარეშე მესამე მატჩი გამართა. ჯორჯიელებმა "მაიამი ჰიტს" 92:87 მოუგეს. ზაზას ბარძაყის კუნთი აწუხებს, ექიმები ვარაუდობენ, რომ ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა ფაქტია, ფაჩულია უკვე მესამე მატჩია, უქმადაა.

ამასობაში "ატლანტა ჰოქსში" სერიოზული ცვლილებები განხორციელდა: გუნდიდან სამი კალათბურთელი დაითხოვეს და შემადგენლობა 13 კაცამდე შეამცირეს. მოკვეთილთა შორის ზაზას თანაამპლუელი **მარიო უესტია**. მასთან ერთად მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა კურტნი სლიმსის** და **გარეტ საილერის** დახმარებაზე თქვა უარი.



ამ მოვლენას გამოეხმაურა გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" კორესპონდენტი **სეკუ სმიტი**, რომელმაც აზრის გამოთქმა მწვრთნელ ვუდსონსაც სთხოვა და ზაზა ფაჩულიასაც. ქართველმა ცენტრმა კალათბურთელთა დათხოვნასთან დაკავშირებით თავისი პატარაობის ამბებიც გაიხსენა, რაც მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

ჟურნალისტმა ჯერ მწვრთნელი, ალაპარაკა. როგორც მოსალოდნელი იყო, "ატლანტას" თავკაცმა აღნიშნა, რომ მისთვის კალათბურთელთა დათხოვნის გადაწყვეტილება ძნელი მისაღები იყო. ვიცი, რას გრძნობდნენ ისინი ჩემი სიტყვების შემდეგ, მაგრამ გუნდისთვის ასე სჯობდაო...

გაცილებით საფუძვლიანად ზაზა ფაჩულიამ ისაუბრა:

*- ჩემი თანაგუნდელების ამბავი გულთან იმიტომაც მივიტანე, მსგავს სიტუაციაში მეც აღმოვჩენილვარ. ყოველთვის ვცდილობ, ადამიანებთან კარგი ურთიერთობა დავამყარო, მით უმეტეს, ასეთ კარგ ბიჭებთან... ისინი გუნდს ენერგიას მატებდნენ, ყველას უსმენდნენ და პროგრესისთვის ბევრს მუშაობდნენ. სწორედ ასეთ კალათბურთელებთან განშორების გამო მწყდება გული.*

ზაზა ფაჩულია თავს გადამხდარ მსგავს ამბავსაც იხსენებს:

*- პატარაობაში კადეტთა ნაკრებში გამომიძახეს, ძალიან გახარებული ვიყავი, როგორც ჩემმა მეგობრებმა, მეც ჩანთები ჩავალაგე და იტალიაში წასასვლელად გავემზადე. დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვებთან ერთად აუცილებლად წავიდოდი, მაგრამ... მწვრთნელებმა თბილისში დამტოვეს. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, თუმცა იმ ამბავმა მოტივაცია შემმატა, უფრო მონდომებით დავიწყე ვარჯიში, რათა დამემტკიცებინა, რომ ნაკრების ღირსი ვიყავი. მთავარია, ყოველი გაკვეთილიდან რაღაც ისწავლო. მძიმე შრომა ყოველთვის ფასდება, ამიტომ ჩემს ყოფილ ატლანტელ თანაკლუბელებს ვურჩევ – ეს ამბავი, ჩემსავით მოტივაციისთვის გამოიყენონ.*

"ჰოქსი" მომდევნო საგამოფენო მატჩს დღეს, გამთენიისას გამართავდა, "ორლანდოს" ესტუმრებოდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი ევროლიგაზე

# შერმადინმა ევროლიგა ორი ხუთიანით და ხუთი ორიანით გახსნა

**გიორგი შერმადინის** "პანათინაიკოსმა" ევროლიგის პირველ ტურში მილანის "არმანი" სტუმრად დაამარცხა – 75:67.

216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი თამაშში **ნიკოლა პეკოვიჩის** ნაცვლად ჩაერთო და საბოლოო სტატისტიკაში ხუთი ორიანი ჩაიწერა: 12 წუთში 2-2 ქულა-მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ მეტოქის კალათის მიმართულებით 2 ორქულიანი სტყორცნა და მიზანში ერთი მოარტყა, პასივში კი 5 ფოლი და 2 შეცდომა ჩაიწერა.

რომ არა ნაადრევად მიღებული მეხუთე ჯარიმა (მოედანი 36-ე წუთზე დატოვა), გიორგი მატჩის ბოლო წუთებს აუცილებლად ითამაშებდა, რადგან სასტარტო მეფარე ნიკოლა პეკოვიჩმა ხუთი ფოლის გამო მოედანი 38-ე წუთზე დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ შერმადინმა მხოლოდ 12 წუთი ითამაშა, იგი მატჩის საკვანძო ეპიზოდებში მოედანზე იყო. ამას ევროლიგის საიტზე გამოქვეყნებული მატჩის მიმოხილვაც მოწმობს: *"შეხვედრის დასაწყისში ორივე გუნდმა კარგი დაცვა დააყენა და შეტევაში თამაში მასპინძლებსაც გაუჭირდათ და სტუმრებსაც. ერთადერთი, ვინც პირველ ტაიმში მილანელებმა ვერ შეაჩერეს, ნიკოლა პეკოვიჩი იყო. მას საწყის 20 წუთში 15 ქულა ჰქონდა ჩაგდებული, მაშინ, როცა არც ერთი მისი თანაგუნდელი 7 ქულას არ იყო აცილებული.*

*მეორე ტაიმიდან ათამაშდნენ დიამანტიდისი და სპანულისი, თუმცა მესამე პერიოდში ბერძნებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც ნინახაზელთა დახმარებით შეძლეს: ჯერ პეკოვიჩმა ჩააგდო საჯარიმოები, შემდეგ შერმადინმა – ორქულიანი, ხოლო პერპეროგლუს ტყორცნის მერე სტუმრები 51:50 დაწინაურდნენ.*

*მეოთხე პერიოდის დასაწყისში "პანათინაიკოსმა" 5-ქულიანი ფორა დაიბევა, მაგრამ ლიტველმა მაციულისმა სამქულიანით "არმანის" იმედი დაუბრუნა – 63:65. სწორედ ამ დროს მეხუთე ჯარიმის გამო მოედანი დატოვა გიორგი შერმადინმა. მალე მას ნიკოლა პეკოვიჩიც მიჰყვა, თუმცა ათამაშებული ბერძნების შეჩერება მილანელებმა ვეღარ შეძლეს. დიამანტიდისის ზუსტი სამი საჯარიმოს შემდეგ ტაბლოზე "პანათინაიკოსის" სასარგებლოდ 75:67 დაფიქსირდა."*



მატჩისშემდგომი კომენტარისას "მწვანეთა" მთავარმა მწვრთნელმა, **ჟელკო ობრადოვიჩმა** ქართული გვარიც ახსენა:

*- ველოდით, რომ ხისტი თამაში იქნებოდა, რადგან ეს სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი იყო. გვაქვს საკადრო პრობლემები – ტრავმის გამო რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გვაკლია. თუმცა კარგად ირჯებიან ახალგაზრდები და ლიდერთა არყოფნის გამო გუნდის თამაშში ცვლილებები არ მომხდარა. პირველ ტაიმში ბევრი სროლა ვერ გავაცუდეთ, შეტევაში შეცდომებს ვცდებოდით. საქმე გართულდა ნიკოლა პეკოვიჩისა და გიორგი შერმადინის მეხუთე ჯარიმის შემდეგაც, თუმცა მეორე ტაიმში დიამანტიდისმა გაიხსენა, რომ გუნდის ლიდერია და პირველ ნახევარში პეკოვიჩის დაწყებული საქმე მეორეში კარგად დაასრულა.*

მატჩის ბომბარდირი **ვასილის სპანულისი** გახდა – 19 ქულა ჩააგდო, პეკოვიჩმა 17 ქულა მიითვალა, პერპეროგლუმ – 13, ხოლო დიამანტიდისმა – 12.

იტალიურმა გამოცემა "რეალბასკეტმა" კალათბურთელთა შეფასებისას ყველაზე მაღალი ბალი სპანულისსა და პეკოვიჩს დაუწერა - 8. გიორგი შერმადინს 5 ქულა ერგო. იქვე ორი სიტყვა ქართველის თამაშზეც წერია: *"ნილბიანი შერმადინი ნიკოლა პეკოვიჩს ცვლიდა, რაც კარგად გამოსდიოდა. ახალგაზრდა ქართველს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია."*

D ჯგუფში "პანათინაიკოსის" დარად თითო მოგება აქვთ გერმანულ "ოლდენბურგს" და რუსულ "ხიმკის".

ბერძნები მომდევნო მატჩს 29 ოქტომბერს ათენში გამართავენ – მადრიდის "რეალის" მძლეველ "ხიმკის" მიიღებენ. მანამდე "მწვანეებს" საბერძნეთის ჩემპიონატის სადებიუტო ტური ელით – 24 ოქტომბერს ლარისას ესტუმრებიან და "ოლიმპიასთან" ითამაშებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ევროპის ჩემპიონატი. U-19

# ცხრამეტწლამდელები გერმანიით იწყებენ

საქართველოს ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრები ხვალ ევროპის ჩემპიონატზე, პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში პირველ შეხვედრას გამართავს. უმცროსი ბორჯღალოსნების პირველი მეტოქე მეოთხედფინალში გერმანიის ნაკრები იქნება.




საპორტუგალიოდ ჩვენი ნაკრები საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანში მოემზადა. **ლევან მაისაშვილისა** და **მიხეილ სუჯაშვილის** ხელმძღვანელობით გუნდმა კანში ათი დღე დაჰყო და ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართა. პირველში საქართველოს ნაკრებმა იოლად მოუგო „ნიცას" თანატოლთა გუნდს - 30:0. მეორე მატჩში მეტოქე ბევრად ძლიერი გამოდგა, თუმცა ჩვენმა ბიჭებმა „ტულონის" ცხრამეტწლამდელთა გუნდის ძლევა მაინც შეძლეს - 15:5.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი გაისად გასამართი ჩელენჯ ტროფის შესარჩევი ტურნირია. აქ თამაშის უფლება მხოლოდ ჩემპიონს ეძლევა. ჩელენჯ ტროფი კი 2011 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია.

საქართველოსა და გერმანიის გუნდების გარდა კოიმბრაში იასპარეზებენ იტალიის, პორტუგალიის, რუსეთის, პოლონეთის, ბელგიისა და ესპანეთის ნაკრებები. გერმანიასთან გამარჯვების შემთხვევაში, ნახევარფინალში ჩვენების მეტოქე რუსეთსა და პოლონეთს შორის გამარჯვებული იქნება.

საქართველოს ნაკრები:

**ბადრი ფოფხაძე, ვასილ კვერნაძე, გიორგი ჭყოიძე, ანზორ ხიპაშვილი, გიორგი მენაბდიშვილი, გიორგი გაბელია, უშანგი მჭედლიშვილი, ბაჩანა კოლელიშვილი, ჯიმი ლამბაშიძე, ნოდარ ჭეიშვილი (ყველა ლელო), გაგა სინაურიძე, მიხეილ ნარიაშვილი, ზურაბ გოგლიჩაძე, თორნიკე ლომიძე (ყველა აია), ვანო გაბროშვილი, გიორგი ჭუაძე (ორივე აკადემია), დავით ბარბაქაძე, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ტყეშელაიძე, ერეკლე მეტრეველი (ყველა ყოჩები), ბექა ბიწაძე (ივერია), გიორგი თხილაშვილი (ბათუმი XV), რამაზ ჯინაშვილი (უნივერსიტეტი), დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე მიქაუტაძე (ორივე აჟენი), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი).**

**25 ოქტომბერი. მეოთხედფინალი**

საქართველო-გერმანია, იტალია-პორტუგალია, რუსეთი-პოლონეთი, ბელგია-ესპანეთი.

**28 ოქტომბერი. ნახევარფინალი.**

31 ოქტომბერი, ფინალი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# დუდუმ ორი წლით გააგრძელა



საქართველოს ეროვნული ნაკრების შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოსპარეზე „ტულონთან" ხელშეკრულება ორი წლით გაახანგრძლივა.

„დუდუს" კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2010 წლის მაისის ბოლოს გასდის, ორი პლუს ერთი სისტემით ჰქონდა გაფორმებული. ქართველმა მორაგბემ პლუს ერთის ნაცვლად არჩია, „ტულონში" კიდევ ორი წელი დარჩენილიყო. ამრიგად, ქუბრიაშვილი ერთ-ერთი უმდიდრესი ფრანგული კლუბის ღირსებას 2012 წლის ივნისამდე დაიცავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

შვიდკაცა რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# შვიდკაცა ჩემპიონი ხვალ გამოვლინდება

დღეს „სინათლის"სარაგბო სტადიონზე შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის შეხვედრები გაიმართება. წლეულს ჩემპიონატში უჩვეულოდ ბევრი,15 გუნდი იასპარეზებს. პირველად ითამაშებს ჯარის ნაკრები. კონკურსგარეშე გამოვა აზერბაიჯანის ეროვნული გუნდი. ტურნირი 10 საათიდან დაიწყება და18 საათამდე გასტანს.

პლეი ოფის შეხვედრები „სინათლეზე" ხვალ 11 საათიდან დაიწყება. ფინალური მატჩი კი 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

A ჯგუფი: **ლოკომოტივი, ხარები, დევები.**

**B ჯგუფი: ლელო, ბათუმი XV, ხულიგანა, ჯარი.**

C ჯგუფი: **ვისოლი ყოჩები, უნივერსიტეტი, არმაზი, ივერია.**

D ჯგუფი: **აკადემია, აია, აიეტი, აზერბაიჯანი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

● საპარლამენტო კომიტეტში



# პროექტზე მუშაობა გრძელდება

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**), საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის (თავმჯდომარე **ავთანდილ დემეტრაშვილი**) მონაწილეობით, განიხილა სპორტისმოყვარეობაზე საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების ინიციატივა. მაშინ გადაწყდა, რომ სპორტი კონსტიტუციაში ცალკე მუხლად შევიდოდა. დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომლის სამუშაო ვარიანტი სპორტის საპარლამენტო კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) გუშინ განიხილა. საბჭომ გაითვალისწინა შეთავაზებული შენიშვნები და წინადადებები. თავისი ვარიანტი სხდომაზე „ლელოს" რედაქციამაც წარადგინა.

პროექტზე მუშაობა გაგრძელდება.

**თენგიზ თომაშვილი**

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# სამშაბათს, ბადიაურში



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით, 27 ოქტომბერს ბადიაურში (საგარეჯო) სეოკ-ის დაფინანსებით (20 ათასი ლარი), ქართულ ჭიდაობაში გუნდური ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც ქვეყნის 9 რეგიონისა და შეიარაღებული ძალების ნაკრებები 6 წონით კატეგორიაში მთავარი პრიზის მოსაპოვებლად იასპარეზებენ. საუკეთესო მძიმეწონოსანი მოჭიდავე საქართველოს ხუთგზის ფალავნის, ძიუდოში ევროპის ოთხგზის ჩემპიონის **ანზორ კიკნაძის** თასით დაჯილდოვდება.

ბადიაურში გასამართ შეჯიბრებასთან დაკავშირებით გუშინ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და ქართული ჭიდაობის ფედერაციის თავკაცმა **უშანგი ყურაშვილმა** ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც სახელოვანი ფალავნები — ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**, ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და 9-გზის პრიზიორი **ნესტორ ხერგიანი** და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი **ვარლამ ლიპარტელიანიც** ესწრებოდნენ.

**გია ნაცვლიშვილი:** ქართული ჭიდაობა ჩვენი ფალავნებისთვის საფუძველთა საფუძველია, ამიტომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ბადიაურში გულშემატკივრებს საინტერესო ორთაბრძოლები ელით, რადგან ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეების უმეტესობა იასპარეზებს. ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე უფრო დიდ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ. საამისოდ ქართული ჭიდაობის ფედერაცია ძალ-ღონეს არ იშურებს. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

**უშანგი ყურაშვილი:** ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და მისმა ხელმძღვანელობამ, პირადად გია ნაცვლიშვილმა ქართულ ჭიდაობას წლეულს დახმარება და თანადგომა აღმოუჩინეს. ვალში არც ჩვენი ეროვნული საუნჯე დარჩება, რადგან კარგად დამუშავებული ქართული ფანდებით — მოგვერდით, გადავლებით, კისრულით თუ ბრუნით, ნებისმიერ შეჯიბრებაზე შეიძლება წარმატების მიღწევა.

სეოკ-მა ამ შეჯიბრებისთვის 20 ათასი ლარი გამოყო. ფალავნებისა და გულშემატკივრებისთვის ჩვენს ფედერაციასაც აქვს მომზადებული სიურპრიზი. რაც მთავარია, ქომაგები საინტერესო შეჯიბრებას იხილავენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თამაზ მაჭავარიანს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი სამძიმარს უცხადებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თამაზ მაჭავარიანს დედის, გარდაცვალების გამო.

● სპორტული კინო

# მილანში, 27-ე ფესტივალზე

30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, მილანი სპორტული კინოს 27-ე საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს. საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის (პრეზიდენტი **მანანა არჩვაძე-გამსახურდია**) ალმასკომის გადაწყვეტილებით, ფესტივალზე ჩვენი ქვეყნიდან ამჯერად ერთ ფილმად წარადგენენ კინორეჟისორ **ალექსანდრე ჟღენტის** ორ ადრინდელ ნამუშევარს „გვინდა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში" და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს". ბევრს ალბათ გაახსენდება საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი ეროვნულ სტადიონზე, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** გახსნა და მისალმება დაასრულა სიტყვებით: „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან საიუბილეო წელს ფესტივალში ამ ორი გაერთიანებული ფილმის მონაწილეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მილანის ფესტივალზე საქართველოს დელეგაციას მანანა არჩვაძე-გამსახურდია უხელმძღვანელებს.

„ლელოს" კორ.

● ძალოსნობა

# რუსთავის ფიცარნაგზე

რუსთავში ჩატარდა, წარსულში ცნობილი ქართველი ძალოსნის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის და რეკორდსმენის, რუსთავის მკვიდრის სანდრო გოგოლაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი ძალოსნობაში.

გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა თბილისის ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გურამ ფარულავა**).

გაგაცნობთ პირად პირველობაში გამარჯვებულებს: **დავით არეშიძე** (50 კგ, მცხეთა), **არნოლდ მკრტიჩიანი** (56, თბილისი), **გიორგი ქუსიკაშვილი** (62, რუსთავი), **კახა თურმანიძე** (69, თბილისი), **გელა იორამაშვილი** (77, გურჯაანი), **ლევან ხუზაურაშვილი** (85, თბილისი), **ნაილ ისმაილოვი** (94, გარდაბანი), **დავით ნოზაძე** (105, საჩხერე), **ლევან მამისაშვილი** (+105, გურჯაანი).

„ლელოს" კორ.



ლევან ხუზაურაშვილი (1), ვახტანგ ლობჟანიძე (2) - რუსთავი, ნიკა ნანაძე (3) - თბილისი

● კონფერენცია



ავტორის ფოტო

# სპორტს მეცნიერება დაუბრუნდა

## ოლიმპიური ჩემპიონის დებიუტი მეცნიერებაში

გუშინ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ „ოლიმპიური სპორტი" — „სპორტი ყველასათვის", რომლის ინიციატორია ამავე უნივერსიტეტის სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტი. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **სერგო რატიანმა**. მონაწილეებს მიესალმნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა**, პროფესორი **გურამ ბექაია**, პარლამენტარი, ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**, სპორტის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **დურმიშხან ჩიტაშვილი**, ცნობილი ტელერადიოკომენტატორი **ჯამლეტ ხუხაშვილი**.

შემდეგ მუშაობა სექციებში გაგრძელდა. მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ ასოცირებული პროფესორი **ნ. ბერიანიძე** („შეჯიბრებების პერიოდში სხვადასხვა საშუალების გამოყენების ეფექტურობა აკრობატების მაგალითზე"), **გ. ასანიძე** („ძალოსნობაში მოვარჯიშეთა ასაკობრივი დინამიკა და მათი წონითი კატეგორიების მიხედვით დაჯგუფება"), ასოცირებული პროფესორი, გაზეთ „ლელოს" მთავარი რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე** („სპორტი ყველასათვის და გლობალიზაცია"), **დ. ჩიტაშვილი**, ასოცირებული პროფესორი **ე. კორინთელი**, პროფესორი **მ. მირცხულავა** („მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მზადყოფნის ძირითადი მაჩვენებლების კორელაციის ზოგიერთი საკითხი"), დოქტორანტი **გ. ზუბიტაშვილი** („საქართველოს უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭიდავეთა შედეგები და მომავლის პერსპექტივები"), პროფესორი **მ. ეროგინა** („წყალმხტომელთა ვესტიბულური მდგრადობის შესწავლა"), პროფესორი **ი. დოლიძე** („სპორტი ვალეოლოგიის პოზიციიდან") და სხვები.

**სერგო რატიანი:** — სპორტის სახეობების განვითარების მიზნით, ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულება, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი ავითარებს. აქამდე არ არსებობდა მეცნიერული სპორტის განვითარება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად გავატარეთ ღონისძიებები. აუცილებლად უნდა გამოვიკვლიოთ და სათანადო რეკომენდაციები შევიმუშაოთ დიდი სპორტის გასავითარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, პერსპექტივა არ გვექნება. ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენციაც სწორედ ამ კონკრეტულ მიზანს ემსახურება.

**დურმიშხან ჩიტაშვილი:** — ქართული სპორტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩამოყალიბდა. ჯერ ერთი წელიც არ შეგვსრულებია, მაგრამ ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა მოიყარეს თავი, რომ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწვევა გადავწყვიტეთ. რექტორატმაც მხარი დაგვიჭირა. დარწმუნებული ვარ, ქართველი მეცნიერების ნაშრომ-ნაღვაწი სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს აუცილებლად გამოადგებათ.

**გიორგი ასანიძე:** — ბევრი საინტერესო მოხსენება მოვისმინე. მათი ყოველდღიურობაში დანერგვა მნიშვნელოვანი იქნება როგორც პროფესიული, ისე მასობრივი სპორტის განვითარებისთვის, რომლის დეფიციტსაც ასე განიცდის დღევანდელი საზოგადოება. მეცნიერებმა წარმოადგინეს ნაშრომები წლების დაკვირვებების შედეგად გამოტანილი დასკვნებით. მათი გათვალისწინება აუცილებელია. უცხოეთში დიდი ხანია სპორტსმენთა მომზადებაში აქტიურად არიან ჩართული მეცნიერები. ჩვენთანაც თუ ეს მასობრივად არ დავნერგეთ, საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება.

**დავით ნამგალაური:** — ჯერჯერობით სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში ვაღწევთ წარმატებებს, თუმცა ეს არ არის საკმარისი. შედეგების გაუმჯობესება თუ გვსურს, სპორტსმენთა მომზადებაში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ სამეცნიერო ჯგუფები. ამიტომ დროული და საჭირო იყო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია. ჩვენს დეპარტამენტს ახლო ურთიერთობა ექნება უმაღლეს სასწავლებელთან, რათა მატერიალურად წავახალისოთ მეცნიერ მუშაკთა საქმიანობა, მათი ინიციატივა. ერთობლივად დავსახავთ გეგმებს სპორტის იმ სახეობებში, რომლებსაც პრიორიტეტად მივიჩნევთ.

ფართო სპექტრია წარმოდგენილი ორდღიან კონფერენციაზე. პრევენციისთვის გვჭირდება მეცნიერთა დასკვნები, რათა თავიდან ავიცილოთ ტრავმიანობა თუ უბედური შემთხვევები როგორც დიდ სპორტში, ისე მოზარდებში.

სპორტს მეცნიერული მხარდაჭერა სჭირდება.

**ვაჟა დანელია**

ავტოსპორტი



# ჟან ტოდტი ახალი პრეზიდენტია

გუშინ პარიზში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. „ფერარის" ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა **ჟან ტოდტმა** არჩევნებში დამაჯერებლად დაამარცხა ყოფილი ფინელი რალისტი **არი ვატანენი** და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს ფედერაციას. ფრანგმა პრეზიდენტის პოსტზე ბრიტანელი **მაქს მოსლი** შეცვალა, რომელიც FIA-ს 16 წელი ხელმძღვანელობდა.

არჩევნებში ჟან ტოდტის კანდიდატურას ეროვნული ფედერაციებისა და ავტოკლუბების 135-მა წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი, ვატანენს 49 ხმა ერგო.

ტოდტის არჩევას უკვე გამოეხმაურა ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაცია (FOTA) და იმედი გამოთქვა, რომ ახალი პრეზიდენტი ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ახალ ეპოქას დაუდებს სათავეს.

*„მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო ჟანს, რომელიც ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ახალ პოსტზე მუშაობის დროსაც ასეთივე თვისებებს გამოავლენს.*

*ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ფედერაცია ტოდტის ხელმძღვანელობით რეფორმების გზას დაადგება, აღდგება დიალოგის ატმოსფერო და კონსტრუქციული ურთიერთობა ფორმულა 1-ის გუნდებთან.*

*ფორმულა 1 ახალ ფაზაში შედის. ყველა აქციონერმა ერთად უნდა იმუშაოს, იფიქროს მომავალზე, განამტკიცოს სპორტის რეპუტაცია, მიიღოს ახალი გამოწვევები ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის სფეროში. მაგრამ ამავდროულად, უნდა შენარჩუნდეს ყველა ის თვისება, რომელმაც ფორმულა 1 მსოფლიოში სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად აქცია"*, - განაცხადა არჩევნების შემდეგ „ფერარისა" და FOTA-ის პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ**, რომელიც წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ჟან ტოდტთან.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**მონრეალი–აილენდერსი 5:1**

2:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 გომესი-2 (მპაჩეკი-3), 2:0 მ-ა. ბერჟერონი-1 (მარა-5, მეტროპოლიტი-2), 3:0 პასიორეტი-1 (მეტროპოლიტი-3), 3:1 ბეილი-1, 4:1 კამალერი-2 (პლეკანეცი-5, მ-ა. ბერჟერონი-1), 5:1 ლაპიერი-1 (ა. კოსტიცინი-3, პლეკანეცი-6).

**რეინჯერსი–ნიუ ჯერსი 2:4**

0:2, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პარიზე-4 (ლანგენბრუნერი-3, რ. ნიდერმაიერი-4), 0:2 ბერგფორსი-1 (კლარკსონი-4, ზაიაცი-4), 1:2 გაბორიკი-7 (კოტალიკი-6, პროსპალი-9), 2:2 კოტალიკი-4 (ჟირარდი-3), 2:3 ზუბრუსი-1 (პარიზე-5), 2:4 პარიზე-5.

**ფილადელფია–ბოსტონი 4:3 (ბ)**

1:1, 2:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პრონგერი-2 (მ. კარლი-8, ვან რიმსდიკი-5), 1:1 დ. მორისი-1 (ხარა-5, შტურმი-3), 1:2 ჰანვიკი-3 (კრეისი-4), 2:2 პოუ-2 (კარჩილო-1, ტოლეფსენი-1), 3:2 ეშემი-2 (ტოლეფსენი-2, სივრეტი-1), 3:3 ბიგინი-2 (ბიტცი-1, დ. მორისი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ჟირუ (ფილადელფია).

**ატლანტა–ვაშინგტონი 4:5**

2:2, 0:3, 2:0

**გოლები:** 0:1 ფერი-1 (შულტცი-1), 1:1 აფინოგენოვი-2 (ანტროპოვი-5), 1:2 ჟირუ-1 (კ. ოკუანი-1), 2:2 კოვალჩუკი-8 (ანტროპოვი-6, აფინოგენოვი-3), 2:3 შულტცი-1 (ვარლამოვი-1), 2:4 ბრედლი-3 (შულტცი-2, შტეკელი-1), 2:5 კ. კლარკი-1 (მ. გრინი-5), 3:5 ბოგოსიანი-2 (კ. არმსტრონგი-2, პევერლი-5), 4:5 კოვალჩუკი-9 (ენსტრიომი-6, ვიაჩ. კოზლოვი-3).

**ოტავა–ნეშვილი 5:6 (ო)**

0:3, 0:0, 5:2, 0:1

**გოლები:** 0:1 სუტერი-1 (უილსონი-1, სკაჩარდი-1), 0:2 ფრანსონი-1 (დუმონი-2), 0:3 დუმონი-2 (ჯ. უორდი-1), 1:3 კამპოლი-1 (სპეცა-5, ალფრედსონი-7), 2:3 ფოლინო-2 (რეჯინი-2), 3:3 მ. მიხალეკი-5 (სპეცა-6, ვოლჩენკოვი-4), 3:4 შ. უებერი-2 (მულცერი-1, დუმონი-3), 4:4 ვოლჩენკოვი-1 (სპეცა-7, კარლსონი-3), 4:5 სუტერი-2 (დუმონი-4, შ. უებერი-3), 5:5 ფილიპსი-1 (ალფრედსონი-8, ფიშერი-5), 5:6 შ. უებერი-2 (სუტერი-4, დუმონი-5).

**ტამპა ბეი–სან ხოსე 5:2**

2:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ჯ. რაიტი-1 (სენტ ლუისი-9, ლეკავალიე-7), 2:0 მელოუნი-7 (ჰეილი-1, დაუნი-1), 2:1 ვეშე-3 (ჰასკინსი-4, დემერსი-8), 3:1 სტემკოსი-5, 4:1 მეზაროში-2 (ფედორუკი-1, ვეილო-2), 4:2 დ. ბოილი-2 (ჯ. ტორნტონი-13, მარლო-4), 5:2 სტემკოსი-6 (ტანგეი-2).

**ედმონტონი–კოლამბუსი 6:4**

1:1, 2:3, 3:0

**გოლები:** 1:0 სემ განიე-4 (პენერი-5, ჰემსკი-5), 1:1 ჰუსელიუსი-3 (ვორაჩეკი-3, ვერმეტი-5), 1:2 ტორესი-4 (უმბერგერი-2, სტრალმანი-2), 1:3 ჰუსელიუსი-4 (ვორაჩეკი-4, მ. როი-4), 1:4 ჩიმერა-3 (პალსონი-3, დორსეტი-1), 2:4 პენერი-6 (ჰემსკი-6, სემ განიე-3), 3:4 ჰემსკი-2 (ვიშნოვსკი-4, პენერი-6), 4:4 პენერი-7 (ჰემსკი-7, სემ განიე-4), 5:4 ვიშნოვსკი-2 (პენერი-7, ჰემსკი-8), 6:4 ნილსონი-1 (ვიშნოვსკი-5, შმიდი-4).

**ფინიქსი–დეტროიტი 3:2 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლომბარდი-3 (ა. ოკუანი-4, დოუნი-6), 1:1 ჰოლმსტრიომი-5 (დაციუკი-3, ზეტერბერგი-9), 1:2 ლებდა-1 (დაციუკი-4, ზეტერბერგი-8), 2:2 პრუხა-2 (ზ. მიხალეკი-4, ჰანჟალი-2), 3:2 ა. ოკუანი-2 (ვანდერმეერი-2, ფიდლერი-3).

**ლოს ანჯელესი–დალასი 5:4 (ო)**

2:1, 2:0, 0:3, 1:0

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-6 (დ. ბრაუნი-6, რ. სმიტი-8), 2:0 სიმონდსი-3 (ფროლოვი-5), 2:1 ჯ. ნილი-4, 3:1 კოპიტარი-7 (დ. ბრაუნი-7, დაუტი-5), 4:1 კოპიტარი-8 (სიმონდსი-2, ფროლოვი-6), 4:2 ბენი-3, 4:3 ფისტიჩი-1 (ბ. რიჩარდსი-7, ლ. ერიქსონი-4), 4:4 ჯ. ნილი-5 (ლ. ერიქსონი-5, ბ. რიჩარდსი-8), 5:4 ჰანძუში-4.

კალათბურთი. ევროლიგა. I ტური

# ძმები ლავრინოვიჩები საუკეთესოები არიან

ევროლიგის პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ მადრიდის „რეალის" ცენტრი **დარიუშ ლავრინოვიჩი** აღიარეს. ხუთშაბათს, „სამეფო კლუბმა" ოვერტაიმში დათმო შეხვედრა ევროლიგის დებიუტანტთან - რუსეთის „ხიმკისთან" (81:84). ლავრინოვიჩმა ამ მატჩში 32 ქულა დააგროვა (10 პირველი ტაიმში, 18 - მეორეში და 4 - დამატებით დროში). მან თამაშიდან 12-ჯერ ისროლა, რვა ბურთი ჩააგდო და 17-დან 14 საჯარიმო გამოიყენა. ასევე მის აქტივში იყო 11 მოხსნა, 3 დაფარება და 2 შედეგიანი პასი. მოსკოვის ოლქის გუნდის კალათბურთელებმა ლიტველზე 11-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი. საბოლოო ჯამში, დარიუშ ლავრინოვიჩის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 49 ქულა შეადგინა.

საინტერესოა, რომ კვირის ლაურეატის ტყუპისცალმა - იტალიის „მონტეპასკის" ცენტრმა **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** ასევე გააუმჯობესა ევროლიგაში შედეგიანობის პირადი რეკორდი და ის „ხიმკისა" და „რეალის" მატჩამდე ტურის MVP-ის ტიტულის მთავარი პრეტენდენტი იყო. კშიშტოფმა „ციბონასთან" გასვლით მატჩში (40:85) 26 ქულა (თამაშიდან - 7/10, სამქულიანები - 4/5, ჯარიმები - 8/10), 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 შედეგიანი პასი დააგროვა.

ტურის ხუთ საუკეთესო კალათბურთელს შორის კიდევ სამი ფორვარდი მოხვდა: **პიტ მიკელი** („ბარსელონა"), **ლინას კლეიზა** („ოლიმპიაკოსი") და **კინტელ ვუდსი** („პროკომი").

**A ჯგუფი**

**ციბონა–მონტეპასკი 40:85**

13:21, 11:14, 8:32, 8:18

ც: ტ. ტომასი (12+9 მოხსნა), ზუბჩიჩი (5+8 მოხსნა).

მ: კ. ლავრინოვიჩი (26+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), სატო (14), მაკინტაირი (6+11 პასი+7 ჩაჭრა).

**ჟალგირისი–ვილერბანი 71:52**

20:15, 20:12, 13:12, 18:13

ჟ: კალნიეტისი (17), მ. ბრაუნი (16), პოჩიუსი (16), უოტსონი (8+14 მოხსნა).

ვ: ბორჰარდტი (20+7 მ), დიქსონი (10+9 მოხსნა).

**ფენერბაჰჩე–ბარსელონა 59:82**

11:19, 10:19, 17:24, 21:20

ფ: სოლომონი (16), სავაში (11), ლ. გრირი (10).

ბ: მიკელი (26+7 მოხსნა), რუბიო (9+9 პასი), ფ. ვასკესი (8+7 მოხსნა), მორისი (8+7 მოხსნა).



**B ჯგუფი**

**ლეტუვოს რიტასი–ეფესი 77:70**

21:16, 17:9, 24:21, 15:24

ლ: გეჩიავიჩუსი (21), ზავაცკასი (15+6 მოხსნა), ბეინსი (14+6 მოხსნა+4 დაფარება), ბ. პოპოვიჩი (11+10 პასი+3 ჩაჭრა).

ე: შუმპერტი (12), ი. რაკოჩევიჩი (11+4 პასი), ჩ. სმიტი (10), კასუნი (9).

**ოლიმპიაკოსი–ორლეანი 94:72**

18:15, 26:15, 22:19, 28:23

ოლი: კლეიზა (23+9 მოხსნა), ჩილდრესი (15), უეფერი (10), ვუიჩიჩი (10), ტეოდოშიჩი (7).

ორლ: კოვილი (18+6 მოხსნა), ო. ნიკოლსი (18), ბენქსი (14+3 ჩაჭრა), კურტი (9+4 პასი).

**პარტიზანი–უნიკახა 64:72**

25:19, 16:13, 11:17, 12:23

პ: მაკკალები (15), ჯეკიჩი (10).

უ: ფრილანდი (19), პრინტეცისი (17), უელში (9).

**C ჯგუფი**

**მარუსი–ცსკა 65:66**

12:18, 22:14, 14:17, 17:17

მ: კაიმაკოგლუ (15), კისი (14), მავროედისი (13+9 მოხსნა+3 დაფარება), ლუკასი (10+4 პასი).

ც: ლენგდონი (18), ჰოლდენი (16), შიშკაუსკასი (12+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ხრიაპა (5+9 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 დაფარება).

**რომა–კახა ლაბორალი 77:65**

17:15, 20:17, 27:11, 13:22

რ: ჟააბერი (18+5 მოხსნა+6 პასი), უინსტონი (16), ჰატსონი (14).

კ: სპლიტერი (17+9 მოხსნა), ტელეტოვიჩი (17).

**D ჯგუფი**

**ხიმკი–რეალი 84:81 (ო)**

17:14, 22:18, 14:20, 19:20, 12:9

ხ: კაბესასი (20), ლენგფორდი (12), მაკარტი (11+3 ჩაჭრა), იავტოკასი (11+8 მოხსნა), იანკუნასი (10+11 მოხსნა), მოზგოვი (10+6 მოხსნა).

რ: დ. ლავრინოვიჩი (32+11 მოხსნა+3 დაფარება), კაუკენასი (22), პრიჯიონი (3+6 პასი).

**პროკომი–ოლდენბურგი 81:87**

21:24, 23:22, 17:16, 20:25

პ: ვუდსი (23+14 მოხსნა), ლოგანი (15+6 პასი), ბარელი (10+7 მოხსნა), იაგლა (10).

ო: პოლდინგი (23), ფოსტერი (20+6 მოხსნა+6 პასი), სცეკიჩი (12), ჯ. კარტერი (10), მაისტოროვიჩი (9+8 მოხსნა), პერკოვიჩი (9+8 მოხსნა).

**მილანი–პანათინაიკოსი 65:73**

22:21, 16:14, 14:21, 13:17

მ: მ. ფინლი (13), მაციულისი (12)

პ: სპანულისი (19), პეკოვიჩი (17+6 მოხსნა), პერპეროგლუ (13), დიამანტიდისი (12).

ველოსპორტი

# ასტანას ლიცენზია არ მისცეს

ყაზახური ველოსაჯინიბო „ასტანა" ვერ მოხვდა იმ გუნდებს შორის, რომლებმაც 2010 წლის სეზონისთვის ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის (UCI) ლიცენზია მიიღეს.

„ასტანას" გარდა, ჯერჯერობით ასეთი ლიცენზიის გარეშეა დარჩენილი კიდევ ოთხი გუნდი - Caisse d'Epargne, Saxo Bank, Sky და Eusktaltel-Euskadi. ამ ველოსაჯინიბოებმა 20 ნოემბრამდე უნდა მიაწოდონ კავშირს მონაცემები ბიუჯეტისა და სპონსორებთან კონტრაქტების შესახებ, აგრეთვე სხვა ფინანსური ინფორმაცია. წესების თანახმად, იმ გუნდების ველომრბოლებს, რომლებიც საგაისოდ ლიცენზიას დროულად ვერ მიიღებენ, თავისუფლად შეეძლებათ სხვა საჯინიბოში გადაბარგება.

„ასტანა" წლევანდელი სეზონის შემდეგ უკვე დატოვა ათმა ველომრბოლმა - მათი ძირითადი ნაწილი ლეგენდარული ამერიკელის **ლენს არმსტრონგის** ახალ გუნდ RadioShack-ში გადავიდა. სავარაუდოდ, ამ სიტუაციით ისარგებლებს ტურ დე ფრანსის წლევანდელი გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი**, რომელიც მანამდე სხვა გუნდში მოქმედი კონტრაქტის გამო ვერ გადადიოდა.

აქვე გთავაზობთ იმ გუნდების სიას, რომლებმაც უკვე მიიღეს UCI-ის ლიცენზიები: AG2R La Mondiale, Fransaise des Jeux, „რაბობანკი", Footon-Servetto, „კატიუშა", Garmin-Slipstream, Lampre Farnese Vini, Liquigas-Dommo, Quick Step, RadioShack, Omega Pharma-Lotto, Columbia-HTC და Milram.

# ლენსმა ჯიროს კალიფორნია ამჯობინა

ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა **ლენს არმსტრონგმა** უფრო კონკრეტულად გააცნო ჟურნალისტებს თავისი საგაისო გეგმები. კერძოდ, RadioShack-ის ლიდერმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მონაწილეობას მიიღებს კალიფორნიის ტურში, რომელიც 16-23 მაისს გაიმართება. ეს რბოლა წვიმების სეზონის გამო თებერვლიდან მაისში გადაიტანეს, რის გამოც ლეგენდარულ ველომრბოლს ჯირო დ'იტალიას გამოტოვება მოუწევს.

ლენსთან ერთად, კალიფორნიის ტურში RadioShack-ის სხვა ლიდერები - **ლევი ლაიპჰაიმერი, დევიდ ზაბრისკი** და **ჯორჯ ჰინკეპი** მიიღებენ მონაწილეობას. ჯიროზე ნაკლებად პრესტიჟულ ტურში მონაწილეობა იმით არის გამოწვეული, რომ ლენსის ახალი გუნდის სატიტულო სპონსორი დაინტერესებულია კალიფორნიის ტურში გამოსვლით.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონი სეზონისთვის მზადაა

ამ უიქ ენდზე იწყება სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის მორიგი გათამაშება. ქალთა შორის შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორს, ამერიკელ **ლინდსი ვონს** იმედი აქვს, რომ ოლიმპიურ სეზონში წარმატებულ სტარტს აიღებს. ვონს ამგვარი პროგნოზის საფუძველს მისი ამჟამინდელი სპორტული ფორმა აძლევს. 2009-10 წლების მსოფლიოს თასი შაბათს, ავსტრიის კურორტ ცოლდენში იწყება.

*„ცოლდენში წარმატებული გამოსვლა - დამდეგ სეზონში ეს მხოლოდ ერთ-ერთი ლოკალური ამოცანაა. წინ ურთულესი წელი გველის, რომელიც სავსე იქნება დაძაბული სტარტებითა და ბრძოლით. გიგანტურ სლალომში ისე ვარ მომზადებული, როგორც არასდროს. ოფიციალურ სტარტამდე კიდევ მაქვს ვარჯიშები, მაგრამ უკვე დღეს თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მზად ვარ შეჯიბრებებისთვის"*, - მოჰყავს სააგენტო „როიტერს" სპორტსმენის სიტყვები.

*„რა თქმა უნდა, უახლოესი თვეების მთავარი სტარტი ოლიმპიური თამაშები იქნება. მაგრამ იქ წარმატების მისაღწევად, აუცილებლად მჭირდება მსოფლიოს თასის ეტაპების მაღალ დონეზე და სტაბილურად ჩატარება. ვანკუვერში ნებისმიერი სინჯის ოლიმპიური მედალი კარგ შედეგად ჩაითვლება, ხოლო თუ ოქროს მოვიპოვებ, ეს განსაკუთრებულად საზეიმო იქნება ჩემთვის"*, - აღნიშნა ვონმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ბოლო საგზური იანკოვიჩისაა

წარუმატებლად დასრულდა ლუქსემბურგის ტურნირზე ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონის **კიმ კაისტერსის** გამოსვლა. ბელგიელმა ჩოგბურთელმა, რომელიც სატურნირო ბადეში მეორე ნომრად იყო განთესილი, რიგით მეორე მატჩი 30 წლის შვეიცარიელ **პატი შნიდერთან** დათმო. ბრძოლა ზუსტად ორ საათს გაგრძელდა და ყველაფერი მესამე სეტის ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, სადაც იღბალი ვეტერანი შნიდერის მხარეს აღმოჩნდა. მან შემოკლებული გეიმი 8:6 მოიგო, შეხვედრის საერთო ანგარიში კი ასეთი იყო - 6:4, 3:6, 7:6.

*„პატი დღეს ბრწყინვალედ თამაშობდა. ის თითქმის არ უშვებდა შეცდომებს და ბრეიკის აღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მე კი უამრავი უნებლიე შეცდომა დავუშვი და პირველი მოწოდებაც არ მქონდა ისეთი, როგორიც საჭირო იყო. პირველ სეტში რამდენიმე შანსი მივიღე და ბოლომდე ბრძოლას ვცდილობდი. მაგრამ საერთო ჯამში, თამაში არ წამივიდა და ამის გამო იმედგაცრუებული ვარ“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კლაისტერსმა.

■ ■ ■

პარალელურად მიმდინარე კრემლის თასის ტურნირზე წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის ბოლო, მერვე მონაწილე გაირკვა. საგზურის მფლობელი გახდა სერბი **ელენა იანკოვიჩი**. ეს უკანასკნელი დოჰას ტურნირზე მას შემდეგ მოხვდა, რაც მისმა კონკურენტმა, რუსმა **ვერა ზვონარევამ** ბულგარელ **ცვეტანა პირონკოვასთან** დათმო მერვედფინალური შეხვედრა და სეზონი ამ წაგებით დაასრულა.

კრემლის თასის დაწყების წინ, წლის დასკვნითი ტურნირის ბოლო საგზურისთვის სამი ჩოგბურთელი აცხადებდა პრეტენზიას - იანკოვიჩი, ზვონარევა და პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. ეს უკანასკნელი პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას, მას ზვონარევაც მიჰყვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დოჰაში გამგზავრების უფლება ელენა იანკოვიჩმა მოიპოვა. სერბმა ჩოგბურთელმა მერვედფინალი ჩეხ **ლუსი საფაროვას** მოუგო და გუშინ მეოთხედფინალში რუს **ალისა კლეიბანოვას** ეთამაშებოდა. ეს მატჩი სერბმა ორ სეტში წააგო - 4:6, 3:6.



ასე რომ, WTA-ის ტურის საბოლოო ტურნირში შემდეგი რვა ჩოგბურთელი ითამაშებს: რუსები **დინარა საფინა, სვეტლანა კუზნეცოვა** და **ელენა დემენტიევა**, ამერიკელები **ვენუს** და **სერენა უილიამსები**, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** და სერბი ელენა იანკოვიჩი. სათადარიგოები იქნებიან ზვონარევა და რადვანსკა, რომლებიც WTA-ის საჩემპიონო რბოლაში მეცხრე-მეათე ადგილზე არიან.

ტურნირი კატარის დედაქალაქ დოჰაში 27 ოქტომბერს დაიწყება და 1 ნოემბერს დასრულდება.

# შვედეთი ენქვისტმა ჩაიბარა

ერთ დროს ATP-ის ტურის მეოთხე ნომერი **ტომას ენქვისტი** დევისის თასზე შვედეთის ნაკრების ახალ კაპიტნად დაინიშნა. ამ პოსტზე მან ლეგენდარული **მატს ვილანდერი** შეცვალა, რომელიც ამ დღეებში ნებაყოფლობით გადადგა პოსტიდან.

*„რა თქმა უნდა, ეს უდიდესი პატივია ჩემთვის - მე ხომ ლეგენდარული გუნდი ჩამაბარეს. იმედი მაქვს, რომ ჩემი სათამაშო გამოცდილება ნაკრებს აუცილებლად გამოადგება“*, - განაცხადა დანიშვნის შემდეგ 35 წლის ენქვისტმა.

მოთამაშის რანგში ტომასმა ეროვნულ გუნდში 9 სეზონი გაატარა - 1995 წლიდან 2004 წლამდე. ორჯერ - 1997 და 1998 წლებში ის შვედეთის ნაკრებს დევისის თასის მოპოვებაში დაეხმარა. რაც შეეხება ATP-ში პროფესიულ კარიერას, აქ ენქვისტის ანგარიშზე 19 ტიტული მოდის. 1999 წელს მან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ რუს **ევგენი კაფელნიკოვთან** წააგო - 6:4, 0:6, 3:6, 6:7(1).

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში შვედეთმა პირველივე წრის მატჩი წააგო (2:3) ისრაელის ნაკრებთან, თუმცა შემდეგ რუმინეთის ნაკრების ძლევით (3:2) შეინარჩუნა ადგილი მსოფლიოს ლიგაში. ენქვისტის ხელმძღვანელობით შვედეთის ნაკრები პირველ შეხვედრას მომავალი წლის 5-7 მარტს გამართავს. სასტარტო მატჩში „ტრე კრუნური“ საკუთარ მოედანზე მიიღებს არგენტინის ნაკრებს.

შვედეთს შვიდჯერ აქვს მოგებული დევისის თასი. ტიტულების რაოდენობით ის მხოლოდ ამერიკას, ავსტრალიასა და საფრანგეთს ჩამორჩება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2010 — UNDER 17**

| | |
|---|---|
| თურქეთი-ფინეთი | 2:0 |
| მაკედონია-გერმანია | 0:2 |

**ევრო 2010 — UNDER 19**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ლატვია | 1:1 |
| უნგრეთი-ლიხტენშტაინი | 4:0 |

**ინგლისი — ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| უოტფორდი-უენსდი | 4:1 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ტორინო-რეჯინა | 2:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალენი-აუგსბურგი | 1:3 |
| ფიურტი-კობლენცი | 1:2 |
| კაიზერი-ფორტუნა | 0:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-დინამო (დ) | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ვილჰელმშავენი-ბაბელსბერგი | 1:2 |
| მაგდებურგი-ჰერტა A | 3:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| მიუნხენი A-პფიულენდორფი | 1:1 |
| ვაიდენი-კარლსრუე A | 4:3 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბასტია-ჰავრი | 1:1 |
| ისტრი-აიაჩო | 0:2 |
| ლავალი-არლი | 0:1 |
| მეცი-გინგამი | 2:0 |
| ნიმი-სედანი | 3:0 |
| ვანი-კლერმონი | 1:2 |
| ბრესტი-სტრასბური | 1:1 |
| კაენი-ანჟერსი | 2:1 |
| დიჟონი-ნანტი | 1:2 |
| ტური-შატორუ | 2:2 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-როდა | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-მაასტრიხტი | 2:1 |
| კამბური-ომნივორლდი | 4:2 |
| ემენი-ექსელსიორი | 4:2 |
| დენ ბოში-ფორტუნა | 3:1 |
| დორდრეჰტი-ტელსტარი | 0:3 |
| ეინდჰოვენი II-იგლზი | 1:2 |
| ცვოლე-ვეენდამი | 1:2 |
| ჰაარლემი-ვოლენდამი | 1:2 |
| ჰელმონდი-აპელდოორნი | 4:4 |
| როსენდაალი-ტოპ ოსი | 0:3 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ლოკერენი-გენკი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიერსი-ტინენი | 4:3 |
| ჰევერლე-ეუპენი | 3:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ოლანენსე | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გაის-მალმიო | 1:1 |
| ერებრუ-ჰალმსტადი | 2:1 |
| ბრომაპიოკარნა-გიოტებორგი | 0:3 |

**ავსტრია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია II-ლუსტენაუ | 3:0 |
| ადმირა-დორნბირნი | 4:0 |
| ტიროლი-ჰარტბერგი | 6:0 |
| გრატკორნი-ზალცბურგი II | 1:2 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 0:2 |

**შვეიცარია — ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკარნო-ნიონე | 1:2 |

**საბერძნეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კალამატა-დოხა | 2:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ქაისერი | 2:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-შემროკი | 0:0 |
| დანდალკი-ბრეი | 2:4 |
| გალვეი-დროგედა | 0:2 |
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-ლონგფორდი | 2:1 |
| კილდეირი-უექსფორდი | 1:2 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| სლიგო-უოტერფორდი | 1:0 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბანგორი-პრესტატინი | 4:0 |
| სეფნი-რილი | 1:1 |

**ჩეხეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჟლინი-დუკლა | 3:1 |
| იჰლავა-ჩასლავი | 5:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| არკა-იაგელონია | 0:0 |
| პოლონია (ბ)-რუხი | 0:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| სლავენი-ინკერი | 5:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ჰონვედი-ზალაეგერშეგი | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ოცელული-პოლი იასი | 4:0 |
| გაზ მეთანი-ბრაშოვი | 1:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ბეროე-მონტანა | 0:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ულმი-სკაილაინერსი | 82:95 |
| ბრაუნშვაიგი-ერტლანდი | 94:86 |
| გესენი-ბრემერჰავენი | 81:87 |
| ოლდენბურგი-დიუსელდორფი | 83:62 |
| პადერბორნი-ლუდვიგსბურგი | 64:74 |
| ტელეკომი-ფინიქსი | 82:59 |
| ტრირი-გიოტინგენი | 94:87 |
| ტიუბინგენი-ალბა | 70:66 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ორლეანი-ვილერბანი | 76:66 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ტორპედო | 3:0 |
| ბარისი-ვიტიაზი | 3:1 |
| სპარტაკი-სევერსტალი | 3:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-აკრონი | 4:1 |
| გრაცი-ზაგრები | 2:3 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 6:3 |
| კლაგენფიურტი-ალბა | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-იზერლონი | 3:0 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 4:3 |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 4:5 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 5:1 |
| კასელი-დიუსელდორფი | 4:3 |
| ფრანკფურტი-შტრაუბინგი | 2:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ჰვიდოვრე | 2:4 |
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 2:0 |
| ესბერგი-სონდერიისკი | 2:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ნოვა ვესი | 2:4 |
| მიკულაში-პოპრადი | 4:3 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 1:0 |
| სლოვანი-სლოვაკეთი (U20) | 12:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-ესეტი | 4:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ჟლინი-ტრშინეცი | 4:6 |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 3:3 |
| ბოლესლავი-სპარტა | 1:1 |
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 3:4 |
| ბრნო-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| პარდუბიცე-პლზენი | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ბილი | 3:4 |
| დავოსი-ციურიხი | 1:4 |
| ლანგნაუ-ცუგი | 5:0 |
| ლუგანო-კლოტენი | 6:3 |
| რაპერსვილი-ბერნი | 5:1 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მოსკოვი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-ჯინეპრი | 6:3, 6:3 |
| კუევასი-კუკუშკინი | 6:4, 1:6, 4:6 |
| კოროლიოვი-მარჩენკო | 6:0, 2:6, 3:6 |

**ATP. სტოკჰოლმი**

| | |
|---|---|
| ო. როხუსი-ნიემინენი | 6:3, 2:6, 6:1 |
| ი. იოჰანსონი-ბელუჩი | 6:7, 3:6 |
| სიოდერლინგი-გარსია ლოპესი | 7:6, 6:4 |
| ბაღდატისი-კლემანი | 6:4, 6:4 |

**WTA. ლუქსემბურგი**

| | |
|---|---|
| ვიკმაიერი-ფლიპკენსი | 7:6, 4:6, 6:1 |
| ბაშჩინსკი-სრებოტნიკი | 6:7, 6:1, 6:4 |
| ლისიცკი-შნიდერი | 6:4, 6:2 |
| ჰანტუხოვა-პეერი | 2:6, 6:7 |

**WTA. მოსკოვი**

| | |
|---|---|
| კირილენკო-სკიავონე | 3:6, 2:6 |
| იანკოვიჩი-კლეიბანოვა | 4:6, 3:6 |
| დუშევინა-გოვორცოვა | 3:6, 0:6 |

TV პროგრამა

**24 ოქტომბერი. შაბათი**

**I არხი**

17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. რივერ პლეიტი-სან ლორენსო.
08:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
09:45 კალათბურთი. ევროლიგა. I ტურის მიმოხილვა.
10:15 სპორტკლუბი.
11:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ცსკა-მანჩესტერ იუნ.
13:05 100% დინამო.
13:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-მინესოტა.
15:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ასტონ ვილა (LIVE).
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ბოლონია (LIVE).
22:00 ჰოკეი. NHL.
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვიტორია (LIVE).
02:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი.
04:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
05:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ციურიხი-მარსელი.
06:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:25 სპორტის სამყარო.
08:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
10:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
12:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლაციო-ვილიარეალი.
14:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ინტერი-დინამო.
16:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-მინესოტა.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაერნი-აინტრახტი.
00:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ასტონ ვილა.
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
03:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-მინესოტა.
05:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი.

**EUROSPORT**

11:00 მულტისპორტი.
11:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:25 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ჯანლუიჯი ბუფონი.
11:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ცოლდენი. ავსტრია (LIVE).
12:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
14:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ცოლდენი. ავსტრია (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიოს სერია. I რბოლა. ალკანისი. ესპანეთი (LIVE).
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სუპერპოული. პორტმანი. პორტუგალია (LIVE).
18:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰონდურასი-არგენტინა. ნიგერია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-შვეიცარია. ნიგერია.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-გერმანია. ნიგერია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი (LIVE).
02:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
02:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს თასი. გუნდური. ვენა. ავსტრია.

**25 ოქტომბერი. კვირა**

**რუსთავი 2**

12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:35 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. ველეს სარსფილდი-ლდუ.
09:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ინტერი-დინამო.
11:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
11:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბლექბერნი.
13:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
15:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვიტორია.
17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:00 სპორტული სამყარო.
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-გრემიო.
23:15 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბუდაპეშტი, უნგრეთი.
00:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი.
02:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
04:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი.
06:00 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბუდაპეშტი, უნგრეთი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ბოლონია.
09:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მოსკოვი, რუსეთი.
11:20 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
11:50 კალათბურთი. ევროლიგა. I ტურის მიმოხილვა.
13:40 სპორტის სამყარო.
14:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბარნლი-უიგანი.
16:25 კალათბურთი. ევროლიგა. I ტურის მიმოხილვა.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ნაპოლი (LIVE).
19:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი (LIVE).
21:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაის მასტერსი. ჩინეთი.
22:15 სპორტის სამყარო.
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი (LIVE).
00:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მოსკოვი, რუსეთი.
02:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ნაპოლი.
04:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
05:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
06:45 100% დინამო.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
11:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ცოლდენი. ავსტრია.
11:35 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ცოლდენი. ავსტრია (LIVE).
12:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
14:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ცოლდენი. ავსტრია (LIVE).
15:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. პორტიმანი. პორტუგალია.
16:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პორტიმანი. პორტუგალია (LIVE).
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. პორტმანი. პორტუგალია.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. პორტმანი. პორტუგალია (LIVE).
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ბურკინა ფასო. ნიგერია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ირანი-გამბია. ნიგერია.
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ჰოლანდია. ნიგერია (LIVE).
23:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოსტა რიკა-ახალი ზელანდია. ნიგერია.
00:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს თასი. გუნდური. ვენა. ავსტრია.
01:00 ავტოსპორტი. „რენოს“ მსოფლიოს სერია. II რბოლა. ალკანისი. ესპანეთი.
01:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
02:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტმანი. პორტუგალია.
02:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ელოსა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომონდი



# შაკის სინქრონული ცურვა

მერილენდის შტატის ერთ-ერთი კოლეჯის აუზში ცურვაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ „კლივლენდ კავალიერზის“ ცენტრი **შაკილ ო'ნილი** და 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი**. სოლიდური ფორის მიუხედავად, შაკმა მეტოქესთან სამიდან გაცურვა წააგო.

*„ამ მომენტიდან შავკანიანი მილორად კავიჩი დამიძახეთ (ხორვატი მოცურავე პეკინის ოლიმპიადაზე ფელპსის მეტოქე იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. ფინალში კავიჩმა ფინიშზე დათმო პრაქტიკულად მოგებული ოქროს მედალი - რედ.). გამარჯვების აღნიშვნა ძალიან ადრე დავიწყე და ზედ ფინიშზე ამიტომაც წავაგე“*, - ამბობს ო'ნილი.

დამარცხებისთვის საკუთარი თავის დასასჯელად, შაკმა ვარდისფერი საცურაო ქუდი დაიხურა და აუზში სინქრონული ცურვის ელემენტები შეასრულა.

ლეგენდარული კალათბურთელისა და მოცურავის შეჯიბრი ABC-ის შოუს („შაკილის წინააღმდეგ...“) ნაწილი იყო. ტელევიზიის ხელმძღვანელთა თხოვნით, შაკი სპორტის სხვადასხვა სახეობის ვარსკვლავებს იწვევს დუელში. ადრე ო'ნილი გაეჯიბრა ამერიკული ფეხბურთის, ბეისბოლის, პლაჟის ფრენბურთისა და კრივის ოსტატებს და ყველასთან დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ფორმულა 1

# კულტჰარდი ერთი დღით ბრუნდება

შოტლანდიელი **დევიდ კულტჰარდი**, რომელმაც შარშანდელი სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა, წელს ერთი დღით დაბრუნდება ავტოსპორტში. „მაკლარენის“ ყოფილი პილოტი 3-4 ნოემბერს პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე ტრადიციულ „ჩემპიონთა რბოლაში“ მიიღებს მონაწილეობას.

*„ჩემპიონთა რბოლა სეზონის კარგი დასასრულია. გასულ წელს ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან, მაგრამ არ გამიმართლა. ამჯერად სერიოზულად მაქვს განზრახული მთავარი პრიზის მოპოვება. მსოფლიოს ჩემპიონთან გაჯიბრების შანსი მომეცა, ეს კი ტრასაზე დაბრუნების კარგი საბაბია“*, - ამბობს შოტლანდიელი პილოტი. როგორც წესი, ყოველწლიური რბოლა ერთად კრებს ფორმულა 1-ის, ნასკარის, რალისა და ლე მანის 24-საათიანი რბოლის საუკეთესო პილოტებს.

უკვე ცნობილია, რომ კულტჰარდთან ერთად პეკინში ჩასვლას გეგმავენ ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** და წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორი **ჯენსონ ბატონი**, რალიში მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი **მიკო ჰირვონენი** და სხვა ცნობილი ავტომრბოლები.

# ბრაუნი დაშლის პირასაა

წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორი გუნდი - „ბრაუნ გრან-პრი“ დაშლის პირას არის მისული. ჭორების მიხედვით, „რედ ბული“, „მაკლარენი“ და „ფერარი“ მზად არიან თავიანთ რიგებში მიიღონ ბრიტანული საჯინიბოს საუკეთესო სპეციალისტები. ასევე დიდია იმის შანსი, რომ „ბრაუნი“ დატოვოს მსოფლიოს ჩემპიონმა **ჯენსონ ბატონმა**.

ბრიტანული „ტელეგრაფის“ ცნობით, ბატონი არ ჩქარობს თავის ამჟამინდელ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებას. როგორც იცით, ამ სეზონში ინგლისელი ხელფასის 80 პროცენტით შემცირებას დათანხმდა, მაგრამ ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მას სურს დაახლოებით ისეთი ჯამაგირი მიიღოს, რამდენსაც ადრე „ჰონდა“ უხდიდა - 10 მილიონი ფუნტი წელიწადში. **კიმი რაიკონენთან** (25 მილიონი ფუნტი), **ფერნანდო ალონსოსთან** (20 მილიონი) და **ლუის ჰემილტონთან** (15 მილიონი) შედარებით, ეს არც ისე მაღალი მოთხოვნაა.

მაგრამ მიმდინარე მოლაპარაკებებისას, „ბრაუნმა“ ბატონს შესთავაზა თანხა, რომელიც სულ ოდნავ აღემატება ჯენსონის ამჟამინდელ ხელფასს. თუმცა მხარეებს კიდევ აქვთ დრო მოსალაპარაკებლად. გუნდის აღმასრულებელი დირექტორი **ნიკ ფრაი** იტყობინება, რომ პილოტთან მოლაპარაკებები აბუ დაბის გრან-პრის შემდეგ განახლდება.

გარდა ამისა, ფრაიმ განაცხადა, რომ არაფერი იცის გუნდის ტექნიკური პერსონალის უკმაყოფილების შესახებ. როგორც გაზეთებში წერენ, ჩემპიონატის მოგებისთვის პრემიების ოდენობა იმდენად დაბალი აღმოჩნდა, რომ ბრიტანული საჯინიბოს საუკეთესო მექანიკოსები და ინჟინრები სხვა გუნდებში აპირებენ გადასვლას, სადაც მათი შრომა უფრო მეტად დაფასდება.

*„ამის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. გაკვირვებული დავრჩი, როცა ეს ჭორი გავიგე. თუ პრობლემები მართლაც არსებობს, ჩვენ მათ აუცილებლად მოვაგვარებთ“*, - ამბობს ფრაი.

როგორც ჩანს, „ბრაუნში“ ისე კარგად არ არის საქმე, როგორც ამას ფრაი აღწერს. გამოცემა F1Racing წერს, რომ მომავალ სეზონში 2008 და 2009 წლების ჩემპიონები - **ლუის ჰემილტონი** და ბატონი, შესაძლოა, „მაკლარენში“ პარტნიორები გახდნენ. ამ გუნდის სატიტულო სპონსორი, კომპანია Vodafone ბატონისთვის სარფიანი და მეტად მაცდური წინადადების შეთავაზებას აპირებს. *„ყველა გუნდი ისურვებდა თავის შემადგენლობაში მსოფლიოს ორი ჩემპიონის ყოლას“*, - ასეთი იყო კომპანიის წარმომადგენელთა მოკლე კომენტარი.

*„რამდენიმე პილოტთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. აბუ დაბის გრან-პრის შემდეგ ჰეიკი კოვალაინენი დატოვებს „მაკლარენის“ რიგებს და მის შესაცვლელად რამდენიმე კანდიდატი გვყავს. ამ მომენტისთვის რაიმე კონკრეტულის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ორი საუკეთესო პილოტი იასპარეზებს. თუმცა ასე იყო ყოველთვის“*, - განაცხადა „მაკლარენის“ დირექტორმა **მარტინ უიტმარშმა**.



